პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2009
№213(12892) ფასი 60 თეთრი



# Aრის!



» გვერდი 2-3



## 12 წლის შემდეგ...

### ფხაკაძე ჩემპიონობას უმიზნებს

მილანში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე **კობა ფხაკაძემ** (60 კგ) ისტორიულ შედეგს მიაღწია – ნახევარფინალში გავიდა და ამით მედალიც დაიბევა.

გავჯერა, ქუთაისელი მოკრივე ეიფორიას არ მიეცემა და გერმანელი **ეუჯენ ბურჰარდის** 9:2 (3:0, 3:1, 3:1) განადგურება პლანეტის პირველობაზე მისი ბოლო გამარჯვება არ იქნება. თუმცა კი, ფხაკაძის შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში შესანიშნავია, რადგან იგი მხოლოდ და მხოლოდ მესამე მოკრივეა, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალს რომ იღებს. **გიორგი კანდელაკი** მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონია, **კობა გოგოლაძე** კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი. გიორგიმ და კობამ ამ წარმატებებს ბოლოს 1997 წელს მიაღწიეს და მას შემდეგ აგერ უკვე თორმეტი წელიწადია, მსოფლიოს პირველობას უმედლოდ ვასრულებთ. 1997 წლის შემდეგ მსოფლიო ასპარეზზე თავი მხოლოდ **ვლადიმერ ჭანტურიამ** გამოიჩინა, რომელიც სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს დაეუფლა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რამაზ ფალიანს**, იგი ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების მფლობელია, ოღონდ, სამწუხაროდ, რუსეთის სახელით.

მოკლედ, მილანიდან მინიმუმ ბრინჯაო დაბევებული გვაქვს, ოღონდ კობამ მხოლოდ ჩემპიონობაზე უნდა იფიქროს. ნახევარფინალურ ორთაბრძოლას იგი ხვალ ჩაატარებს იტალიელი **დომენიკო ვალენტინოს** წინააღმდეგ, რომელმაც კობას მსგავსად, ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს კუბელი **ხოსე პედრასა** და რუსი **ალბერტ სელიმოვი** დაუპირისპირდებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

## 4:0 ზესტაფონში

### ათკაციანი ახალგაზრდულის შთამბეჭდავი გამარჯვება

» გვერდი 4

## 1:3 ისლანდიაში

### ეროვნული ნაკრები კვლავაც უსუსურია

» გვერდი 4



# გაფრენA

B დივიზიონი. პლეი ოფი
5 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე
9 500 მაყურებელი

## საქართველო-ბელარუსი

## 86:84

27:19, 25:27, 19:22, 15:16

| საქართველო | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცინცაძე | 26 | 3 | 0/2 | 0 | 3/4 | 4 | 6 | 2 | 0 | 4 | 5 |
| ელისი | 33 | 17 | 0/1 | 5/6 | 2/2 | 2 | 2 | 2 | 1 | 3 | 1 |
| სანიკიძე | 32 | 18 | 5/7 | 1/2 | 5/7 | 10 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 |
| ვ. ბოისა | 26 | 11 | 2/5 | 2/3 | 1/3 | 3 | 1 | 0 | 1 | 5 | 1 |
| ფაჩულია | 30 | 11 | 2/12 | 0 | 7/10 | 5 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 |
| შერმადინი | 5 | 2 | 1/1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| ცქიტიშვილი | 18 | 11 | 2/3 | 2/6 | 1/1 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 |
| გამყრელიძე | 14 | 0 | 0/1 | 0 | 0 | 3 | 5 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ტულუში | 16 | 13 | 0 | 2/2 | 7/7 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ჯამი | - | 86 | 12/32 | 12/19 | 26/34 | 31 | 19 | 9 | 6 | 21 | 12 |

| ბელარუსი | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ულიანკო | 26 | 14 | 1/6 | 4/6 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 4 | 1 |
| მეშერაკოვი | 29 | 11 | 2/4 | 1/5 | 4/6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3 | 0 |
| ჩარიკოვი | 21 | 0 | 0/1 | 0/1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 |
| კუზმინი | 16 | 7 | 1/2 | 1/2 | 2/2 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 1 |
| ალექსეევი | 16 | 9 | 2/4 | 1/2 | 2/2 | 8 | 0 | 0 | 0 | 5 | 1 |
| კორშუკი | 20 | 5 | 0/2 | 1/1 | 2/2 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 |
| პუსტავარი | 14 | 8 | 1/2 | 2/5 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კანდრუსევიჩი | 10 | 0 | 0 | 0/1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 |
| კუდრიავცევი | 30 | 28 | 3/9 | 6/8 | 4/5 | 3 | 3 | 1 | 0 | 4 | 5 |
| კოქენეცი | 10 | 2 | 1/1 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 4 | 3 |
| ტრასტსინეცკი | 9 | 0 | 0/1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ჯამი | - | 84 | 11/32 | 16/31 | 14/17 | 34 | 10 | 5 | 2 | 29 | 18 |

მსაჯები: ი. კოკაინისი (ლატვია), რ. ნურანი (თურქეთი), ვ. ლუკესი (ჩეხეთი)

**ჩერნოგორია-შვედეთი 88:71**

## გუშინ: ბოისა 11, ცქიტო 11, ფაჩულია 11... ხვალ: ევრო 2011

### ფიქრები, ოცნებები...

*„ჩვენი ხუთწლიანი შრომა დაფასდა. ბოლოს და ბოლოს, ელიტის საგზური მოვიპოვეთ. ავედით იქ, სადაც თამაშს ვიმსახურებთ, ვიმსახურებთ როგორც თამაშით, ასევე შემადგენლობითა და ტრადიციებით“,* - თქვა ბელარუსის ძლევით გახარებულმა **ზაზა ფაჩულიამ.**

სიხარულის საფუძველი კი არა მხოლოდ კაპიტანს, არამედ საქართველოს ნაკრების ყველა კალათბურთელს, სამწვრთნელო შტაბს, ფედერაციასა და ქართველ გულშემატკივარს ნამდვილად ჰქონდა. შეიძლება, 41-ქულიანი გამარჯვებაც სასიამოვნოა, მაგრამ გაცილებით გემრიელი და სასიხარულოა მოგება მაშინ, როცა მთელი თამაშის განმავლობაში აგებ და ბოლო წამებზე შორეული 3-ქულიანით მატჩის ბედს საშენოდ შემოატრიალებ. სწორედ ასე მოგვივიდა: ნაკრებების ორ დივიზიონად გაყოფის შემდეგ ჯერ 2004/05 წლებში ვცადეთ ელიტაში გადასვლა, მაგრამ ფეხი ფინეთმა დაგვიდო, შემდეგ კი 2006/07 წლებში, მაგრამ ისლანდიამ ზურგში დანა ჩაგვარტყა...

ჰოდა, ამდენი წვალების შემდეგ A დივიზიონის საგზურის მოპოვება ერთიორად სასიხარულოა. ამ წარმატებას დამატებითი ღირებულებაც ჰქონდა - გაიხარა მთელმა საქართველომ... გამარჯვებებს მონატრებულმა საქართველომ. და კიდევ უფრო მთავარია ის, რაც ხალხმა აშკარად დაინახა - ევროპაში არავისზე ნაკლები ნაკრები არ გვყავს. თუ ეს ფრაზა გადამეტებულად მოგეჩვენათ, გადახედეთ პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შედეგებს - ჩვენებრ თანაბრად დაბალანსებული გუნდი ბევრს არ ჰყავს. ევროპის ჩემპიონი რუსეთიც ინატრებდა ფაჩულიას დარ მოძრავ ცენტრს, **ცინცაძისებრ** ნიჭიერ გამთამაშებელს, **ელისის** სნაიპერულ მონაცემებს, **სანიკიძის** „ფრენას“, **ბოისას** დარ მცველს, **ცქიტიშვილისნაირ** უნივერსალს... ერთადერთი, რუსები მწვრთნელად არ ინატრებდნენ **იგორ კოკოშკოვს**, რადგან მათ იგორის კვალიფიკაციის დამრიგებელი უკვე ჰყავთ - **დევიდ ბლატი.**

როგორც დაბადების დღის სუფრაზე იუბილარს რამდენჯერმე ადღეგრძელებენ, ისე ჩვენც რამდენჯერმე გავიმეოროთ A დივიზიონში გადასულთა გვარები: ვლადიმერ ბოისამ გუშინ 11 ქულა ჩააგდო, ამდენივე - ფაჩულიამ და ცქიტიშვილმაც. მატჩის ოქმს დავხედე, მე-11 ნომერმაც 11 ქულა ხომ არ მიითვალა-მეთქი, მაგრამ გული დამწყდა: „თერთმეტიანი“ ზურგი **მანუჩარ მარკოიშვილს** უნდა ჰქონოდა, რომელიც ტრავმის გამო გუნდს წლეულს ვერ დაეხმარა. 11-11 ქულის ჩაგდებით ზაზამ, ვოვამ და ნიკამ მარკოიშვილი გაგვახსენეს, რომელიც გაისად გუნდს ერთიორად გააძლიერებს. გაგვახსენდა კიდე ერთი რამ - ევროპის მომდევნო ჩემპიონატი ლიტვაში ხომ სწორედ 2011 წელს იმართება. ჩვენმა ნაკრებმა ლიტვისკენ ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა, დარჩა მეორე ნაბიჯი - შესარჩევი ეტაპი, რომელიც 2010 წელს გაიმართება.

რადგან მომავალი სეზონი ვახსენეთ, აქვე იმ გუნდებსაც ჩამოგიწიკწიკებთ, რომლებიც საქართველოს ნაკრების სავარაუდო მეტოქენი იქნებიან - იტალია, უნგრეთი, ფინეთი, პორტუგალია, ბელგია, უკრაინა, ბოსნია, ჩერნოგორია და ევრო 2009-ის შედეგების მიხედვით უარესი მაჩვენებლის 7-8 გუნდი. 2010 წლის შესარჩევი ეტაპის შესახებ ხვალ უფრო კონკრეტულად გესაუბრებით.

### სამიანების წვიმა

ტრიბუნაზე შეკრებილ გულშემატკივარსა და კალათბურთელებს მატჩის პირველივე წუთებიდან ერთი საფიქრალი ჰქონდათ - შეხვედრა რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო, რათა ერთად ეზეიმათ ელიტაში გადასვლა.

>> მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით...* ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

« მეორე გვერდიდან

მწვრთნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრის წინ შეგირდები საბრძოლველად ისევე განაწყო, როგორც შვედეთთან მატჩამდე. ქართველები მოედანზე შემართულნი გავიდნენ: პირველივე წუთზე ცინცაძემ პერიმეტრიდან ბურთი კალათს ზემოთ ააგდო, სადაც ბურთთან სანიკიძე გაჩნდა და ეფექტური ჩატენვით ანგარიში გახსნა. NBA-ში ასეთ გდებას ალეი-უპს ეძახიან...

პირველ პერიოდში საქართველოს ნაკრებს ყველაფერი ისე გამოსდიოდა, როგორც საწყის წუთზე **სანიკიძე-ცინცაძის** ალეი-უპისას. კოკოშკოვის შეგირდებმა 10 წუთში 8 სამქულიანი ისროლეს და 6 კალათში მოათავსეს. ერთ-ერთი სამქულიანის შემდეგ ჩემს გვერდით მჯდომმა ჟურნალისტმა ალტაცებით თქვა - ასეთი თამაშით ჩვენები ევროპის ნებისმიერ ნაკრებს დაამარცხებენ, შეიძლება ესპანეთთან გაუჭირდეთო...

ქართველები იერიშებს იმდენად სწრაფად და ზუსტად აგვირგვინებდნენ, რომ წინა ხაზში მეტოქემ ჩვენზე ერთით მეტი მოხსნა რომ მიითვალა, არც შეგვიმჩნევია. საქმე მხოლოდ მოხსნების რაოდენობაში როდია - როგორც ჩანს, ბელარუსების მწვრთნელმა კარგად გააანალიზა პირველი თამაში და დაასკვნა, რომ ქართველთა მთავარი იარალი ფარქვეშ დამაჯერებელი თამაშია, სადაც „ატლანტას" ცენტრი ფაჩულია მოქმედებს. ჰოდა, **ალექსანდრ პოპკოვმა** „ქვეითი თუ საჰაერო" ძალები სწორედ ფაჩულიასკენ მიმართა და შეგირდებს დაავალა - ქართველთა 7 ნომერს ბურთი არ ჩააგდებინოთ, ჯარიმა კი რამდენიც გინდათ, იმდენი აილეთო. ასეთი დავალება შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. პირველ პერიოდში ბელარუსების ასეთმა ტაქტიკამ ვერ გაამართლა, თავისუფლად დარჩენილმა მასპინძლებმა სტუმართა კალათი სამქულიანებით ამოავსეს. მეორე პერიოდიდან კი საქმე გართულდა, რაც ერთგვარად ფსიქოლოგიური მდგომარეობის ბრალი იყო - როგორც ვთქვით, მატჩის წინ მწვრთნელმა კალათბურთელები დაარწმუნა, რომ 14-ქულიანი გამარჯვება ელიტაში მოხვედრას არ ნიშნავს. ამიტომ გუნდი მოედანზე შემართული გავიდა. ხოლო 10-ქულიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ ნებისმიერი კალათბურთელი იფიქრებდა, რომ მეტოქეს იმაზე დიდი სხვაობით დამარცხება შეიძლებოდა, ვიდრე სტუმრად. შესაბამისად, გაჭირდა კონცენტრაციის შენარჩუნებაც და საქართველოს ნაკრებს დაცვაში შეცდომები გაეპარა. საუბარია პერიმეტრის დაცვაზე თორემ ფარქვეშ თამაში არც ქართველებს გამოუვიდათ და არც ბელარუსებს.

მეორე პერიოდიდან სტუმრებმაც დაძლიეს შიში და სამქულიანს სამქულიანი მიაყოლეს. მათ ხომ დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ და ფსიქოლოგიური წნეხისგანაც თავისუფალნი იყვნენ. შორეული ტყორცნებით **ალექსანდრ კუდრიავცევი** გამოირჩა, რომელმაც 30 წუთი ითამაშა და 8-დან 6 სამქულიანი ჩაგვიგდო. მთლიანად ბელარუსმა კი 16 „სამიანი" გამოიყენა... სწორედ შორეული სროლის წყალობით, მეოთხე პერიოდის დაწყებიდან 6 წამში **მეშჩერიაკოვმა** ანგარიში გაათანაბრა - 71:71. ერთ წუთში კი **კუდრიავცევმა** სტუმრები პირველად დააწინაურა - 73:71.

თუმცა, როგორ ვთქვით, პერიმეტრიდან ტყორცნები ქართველებსაც მისდიოდათ. ელისმა 6-დან 5 „სამიანი" ჩააგდო, ცქიტიშვილმა - ექვსიდან 2, **ტულუშმა** ორიდან 2, ვოვა ბოისამ სამიდან 2, ხოლო სანიკიძემ - ორიდან 1. სულ 19 ვისროლეთ და 12 ჩავაგდეთ (63.2 პროცენტი). როცა გაგვიჭირდა, ელისის სამქულიანმა გვიშველა - 74:73. ამას მოჰყვა ფაჩულიას პირველი 2-ქულიანი. თუმცა ბელარუსები არ ცხრებოდნენ. უკანასკნელ წუთებში სიტუაცია დაიძაბა, კალათის შერხევა ორივე გუნდს უჭირდა. ორ წუთში გუნდები ქულებს მხოლოდ საჯარიმოებით ითვლიდნენ. ამ კომპონენტში ქართველები უფრო ზუსტები აღმოჩნდნენ და საბოლოოდ 86:84 გაიმარჯვეს.

მატჩი მეტად არასტანდარტული რომ გამოდგა, ამაზე მოხსნების შეფარდებაც მეტყველებს: ამ მხრივ დივიზიონის ერთ-ერთმა უსუსტესმა ნაკრებმა, ბელარუსმა (საშუალოდ 28.9), ლიგაში საუკეთესო საქართველოს (40.6) მოხსნებში 34:31 აჯობა.

საქართველო ორქულიანების რაოდენობითაც ლიდერია - საშუალოდ 22. თუმცა გუშინდელ შეხვედრაში ოდენ 12 „ორიანი" გამოვიყენეთ. „სამიანებზე" კი საკმარისად გესაუბრეთ.



შეიძლება, სტუმრად გამარჯვებისა და თბილისში 10 ქულით დაწინაურების შემდეგ ქართველებს კონცენტრირება გაუჭირდათ და ამიტომაც ვერ ითამაშეს ჩვეულად, მაგრამ არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ბელარუსი პლეი ოფში შემთხვევით არ გასულა. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ჩერნოგორიასთან ერთად ბელარუსი ის გუნდი იყო, რომელსაც სტუმრად არ წაეგო. და კინალამ, ეს ტრადიცია გუშინაც შეინარჩუნა. უბრალოდ, იმის თქმა გვსურს, რომ საქმე გვაქვს B დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან.



## მატჩისშემდგომი ემოციები

ნამატჩევს კალათბურთელებმა წრე შეკრეს და ელიტაში ხორუმით შეაბიჯეს. როგორც წესი, ჰაერში რამდენჯერმე ააგდეს წარმატების მთავარი შემოქმედი იგორ კოკოშკოვი. სხვათა შორის, მთავარმა მწვრთნელმა საკუთარი ხასიათი ბოლომდე გათქვა მაშინ, როცა დარბაზში გამოცხადდა - „ჰიუნდაის" ცენტრი იგორ კოკოშკოვს აჯილდოვებსო. ეს რომ გაი-





გო, ჩვენი გუნდის მწვრთნელი გასახდელისკენ შებრუნდა, თუმცა დაჟინებული თხოვნის შემდეგ საჩუქარი მაინც მიიღო.

მატჩს მთავრობა თითქმის სრული შემადგენლობით ესწრებოდა. თამაშის შემდეგ კალათბურთელები **მიხეილ სააკაშვილმა** პრეზიდენტის რეზიდენციაში მიიღო. თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** ნაკრებს ჯილდოდ 100 000 ლარი გადასცა.

„დაუვიწყარი სანახაობა იყო. კალათბურთელებმა ძალიან გაგვახარეს. მინდა, ეს გამარჯვება ყველას მივულოცო. ვფიქრობ, ამ დღიდან კალათბურთს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა დიდი წარმატებები მივაღწიოთ. ამისთვის საჭიროა, ყველამ ერთად ვიმუშაოთ სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე, მის ინფრასტრუქტურაზე", - განაცხადა თბილისის მერმა.

როგორც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გვითხრა, A დივიზიონის წილისყრა ნოემბერში უნდა გაიმართოს:

„ჩვენი მეტოქეების ვინაობა ნოემბერში გაირკვევა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შეგვხვდება. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების კალათბურთელები გაიზარდნენ და ელიტაში კარგად მომზადებულები შევიდნენ. შეიძლება, A დივიზიონში ვარსკვლავები ვერ მოვწყვიტოთ, მაგრამ ჩვენ სიტყვას აუცილებლად ვიტყვით".

ვიქტორ სანიკიძე გაკვირვებული იყო: „ბელარუსისგან კარგ თამაშს ველოდი, მაგრამ ასეთი მაღალი დონის თამაშს - არა. მეტოქეს ჩვენც მტკიცედ დავუდექით, დამსახურებულად გავიმარჯვეთ და ელიტაშიც სამართლიანად მოვხვდით".

ლაშა გამყრელიძემ მატჩის წინ ნათქვამი გაგვახსენა: „ვიცოდი, რომ იმაზე რთული ბრძოლა გველოდა, ვიდრე ბელარუსში. პირველ რიგში, ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო გასათვალისწინებელი: მეტოქეს დასაკარგავი არაფერი ჰქონდა, ჩვენ კი საკუთარი ქომაგის წინაშე ვთამაშობდით და ძალიან გვინდოდა, ბოლო მატჩი გამარჯვებით დაგვესრულებინა. დაცვაში გვქონდა შეცდომები, თუმცა საბოლოოდ მეტოქეზე უკეთ გავისარჯეთ და მოვიგეთ კიდეც".

თუ გამყრელიძეს წინა მწვრთნელებიც სწყალობდნენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კოტე ტულუში** ნაკრებისთვის კოკოშკოვმა აღმოაჩინა. ოფიციალურ მატჩებში კოტემ სანაკრებო რეკორდი გუშინ დაამყარა - 13 ქულა ჩააგდო:

„გაგვიჭირდა, რადგან ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ეს უფრო ბელარუსს ეხება. მათ ყველა რეზერვი აამოქმედეს წარმატების მისაღწევად, მაგრამ ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლეთ და არაფერი დავანებეთ. გამარჯვება პირველ რიგში გულშემატკივარმა განაპირობა. ვულოცავ ყველას ამ წარმატებას".

გვსურდა, სტატია ბელარუსის ნაკრების მწვრთნელის სიტყვებით დაგვესრულებინა, მაგრამ ვლადიმერ ბოისამ მატჩის შემდეგ იმდენად საინტერესოდ ისაუბრა, მისი სიტყვები ბოლო აკორდად შემოვინახეთ. ახლა კი ალექსანდრ პოპკოვის კომენტარი:

„დაძაბული და ლამაზი თამაში გამოვიდა. შეხვედრას დამატებითი ხიბლი სავსე ტრიბუნებმა შემატა. ტრადიცია არ დავარღვიეთ და გასვლაზე უფრო კარგად ვითამაშეთ, ვიდრე სახლში. თუმცა სასურველი იყო, მოგილიოვშიც ისევე გავრჯილიყავით, როგორც თბილისში. ელიტაში გადასვლას გილოცავთ".

ახლა კი ბოისას მოვუსმინოთ: „ეს შედეგი კარგმა მომზადებამ განაპირობა. ავსტრიაში ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა. ამასთან, გვყავს მაღალი დონის მწვრთნელი. აქამდეც კარგი მწვრთნელები გვავარჯიშებდნენ, მაგრამ ვფიქრობ, იგორ კოკოშკოვმა ჩვენში რაღაც იპოვნა, კარგად გაგვიგო. მის გამოცდილებაში ხომ ეჭვის შეტანა არ შეიძლება. საქართველოს ნაკრებს დიდი მომავალი აქვს. ელისს თუ არ ჩავთვლით, გუნდში ყველაზე ასაკოვანი მე ვარ - 28 წლისა გახლავართ. ვფიქრობ, 5-6 წელი კალათბურთს კიდევ ვითამაშებ. სხვები კიდევ 10 წელი ითამაშებენ და თავად განსაზღვრეთ, მომდევნო წლებში რისი გაკეთება შეგვიძლია. თუმცა მხარდაჭერა და მეტი ყურადღება ჩვენც გვჭირდება და ქართულ კალათბურთსაც. ნაკრებზე არანაკლებ მისახედია ბავშვთა კალათბურთიც"....

გვერდები მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა
ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტოები

### ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 09:50 | სანიკიძე 2ქ (2:0) |
| 09:27 | ფაჩულია 2/1ქ (3:0) |
| 09:05 | კუზმინი 3ქ (3:3) |
| 08:28 | ელისი 3ქ (6:3) |
| 07:07 | სანიკიძე 2ქ (8:3) |
| 06:45 | კუზმინი 2/2ქ (8:5) |
| 06:16 | ელისი 3ქ (11:5) |
| 05:42 | ულიანკო 3ქ (11:8) |
| 05:23 | ვ. ბოისა 3ქ (14:8) |
| 04:49 | ულიანკო 2ქ (14:10) |
| 04:15 | ალექსეევი 2ქ (14:12) |
| 03:49 | სანიკიძე 2/2ქ (16:12) |
| 03:23 | ცქიტიშვილი 3ქ (19:12) |
| 02:35 | ულიანკო 3ქ (19:15) |
| 02:10 | ელისი 3ქ (22:15) |
| 01:40 | ტულუში 2/2ქ (24:15) |
| 01:06 | კუდრიავცევი 2ქ (24:17) |
| 00:42 | ელისი 3ქ (27:17) |
| 00:29 | ალექსეევი 2/2ქ (27:19) |
| **II პერიოდი** | |
| 09:51 | კუდრიავცევი 3+1ქ (27:23) |
| 09:29 | ტულუში 3/3ქ (30:23) |
| 08:53 | კუდრიავცევი 3ქ (30:26) |
| 08:34 | ცქიტიშვილი 3ქ (33:26) |
| 08:17 | ალექსეევი 3ქ (33:29) |
| 06:32 | კუზმინი 2ქ (33:31) |
| 06:04 | ცქიტიშვილი 2+1ქ (36:31) |
| 05:19 | უდრიავცევი 3ქ (36:34) |
| 04:38 | სანიკიძე 2ქ (38:34) |
| 04:16 | სანიკიძე 2/2ქ (40:34) |
| 03:45 | ფაჩულია 2/2ქ (42:34) |
| 03:12 | კუდრიავცევი 3ქ (42:37) |
| 02:40 | კუდრიავცევი 2ქ (42:39) |
| 02:23 | ცინცაძე 2/2ქ (44:39) |
| 01:43 | შერმადინი 2ქ (46:39) |
| 01:06 | მეშერაკოვი 2ქ (46:41) |
| 00:46 | სანიკიძე 3ქ (49:41) |
| 00:29 | კორშჩუკი 2/2ქ (49:43) |
| 00:12 | ტულუში 3ქ (52:43) |
| 00:01 | ულიანკო 3ქ (52:46) |
| **III პერიოდი** | |
| 09:40 | მეშერაკოვი 2/1ქ (52:47) |
| 09:16 | ვ. ბოისა 2ქ (54:47) |
| 08:26 | ულიანკო 3ქ (54:50) |
| 07:20 | ვ. ბოისა 1ქ (55:50) |
| 07:13 | კოჟენეცი 2ქ (55:52) |
| 07:04 | ვ. ბოისა 2ქ (57:52) |
| 06:27 | სანიკიძე 2ქ (59:52) |
| 06:23 | ცქიტიშვილი 2ქ (61:52) |
| 05:57 | მეშერაკოვი 2ქ (61:54) |
| 03:35 | ტულუში 2/2ქ (63:54) |
| 03:03 | პუსტავარი 3ქ (63:57) |
| 02:49 | ფაჩულია 2/2ქ (65:57) |
| 02:30 | კუდრიავცევი 3ქ (65:60) |
| 02:10 | ტულუში 3ქ (68:60) |
| 01:38 | პუსტავარი 2ქ (68:62) |
| 01:07 | კუდრიავცევი 3ქ (68:65) |
| 00:42 | ვ. ბოისა 3ქ (71:65) |
| 00:19 | ალექსეევი 2ქ (71:67) |
| 00:19 | მეშერაკოვი 2/1ქ (71:68) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:54 | მეშერაკოვი 3ქ (71:71) |
| 08:32 | კუდრიავცევი 2ქ (71:73) |
| 08:11 | ელისი 3ქ (74:73) |
| 07:23 | ფაჩულია 2ქ (76:73) |
| 06:30 | მეშერაკოვი 2/2ქ (76:75) |
| 04:58 | კუდრიავცევი 2/2ქ (76:77) |
| 04:42 | ფაჩულია 2/1ქ (77:77) |
| 03:54 | სანიკიძე 2ქ (79:77) |
| 03:40 | კორშჩუკი 3ქ (79:80) |
| 03:24 | ელისი 2/2ქ (81:80) |
| 02:29 | ფაჩულია 2ქ (83:80) |
| 02:21 | უსტავარი 3ქ (83:83) |
| 02:01 | სანიკიძე 2ქ (85:83) |
| 00:46 | კუდრიავცევი 2/1ქ (84:84) |
| 00:33 | ფაჩულია 2/1ქ (85:84) |
| 00:03 | ცინცაძე 2/1ქ (86:84) |



ეროვნული ბიბლიოთეკა



U 21. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

# ვისაც ქართული ფეხბურთის არ გჯერათ...

09.09.09 ზესტაფონი. ცენტრალური. 3 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 4 |
| თურქეთი | 0 |

*1:0 ივანიშვილი (2. კლიმიაშვილის პასით), 2:0 ხიდეშელი (34. ყენიას პასით), 3:0 თოთაძე (79. ანანიძის პასით), 4:0 გუგავა (87. კლიმიაშვილის პასით)*

*საქართველო: კვასხვაძე - თომაშვილი, ხიდეშელი, კაკუბავა, სანაია - ანანიძე (82. გუგავა), შონია (71. ჯანელიძე), ყენია, ივანიშვილი, კლიმიაშვილი - ვაწაძე (60. თოთაძე).*

*სათადარიგოები: თევდორაძე, ხატიაშვილი, ჭედია, კუტალია*

*თურქეთი: ვოლქანი - სერქანი, ა. სერდანი (64. ვურალი), აბდულა, აიკუტი - დენიზი, კ. სერდანი, ზეკი, თუნაი (35. გოხანი) - მუსტაფა, ტოპაკი (67. ისმაელი).*

*სათადარიგოები: გენკი, რიდვანი, ენგური, ნეციპი*

*გაფრთხილებები: ყენია (21), კ. სერდანი (35), ზეკი (39), დენიზლი (43), ანანიძე (45)*

*გაძევება: სანაია (55)*

*არბიტრი: ანტონიო პერესი (ესპანეთი)*

ვისაც ქართველი ფეხბურთის არ გჯერათ, ვინც მას ხაზი საბოლოოდ გადაუსვით და ჩვენი ქვეყნისთვის ფეხბურთი შეუფერებელ საქმედ ჩათვალეთ, გუშინ ზესტაფონში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა პასუხი გაგცათ - ცუდ დღეში ვართ, მაგრამ რაღაც იმედი მაინც არსებობს.

ზედმეტი ეიფორიის გარეშე მოვყვეთ ამბავი, თუ როგორ ვიხილეთ ზესტაფონში მივიწყებული ქართული ფეხბურთი - ეფექტური, სწრაფი, კომბინაციური ფეხბურთი, რომელიც ყოველთვის პრაგმატული არაა, მაგრამ ყოველთვის გვიყვარდა და გვეყვარება - „გრუზინული", რომ იტყვიან.

ეს იმ ნაკრებმა, რომლის მთავარმა მწვრთნელმა ესტონეთთან დასანანი წაგების შემდეგ ბრძანა, თურქებთანაც თუ დავმარცხდით, გუნდიდან მივდივარო. უცნაურია, დამარცხებული ფეხბურთის ქვეყანაში არის ადამიანი, ვისაც თავმოყვარეობა და ღირსება შერჩა.

თავმოყვარეობა და ღირსება - სწორედ ეს ეტყობოდა ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც თურქეთამდე ეროვნული გუნდიდან დამატებულებმა (**ამირან სანაიამ, ლევან ყენიამ, ჯანო ანანიძემ, მათე ვაწაძემ**) გააძლიერეს.

მეტოქე აშკარად ძლიერი გახლდათ - თურქებმა პირველი ორი მატჩი გასვლაზე ირლანდიასთან (3:0) და სომხეთთან (5:2) მოიგეს და ქართველებთანაც, რა თქმა უნდა, სამ ქულას გეგმავდნენ. ისედაც, აბა სად მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში გარეული ჩვენი მეზობლები და სად ასეულის მიღმა დარჩენილი ქართველები?

**ოთარ გაბელიას** გუნდისგან ყველა აგრესიულ ფეხბურთს ელოდა, მაგრამ ესტონეთთან წაგებამ ფეხბურთელების თავმოყვარეობაზე იმოქმედა და მოედანზე გულანთებულები გამოვიდნენ.

გული - ეს, თურმე, ფეხბურთში მთავარია. მომენტებში გამოჩნდა, რომ თურქები ინდივიდუალური მომზადებითა და ოსტატობით ქართველებს ალემატებოდნენ, მაგრამ გუნდური სულისკვეთებითა და ბრძოლისუნარიანობით „ჯვაროსნების" წინაშე შედრკნენ.

ეს დასაწყისშივე იგრძნობოდა. რატომღაც, სტუმართა მეკარე **ბაბაჯან ვოლქანი** და ცენტრალური მცველი **აზიზ სერდანი** ნერვიულობდნენ და მათი შეცდომებით ქართველებმა ისარგებლეს.

მე-2 წუთზე **ირაკლი კლიმიაშვილმა** თავით დასარტყმელ პოზიციაზე **გიორგი ივანიშვილი** გაიყვანა: თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ახლოს თურქების მცველმა და მეკარემ ერთმანეთის იმედად ბურთი არ მოიგერიეს, ივანიშვილმა კი დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში გახსნა - 1:0.

მატჩი დაძაბულ კალაპოტში წარიმართა. ანანიძის წინააღმდეგ სტუმრებმა რამდენჯერმე ხისტად ითამაშეს, რაზეც ჯანო აენთო...

სტუმრებმა მე-20 წუთზე მწვავედ შეუტიეს - **თორუნ თუნაი** მცველს გასცდა და საჯარიმოში შეჭრილმა კარისკენ „ხმელი ფოთოლი" გაუშვა - **ნიკა კვასხვაძემ**, რომელმაც მთელი მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა, თავისიანები გადაარჩინა.

34-ე წუთზე ლევან ყენიამ გაიბრწყინა - რამდენიმე მცველს გასცდა და ბურთი ივანიშვილს დაუგდო, მაგრამ „ვოლენის" თავდამსხმელმა და **მათე ვაწაძემ** ზუსტად ვერ ითამაშეს. ბურთი კუთხურიდან ყენიამ შემოიტანა, ხოლო კარის წინ **გიორგი ხიდეშელმა** თავით ყველას დაასწრო - 2:0.

სტუმრებისთვის მოულოდნელი გახლდათ ქართველთა ასეთი ღირსეული თამაში, მაგრამ თავმოყვარეობამ თავადაც შეაწუხათ და ტაიმის ბოლომდე აქტიურად შეუტიეს: 36-ე წუთზე კვასხვაძემ **კეზიმარ სერდანის** უძლიერი დარტყმა მოიგერია.

მეორე ტაიმი კურიოზით დაიწყო - სტადიონის გვერდით მატარებელმა გაიარა და სტუმარმა ფეხბურთელებმა პირზე ხელი აიფარეს - ემანდ, კვამლმა არ გაგვგუდოსო.

55-ე წუთზე კი მოხდა ფაქტი, რომელსაც ქართველთა იმედების გაცამტვერება შეეძლო - **ამირან სანაია** აზიზ სერდანს ეუხეშა და არბიტრმა მოედნიდან გააძევა.

თურქებს იმედი მიეცათ. ზოგადად, ამ დროს ქართველები ბრინჯივით იბნევიან და ნებდებიან ხოლმე. გაბელიას შეგირდებმა კი საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, მთელი ძალით შეტევაში წასულმა სტუმრებმა კი დაცვა მოაშიშვლეს.

ჩვენების ყველა შეტევის სულის ჩამდგმელი ყენია იყო - აქტიური, შემქმნელი და სასარგებლო ფეხბურთელი.

64-ე წუთზე **დემირ აიკუტმა** საჯარიმო სახიფათოდ შეასრულა, მაგრამ კვასხვაძე ბურთს ადგილზე დახვდა.

33-ე წუთზე სტუმართა მეკარე გამოსვლაზე შეცდა, ბურთი ხელში აილო, მაგრამ საჯარიმოდან გამოვიდა და არბიტრმა ეს შენიშნა. ჯარიმა - ყენიამ ანანიძეს დაუგორა, ამან კი **ლაშა თოთაძეს**, რომლის უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთმა მიზანს უწია - 3:0.

თურქები დაიბნენ, ვერაფრით ეგუებოდნენ აზრს, რომ მათზე გაცილებით დაბალი რეიტინგის მქონე ქართველები სამარცხვინოდ უგებდნენ, ვა-ბანკზე წავიდნენ და კიდევ ერთხელ დაისაჯნენ.

87-ე წუთზე ცენტრში შეტევა ისევ ყენიამ წამოიწყო და მარჯვენა ფლანგზე უმალ კლიმიაშვილი მოძებნა, მან კი ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც **გიორგი გუგავამ** ნახტომში თავური დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა და სტუმრებს ცივი შხაპი გადაასხა - 4:0.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში კლიმიაშვილმა **ზეკის** დარტყმული კარიდან გამოიტანა და მსაჯის სასტვენიც გაისმა - მოულოდნელი და ნანატრი გამარჯვება!

საქართველოს ნაკრები არათუ 10 კაცით, სრული შემადგენლობითაც იშვიათად იგებს და ამიტომაც იყო გამარჯვება მოულოდნელი... და კიდევ ბევრი რამის გამოც, მაგრამ ახლა კითხვები მხოლოდ მომავალს ეხება - ნუთუ ჩვენ ეს შეგვიძლია?!

**ოთარ გაბელია**, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„ესტონეთთან არ უნდა წაგვეგო, მაგრამ დავმარცხდით. ასევე არ ელოდნენ თურქები ჩვენთან წაგებას, მაგრამ ყველანაირი იმედები გადავუწურეთ. აქედან დასკვნა მარტივია - ნებისმიერ მეტოქესთან ისე უნდა იბრძოლო, როგორც ფავორიტთან და მაქსიმალურ შედეგს მიაღწევ. სხვაგვარად წარმატება ვერ მოვა. ბედნიერი ვარ გამარჯვებით და მიმაჩნია, რომ ამ ნაკრებს დიდი შედეგის მიღწევა შეუძლია, თუ დღევანდელივით მობილიზებული ვითამაშებთ. ბიჭებმა შეასრულეს დავალება და თურქებს თავისუფალი სივრცე არ მისცეს. ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი".*

**პიერლუიჯი ტამი,** შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „რა დასამალია და, დღეს თურქების სანახავად ჩამოვედი და გაოცებული დავრჩი - აქ ვნახე უდიდესი ტალანტის ფეხბურთელი ყენია. საქართველოს ნაკრები ორგანიზებული გუნდია და ჩემთვის ესეც სიურპრიზი იყო. რა თქმა უნდა, ქართველებმა დამსახურებულად გაიმარჯვეთ. ეს საკამათო არ არის".

თურქების მთავარმა მწვრთნელმა **ჰამი მანდირალიმ** კი გასახდელის კარი გამოიჯახუნა და თავისიანებს ერთი გემრიელად შეუკურთხა - სულ ეს იყო მისი „კომენტარი"....

**ესტონეთი-ირლანდია** 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| 3. შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 4. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 5. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 6. სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-10 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**



ანგარიში გიორგი ივანიშვილმა გახსნა

ამხანაგური მატჩი

# სადამდე, ექტორ?

09.09. რეიკიავიკი 4 726 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ისლანდია | 3 |
| საქართველო | 1 |

1:0 იოჰანსონი (13. სტეინსონის პასით), 2:0 სკულასონი (17. გუნარსონის პასით), 2:1 დვალიშვილი (33. ფოფხაძის პასით), 3:1 გუნარსონი (55-პენ)

*ისლანდია:* გუნლეიფსონი - ეირიკსონი (46. პალმასონი), სკულასონი (84. ბ. სიგურდსონი), ი. სიგურდსონი, ო. სიგურდსონი - სტეინსონი (35. სავარსონი), დანიელსონი, გისლასონი (84. ვიდარსონი) - იოჰანსონი (75. ბიორნსონი), გუნარსონი, ჰალფრედსონი (84. ტაკეფუსა).

*სათადარიგო:* ჰალდორსონი

*საქართველო:* მამალაძე - ლონლაძე (73. ლობჟანიძე), გ. კაშია, კვახაძე, ფოფხაძე - სეთურიძე, ცქიტიშვილი (66. ხმალაძე), რაზმაძე - გელაშვილი, დევდარიანი - დვალიშვილი.

*სათადარიგო:* ბედიაშვილი

*გაფრთხილება:* გუნარსონი (57), ლონლაძე (57).

*არბიტრი:* მატეო ტრეფოლონი (იტალია)

ალბათ, „თამაში" დიდი ანგარიშით პირველ წაგებამდეა, მაგრამ **ექტორ კუპერის** ნაკრები „არა და არ" აგებს დიდი ანგარიშით, ჰოდა, „თამაშიც" გრძელდება... კუპერის გუნდმა ზედიზედ მესამე შეხვედრაში წააგო, გაიტანა რა მხოლოდ ერთი გოლი - ეს კი გუშინ შორეულ რეიკიავიკში **ლადო დვალიშვილმა** მოახერხა. სხვათა შორის, ამის წინა გოლიც დვალიშვილმა გაიტანა - 10 ივნისს, ალბანეთში ფრედ დასრულებულ შეხვედრაში. საქართველოს ნაკრების მოუგებელი სერია კი გრძელდება - უკვე წელიწადსა და 20 დღეს ითვლის. ჩვენს უპირველეს გუნდს უკვე 13 მატჩია, არ მოუგია.

ისლანდიური საიტების ცნობით (სამწუხაროდ, მატჩის ცქერის საშუალება ინტერნეტის საშუალებითაც არ გვქონია) გოლები ასე გავიდა: მე-13 წუთზე კაპიტანმა **გრეტარ სტეინსონმა** შესანიშნავი პასი მისცა ნორვეგიული „ფრედრიკსტადის" ფორვარდ **გარდარ იოჰანსონს**, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა და შემდეგ **მამალაძის** კარში შევარდა. სამ წუთში ცენტრალურმა მცველმა **ოლაფურ სკულასონმა** ანგარიში 2:0 გახადა. 33-ე წუთზე დვალიშვილმა მეტოქის მცველთა შეცდომით ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 2:1. მესამე გოლი უკვე მეორე ტაიმში გავიდა, როცა **დავით დევდარიანმა** საჯარიმოში ხელით ითამაშა და **ვეიგარ გუნარსონმა** პენალტი გაიტანა - 3:1.

ისლანდიელი მიმომხილველი გაოცებას ვერ მალავდა - რა კარგად ვთამაშობთო, თუმცა იქვე აღნიშნავდა - მეტოქე ძალიან სუსტია, მან ხომ იტალიასთან მატჩის შემდეგ 9 ცვლილება განახორციელა და ისლანდიაში 14 ფეხბურთელით ჩამოვიდაო...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ისლანდიელებმა ბოლო გოლი პენალტით გაგვიტანეს

ტრანსფერი

# ხიზანიშვილი მიდლსბროში გადადის

**ზურაბ ხიზანიშვილის** უთამაშებლობას მალე დაესმება წერტილი - „ბლექბერნი" და „მიდლსბრო" მისი ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ. სატრანსფერო ფანჯარა 1 სექტემბერს დაიხურა, მაგრამ ინგლისში ის 9 სექტემბერს გაიხსნა - ოღონდ, მხოლოდ იმ ფეხბურთელთათვის, რომელთაც პრემიერლიგის კლუბებიდან ქვედა დივიზიონებში განათხოვრებას უპირებენ, ხიზანიშვილი კი სწორედ ასეთთა რიცხვშია. დივიზიონით დაქვეითება ვერ არის სასიხარულო ამბავი, თუმცა ამ ეტაპზე ზურაბისთვის უფრო მნიშვნელოვანი სათამაშო პრაქტიკაა. ამ სეზონში ხიზანიშვილმა „ბლექბერნში" მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ისიც - თასის მატჩში, შარშანდელ პრემიერლიგაში კი მისი მონაგარი სულ 10 მატჩია.

ინგლისური წყაროების მტკიცებით, თითქმის ყველაფერი გარკვეულია, „მიდლსბრო" მზადაა, 27 წლის ქართველი მცველის ხელფასი იხადოს. „ბოროს" მწვრთნელი **გარეთ საუტგეიტია.** მას დაცვის ხაზში უამრავი პრობლემა აქვს, არადა, გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო (10 ქულა 5 ტურის შემდეგ) და მიზნად პრემიერლიგაში დაბრუნება აქვს დასახული. საუთგეიტი შეელია გერმანელ მცველ **რობერტ ჰუთს**, რომელიც „სტოკ სიტიში" გაყიდეს. კაპიტანი **ემანუელ პოგატეცი** ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა, ტრავმირებულია **კრის რიგოტიც**, ტრავმირებული **მეთიუ ბეიტსი** კი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

საუთგეიტი ამაოდ ცდილობდა „შეფილდ იუნაიტედიდან" **მეთიუ კილგალონის**, ხოლო „პრესტონიდან" **შონ სენტ ლეჯერის** დამატებას, მაგრამ არც ერთი გამოუვიდა და არც - მეორე. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა ხიზანიშვილის იჯარით აყვანა. სავარაუდოდ, კლუბები ბოლომდე მიიყვანენ საქმეს და უკვე ამ უქმეებზე ზურა „მიდლსბროს" წითელი მაისურით „იფსვიჩის" წინააღმდეგ საშინაო მატჩში ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

## რევაზ ძოძუაშვილი

# ოღონდ ქართულ ფეხბურთს ეშველოს და, გინებასაც მოვითმენ



„დინამოს“ ბაზაზე გამართულ ხმაურიან პრესკონფერენციას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. გუშინ „ლელო“ ამ თემას ვრცლად შეეხო და მიგვაჩნია, რომ ეს არ არის ისეთი ამბავი, რომელიც ერთდღიან ყურადღებას იმსახურებს. ამ ფაქტის მთავარი გმირი რევაზ ძოძუაშვილი ჩვენთან ინტერვიუს სიამოვნებით დათანხმდა და ჩვენც ბუნებრივია, მასთან საუბარი სკანდალური პრესკონფერენციით დავიწყეთ.

## აი, ამას ვეძახი მოვლას...

**- გასაგებია, რომ „იმედზე“ გასული სიუჟეტით გაღიზიანებული იყავით, მაგრამ ჟურნალისტებს რატომ შეუტიეთ? მით უფრო, რომ იმ დარბაზში სპორტული ჟურნალისტები იყვნენ და არა იმ სიუჟეტის ავტორი...**

- ცუდია, რომ ის იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ მთავარი სათქმელი ზუსტად სპორტულ ჟურნალისტებთან მქონდა. ქართულ სპორტულ მასმედიას ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი როლი აკისრია. არ შეიძლება, ფეხბურთი ოცდამეერთე საუკუნის ტენდენციებს მისდევდეს, პრესასა და ტელევიზიაში კი ეს საქმე მეოცე საუკუნის ყაიდაზე ირჩეოდეს. ბუნებრივია, მხოლოდ მასმედიას არ აქვს მინუსები, ქართული ფეხბურთიც მძიმე დღეშია და მწვრთნელებსა და ფეხბურთელებსაც ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. სწორედ ამიტომაა საჭირო ერთად დგომა. ჯერ უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს, შემდეგ კი გამოსავალი უნდა ვეძებოთ.

**- რას ნიშნავდა თქვენ მიერ ჟურნალისტების მისამართით გამოყენებული ტერმინი - „მოგივლით“?**

- ძალიან სწორად წერია „ლელოს“ 9 სექტემბრის ნომერში - ჟურნალისტები ბევრ რამეზე თვალს ხუჭავენ. მეც ზუსტად ის მინდა, რომ უფრო მკაცრები და პირდაპირები იყოთ. ჯანსაღი კრიტიკა ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის ყოველთვის სასარგებლოა. ვიცი, რომ ბევრი ამას მტკივნეულად იღებს, მაგრამ პირადად მე კრიტიკის მისაღებად მზად ვარ. ოღონდ ქართულ ფეხბურთს ეშველოს და გინებასაც კი მოვითმენ. სამწუხაროა, რომ ჩემსა და ერთ-ერთ ჟურნალისტს შორის სიტყვიერი კონფლიქტი მოხდა. რაც იყო, იყო, გულში წყენა არ ჩამიდია და ინციდენტს ამოწურულად მივიჩნევ. „ლელოს“ გამოხმაურებით იმდენად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემთვის მოყენებული შეურაცხყოფაც კი გადამავიწყდა. „მოვლაში“ კი ცუდი არაფერი მიგულისხმია, ჩემი ნაბიჯით პრესაში საჭირო ხმაური გამოვიწვიე, ამას ვუწოდებ „მოვლას“.

**- იმ პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ „დინამო“ არ დაგიდანაშაულებიათ. როგორ მოხდა ამგვარი გაუგებრობა?**

- „იმედის“ ჟურნალისტმა დამირეკა და მითხრა, ქართულ ფეხბურთზე ვისაუბროთო. შემდეგ უკვე „ცრვენა ზვეზდა“-„დინამოზე“ ჩამომიგდეს სიტყვა და ამ მატჩზე ვრცლად ველაპარაკე. მკითხეს, ეს შეხვედრა ჩაწყობილი ხომ არ გგონიაო, რაზედაც მე კატეგორიული უარი განვაცხადე. შემდეგ კი სიუჟეტი ისე დაამონტაჟეს, თითქოს „დინამოს“ თამაშის გაყიდვაში ბრალს ვდებდი. ამ თემაზე უკვე ვისაუბრე და მოხარული ვარ, სიმართლე რომ გაირკვა

**- არადა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სიუჟეტის მთავარი სამიზნე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა იყო და არა „დინამო“.**

- დიახ, მეც ასე ვფიქრობ და ფედერაციის წინააღმდეგ თავადაც გახლავართ განწყობილი. ფეხბურთის ფედერაციაში ხელმძღვანელობა რომ შესაცვლელია, ამაზე თითქმის აღარავინ დავობს. ამ ხალხმა ვერაფერი გააკეთა და ასპარეზი სხვებს უნდა დაუთმოს.

**- და ვინ უნდა შეცვალოს ახალკაცი?**

- კონკრეტულ პიროვნებებს ვერ გეტყვით, თუმცა კი სათავეში ის ხალხი უნდა მოვიდეს, ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია. დღეს ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია. არ შეიძლება, რომ ჩვენი დამსახურებული მოთამაშეები ფეხბურთს იყვნენ ჩამოცილებულნი, მათ გასაქანი უნდა მივცეთ. გვარების დასახელებას არ შევუდგები, მათი ვინაობა ისედაც ყველამ იცის. როცა ინგლისში ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის საკითხი დგება, აზრს ბობი ჩარლტონს ეკითხებიან, ასეა ყველა საფეხბურთო ქვეყანაში - ვეტერანების აზრს დიდ პატივს სცემენ და ითვალისწინებენ. კარგი იქნება, თუ მწვრთნელები, ჟურნალისტები, მსაჯები, ჩინოვნიკები და ქართულ ფეხბურთში ჩახედული ყველა ადამიანი შევიკრიბებით და არსებულ სიტუაციაზე, აქედან გამოსვლის გზებზე ვილაპარაკეთ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ქართული ფეხბურთის მომავალი ხელმძღვანელიც ასეთ შეხვედრებზე უნდა გამოიკვეთოს.

## კალაძე ძირითადში დასაყენებელი არ იყო...

**- დიდი ხანია, ეროვნული ნაკრების თამაშიც არ შეგიფასებიათ.**

- ჟირესისგან განსხვავებით, რომელიც ჟორდანიამ ჩვენს გუნდში პლატინის ხათრით დანიშნა, საქართველოს ეროვნული ნაკრების შემდგომ უცხოელ მწვრთნელებს კვალიფიკაცია არ დაეწუნებოდათ, მაგრამ ვერც ტოპმიოლერმა და ვერც კუპერმა ქართულ ფეხბურთს ალღო ვერ აუღეს. ვერ ვნახე ტაქტიკური მრავალფეროვნება, სწრაფი გადაწყვეტილებები თამაშის დროს, სიახლის ძებნის სურვილი... მაგალითად, იტალიასთან თამაში ავიღოთ. საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს მოედნის ცენტრი მოუგო, რადგან კუპერმა სამი საყრდენი ნახევარმცველით ითამაშა. თუმცა თამაშს მხოლოდ ტაქტიკით ვერ მოიგებ, შემადგენლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. რაღა თქმა უნდა, იტალიას ჩვენზე უკეთესი შემსრულებლები ჰყავს, მაგრამ კუპერს მაინც შეეძლო უკეთესი საკადრო გადაწყვეტილებების მიღება. თამამად ვიტყვი, რომ კალაძე არ იყო ძირითად შემადგენლობაში დასაყენებელი. რა თქმა უნდა, დღეს მისნაირი მცველი არ გვყავს, მაგრამ როცა ფეხბურთელს ნახევარი წელიწადი არ უთამაშია, იგი საქმეში პირდაპირ იტალიასთან არ უნდა ჩართო. აქედან გამომდინარე, კახას ავტოგოლებიც არ არის ძალიან გასაკვირი. ჯანო ანანიძე ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ არც იგი იყო სასტარტოში დასაყენებელი. აქ საქმე მარტო ასაკს არ ეხება. ზოგი ფეხბურთელი მის წლოვანებაში ფიზიკურად მოლონიერებულია, რასაც ანანიძეზე ვერ ვიტყვით. უხეშ იტალიელებს შეიძლებოდა მისთვის მძიმე ტრავმა მიეყენებინათ.

**- დღევანდელი ფეხბურთელებით შესაძლებელია გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევა?**

- ძლიერი კონტინგენტი ნამდვილად არ გვყავს, მაგრამ მაინც შეიძლება არსებული კადრების უკეთ გამოყენება. მაგალითისთვის მერებაშვილიც კმარა, რომელიც „დინამოში“ ბრწყინავს, ნაკრებში კი შესაფერისი პოზიცია ვერ მოუძებნეს.

## უვიცმა დარსაძემ პროფლიცენზია არ მაღირსა

**- ამბობენ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას უმიზნებთ...**

- ტყუილია! მე მხოლოდ ის მინდა, ჩვენს ეროვნულ გუნდს პატიოსანი და საქმეში ჩახედული მწვრთნელი ჰყავდეს. კუპერის კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანა სისულელე იქნება, მაგრამ მან ვერ გაითავისა ჩვენი ფეხბურთი. ჩემი აზრით, თემურ ქეცბაია საქართველოს ნაკრებისთვის იდეალური მწვრთნელი იქნებოდა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჯერჯერობით, მას ამის სურვილი არ აქვს. მისი მესმის, მაგრამ პირველ ეტაპზე ეგებ გააგრძელოს საბერძნეთში მუშაობა და ჩვენს ნაკრებში ასისტენტად იმუშაოს. ამით დამატებით გამოცდილებასაც მიიღებს და მომავალი პოსტისთვისაც სათანადოდ მოემზადება.

**- უკვე საკმაო ხანია, რაც უმუშევარი ხართ. მოწვევები თუ გაქვთ?**

- რუსეთში წასვლის სურვილი არ მაქვს, რადგან იქ ოჯახის წაყვანა და თბილისში ხშირად ჩამოსვლა გამიჭირდება. ასეთ სიტუაციაში კი თავს არაკომფორტულად ვიგრძნობ. არაა გამორიცხული, უახლოეს პერიოდში სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან მივიღო წინადადება, მაგრამ მე საქართველოში ყოფნა მირჩევნია. თუნდაც არ იყოს უმაღლესი ლიგის კლუბი, მირჩევნია, ნიჭიერი ახალგაზრდები ვავარჯიშო და მათ დიდი ფეხბურთისკენ გავუკვალო გზა. უსაქმოდ ერთი დღითაც კი არ ვჩერდები, ახალგაზრდებს ვავარჯიშებ, რეგიონებში დავდივარ და ვეძებ ტალანტებს, ვადევნებ თვალს საერთაშორისო მატჩებს და ჩანაწერებს ვაკეთებ... შესაძლოა, შემდგომში დიდ ფეხბურთსაც დავუბრუნდე. უვიცმა გაიოზ დარსაძემ პროფლიცენზია არ მაღირსა, სამაგიეროდ, ამას უკრაინაში მივაღწიე. როგორც მწვრთნელი, ყოველდღიურად ვშრომობ და თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციებს ვინიშნავ. ეს ცოდნა ქართულ ფეხბურთს მინდა მოვახმარო და იმედია, ხელს არ შემიშლიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფეხბურთი და ხელისუფლება

# მეორე რაუნდი დაიწყო?

## პრემიერის შეფასება: ერთ კომბინაციასაც ვერ ათამაშებენ

საყურადღებო მოვლენა მოხდა რუსთავში, სადაც 7 სექტემბერს სამთავრობო აქცია - „მთავრობის ანგარიში ხალხს“ - რუსთავში გაგრძელდა. პრემიერ-მინისტრ **ნიკა გილაურთან** ერთად აქციაზე თითქმის ყველა სამინისტროს პირველი პირი ბრძანდებოდა. პრემიერმა ხალხის კითხვებსაც უპასუხა და უყურადღებოდ არც იტალიასთან საქართველოს ნაკრების წაგება დატოვა. მან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელს ბოლო ორ კვირაში მეორედ მიანიშნა, რომ ფეხბურთში საქმე ძალიან ცუდადაა.

გილაურმა ფედერაციის მუშაობით უკმაყოფილება პირველად 21 აგვისტოს გამართულ სამთავრობო სხდომაზეც გამოთქვა და კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ **ნიკა რურუას** საკითხის შესწავლა დაავალა. თავის მხრივ, რურუამ სხდომის შემდეგ ფეხბურთში პრიორიტეტების შეცვლაზეც ილაპარაკა.

*„ერთი კომბინაციაც ვერ გაითამაშეს“*, - ამჯერად, პრემიერმა უკმაყოფილება გულშემატკივართა პოზიციიდან დააფიქსირა. მანამდე კი უკმაყოფილება ოპოზიციონერებმაც გამოთქვეს. ფეხბურთი ხომ ყოველთვის იყო პოლიტიკური თამაშების თემა. მაგალითად, „მომავლის პარტიის“ ლიდერი **გია მაისაშვილი მიხეილ სააკაშვილისთვის** გაგზავნილ ღია წერილში, ქვეყანაში დემოკრატიის შეზღუდვის კონტექსტში, ფეხბურთსაც შეეხო:

*„რაზეა ლაპარაკი, როცა ფეხბურთის ფედერაციაშიც კი არ დაუშვით ნამდვილი არჩევნები. შედეგად, ოდესღაც სახელგანთქმული ქართული ფეხბურთი დღეს საკუთარ მოედანზე კიშინიოვის „ნისტრუსთან“ მარცხდება“.*

უფრო სწორად, „ქართული ფეხბურთი“ კიშინიოვის „ნისტრუსთან“ კი არა, საქართველოს ნაკრები დამარცხდა მოლდოვის ნაკრებთან, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ფეხბურთში არსებული კატასტროფული ვითარების გამოსწორებით სახელმწიფოს დაინტერესება აშკარაა. ხელისუფლებაში ხვდებიან, რომ ამ სფეროში წარუმატებლობა ისევ მათ იმიჯზე აისახება და წამგებიანია იმ ორგანიზაციასთან ასოცირება, სადაც საქმე ცუდად მიდის. ამტკიცებენ კიდეც - იტალიასთან მატჩიდან რამდენიმე წუთში ფედერაციის წარმომადგენლებს უკმაყოფილების ხმა „ზემოდანაც“ მიაწვდინეს.

რა თქმა უნდა, დროა, ფეხბურთში ვითარება დალაგდეს, მაგრამ გაცილებით კონსტრუქციულად და საქმიანად, და რაც მთავარია - თუ რეალურ ცვლილებებზე მიდგება საქმე, საფეხბურთო საზოგადოების აზრი ყველამ უნდა გაითვალისწინოს. ვფიქრობთ, ამის უნარი და შესაძლებლობა საფეხბურთო სამყაროსაც აქვს. სახელმწიფო კი ფეხბურთს ფინანსურად უნდა დაეხმაროს. ზერელე, პოპულისტური განცხადებებითა და გადაწყვეტილებებით საქმეს არ მოევლება, შესაძლოა, უფრო გაფუჭდეს კიდეც.

ახლა ისაა საკითხავი, რა შეიცვლება ფეხბურთის ფედერაციაში მანამდე, ვიდრე ფეხბურთში არსებულ რთულ ვითარებაზე გილაური კიდევ ერთხელ შეგვახსენებს? ვფიქრობთ, მთავრობა ამ რეპლიკებზე ხალხის რეაქციას ელის და ამის მიხედვით იმოქმედებს.

ხალხის რეაქციის მაჩვენებელს კი gamokitkhva.ge აქვეყნებს. ინტერნეტგვერდის ადმინისტრაციამ გულშემატკივრებს რამდენიმე კითხვა დაუსვა.

**უნდა დარჩეს თუ არა კუპერი ნაკრების მწვრთნელად?**

| | |
|---|---|
| ა. კი, ვაცალოთ მუშაობა | 44.06% |
| ბ. არა, ქართველი სჯობს, უკეთ იცის ფსიქოლოგია | 29.75% |
| გ. არა, მაინც ვერაფერს მიაღწევენ ამ შემადგენლობით | 22.23% |
| დ. სხვა | 3.95% |

სულ 7691 ხმა

**რატომ ვერ აღწევს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები წარმატებებს?**

| | |
|---|---|
| ა. ფედერაცია არვარგა | 61.8% |
| ბ. მთავრობა არ ზრუნავს ფეხბურთის განვითარებაზე | 14.45% |
| გ. ცუდი თაობაა | 11.2% |
| დ. ფეხბურთელები თავს ზოგავენ | 7.84% |
| ე. სხვა | 2.73% |
| ვ. მწვრთნელების ბრალია | 1.98% |

სულ 8570 ხმა

**რომელ ადგილს დაიკავებს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მიმდინარე შესარჩევ ციკლში?**

| | |
|---|---|
| 6 | - 71.97% |
| 5 | - 17.35% |
| 1 | - 4.11%1 |
| 4 | - 3.75% |
| 3 | - 1.5% |
| 2 | - 1.31% |

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# დავით კვირკველია ნაკრებში ვინ დამიძახებს, როცა კლუბში არ მათამაშებენ?!

## კვირკველიას ახალი სტიმული გაუჩნდა



ყაზანის „რუბინის“ ქართველმა ლეგიონერმა დავით კვირკველიამ აშკარად გაგვაოცა. ის ექტორ კუპერმა იტალიასთან მატჩისთვის არ გამოიძახა, თუმცა რუსეთის ჩემპიონის მარცხენა მცველი იმ იშვიათი კატეგორიის მოთამაშე აღმოჩნდა, რომელმაც გამოუძახებლობის მიზეზად საკუთარი თავი დაასახელა და არა - მწვრთნელის კაპრიზი. ბოლო დროს კვირკველია ყაზანელთა ძირითად შემადგენლობაში აღარ ჩანს, რასაც ის მძიმედ განიცდის.

**- დავით, ნაკრებში თქვენი არგამოძახების მიზეზი რა არის? კუპერი აღარ გენდობათ?**

- ნაკრებში ვინ დამიძახებს, როცა კლუბში არ მათამაშებენ?!

**- „რუბინში“ თქვენს პოზიციაზე არგენტინელი ანსალდი დამკვიდრდა. თუ ასე გაგრძელდა, კლუბის შეცვლას გამორიცხავთ?**

- ნაჩქარევად გადაწყვეტილების მიღება არ მჩვევია. იქნებ, შანსი გამიჩნდეს. ფაქტია, წელს კარგად ვერ ვითამაშე. მოსკოვის „სპარტაკთან“ პენალტი ავიკიდე, „ზენიტთან“ წითელი ბარათით დამსაჯეს... ანსალდი კი ძალიან კარგ ფორმაშია და მე ვინ დამაყენებს? მართალია, კონკურენტია, მაგრამ ტყუილს ვერ ვიკადრებ, ბიჭი მშვენივრად თამაშობს, დღემდე ერთი შეხვედრაც არ ჩაუგდია.

**- დარჩებით „რუბინში“?**

- ჯერ წასვლაზე არ ვფიქრობ. თუმცა საბოლოოდ ისე გადავწყვეტ, როგორც ჩემი კარიერისთვის იქნება უკეთესი.

**- ბოლო დროს დამაჯერებლად ვერც ეროვნულ ნაკრებში გამოიყურებოდით...**

- ესეც საკლუბო ჩავარდნის ბრალია. ვაღიარებ, რომ წელს შანსი ვერ გამოვიყენე. ასეც ხდება ხოლმე, რას ვიზამ?.. მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოვასწორო, ჩემს შანსს დაველოდები. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ყველაფერი კარგად იქნება და არ მინდა, გული ავიცრუო.

**- მართალია, თითქოს ზაფხულში ევროპაში წასვლის შანსი გქონდათ?**

- არა, კონკრეტული ვარიანტი არ ყოფილა. ბევრი კი დაწერილა ამ თემაზე, მაგრამ არც მე დამკავშირებია ვინმე და არც ჩემს მენეჯერ მამუკა ჯულელთან ულაპარაკიათ.

**- ერთ-ერთმა პოპულარულმა სატრანსფერო ვებგვერდმა 3,3 მილიონ ევროდ შეგაფასათ. გამოდის, რომ ამ მხრივ ქართველ ფეხბურთელებში კახა კალაძის შემდეგ მეორე ადგილზე ხართ...**

- სხვათა შორის, ეგ არ არის ჩემთვის კარგი. რომ დამჭირდეს, „რუბინი“ ნაკლებ თანხად არ გამიშვებს.

**- თქვენი რეალური სატრანსფერო ფასი თუ იცით?**

- წარმოდგენაც არ მაქვს. მსგავსი ლაპარაკი ხელმძღვანელობასთან ჯერ არ მქონია, არც დამჭირვებია.

**- უთამაშებლობის გამო ფსიქოლოგიურად ხომ არ გატყდით?**

- პირიქით, ახლა უფრო მონდომებით ვვარჯიშობ და ვცდილობ, კალაპოტში ჩავჯდე. მწვრთნელს უნდა დავუმტკიცო, რომ კიდევ ერთ შანსს ვიმსახურებ. ჩავარდნა ყველა ფეხბურთელს ჰქონია, მე კი პატარა პრობლემაზე ცხვირის ჩამოშვება არ მახასიათებს. ბოლოს და ბოლოს, ყაზანის „რუბინი“ მდიდარი კლუბია და საკმაოდ ძვირად ღირებული ტრანსფერების საშუალება გააჩნია. კლუბს რომ არ ვჭირდებოდე, ტრანსფერზე დამაყენებდნენ და ჩემს მაგივრად, უპრობლემოდ შეიძენდა ძლიერ ფეხბურთელს. რადგან ასე არ მოხდა, გამოდის, ყურბან ბერდიევი მენდობა.

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოურ პრესაში



# კუპერს იტალია ენატრება

**საქართველო-იტალიის მატჩზე მყოფი იტალიური „ლა რეპუბლიკას“ კორესპონდენტი ემანუელე გამბა შეგვპირდა, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე იმ სტატიას გამოგვიგზავნიდა, რომელსაც თავის გაზეთში გამოაქვეყნებდა. გამბამ სიტყვა შეასრულა, მის წერილს გულდასმით გავეცანით და „ლელოში“ გამოქვეყნება საჭიროდ ვცანით. „ლა რეპუბლიკას“ ფურცლებზე დაბეჭდილი პუბლიკაციის მთავარი გმირი ხომ ექტორ კუპერია. თანაც, ჩვენი ნაკრების თავკაცზე პირველივე წინადადებიდან საინტერესო ამბავს ვკითხულობთ...**

კუპერს იტალიაში სურს დაბრუნება. *„თქვენთან ძალიან ბედნიერი ვიყავი იმის მიუხედავად, რომ „ინტერიდანაც“ და „პარმადანაც“ ცუდად წავედი. მაგრამ ეგ არაფერი, მთავარი ისაა, რომ იტალიაში იმ ფეხბურთს თამაშობენ, რომელიც მე ყველაზე მეტად მომწონს,* - გვითხრა კუპერმა. *„იტალია მენატრება, დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი „ინტერში“, მაგრამ ამის ნაკლებად მჯერა. მოურინიო მშვენივრად მუშაობს და მისი ხელმძღვანელობით გუნდი კიდევ ბევრს მიაღწევს“.* კუპერი ამჟამად თბილისში ცხოვრობს და საუკეთესო ფეხბურთს შორიდან ადევნებს თვალყურს.

კუპერი საქართველოს ნაკრების ათამაშებას ცდილობს. ამ გუნდს აქვს გარკვეული პოტენციალი, მაგრამ არგენტინელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, ისიც სადებიუტო და ამხანაგური – უელსში.

კუპერის შედეგებით ქართველი გულშემატკივარი კმაყოფილი არ არის, მაგრამ ხალხს გაცილებით ცუდად ახსენდება გერმანელი **კლაუს ტოპმიოლერი**, რომელიც კუპერისგან განსხვავებით, სამშობლოში ცხოვრობდა და საქართველოში თვეში ერთხელ ჩადიოდა. ექტორს კი თბილისში ბინა აქვს და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ტურს არ აცდენს. სიტყვამ მოიტანა და ქვეყნის ამჟამინდელ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ წლების წინ იტალიელი **ჯანი კარნევალე** წვრთნიდა. საქართველოს რაც შეეხება, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ ქვეყანამ შარშან რუსეთთან ომი გადაიტანა და ჩრდილოელ მეზობელთან დღესაც დაძაბული ურთიერთობა აქვს. მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია.

იტალიის სტუმრობამ ქართველ ქომაგებში ამჯერადაც დიდი ინტერესი გამოიწვია, ამასთან ერთად კი, ხალხს **ჯანო ანანიძის** დებიუტის ხილვა სურდა. იგი მარჯვენა ნახევარმცველია, სულ რაღაც 16 წლისაა და მოსკოვის „სპარტაკის“ ღირსებას იცავს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მის თბილისში ჩასაყვანად დიდი ჯაფა დაადგა, რადგან რუსები თავის მოქალაქეობასა და როგორც ამბობენ, ორ მილიონ დოლარსაც სთავაზობდნენ. *„მე ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრებში ვითამაშებ“* – ამ სიტყვებით მოიგერია მან რუსი იმპერიალისტების შეტევა.

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც **მალხაზ ასათიანმა** საქართველოს ნაკრებში ბოლო მატჩი ჩაატარა. ეს ბიჭი რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის ლიდერი იყო, 2003 წელს კი, როცა საქართველომ რუსეთს მისი გოლით ისტორიული მატჩი მოუგო, ეროვნულ გმირად იქცა. ნაკრებს მილმა კი ასე ალმოჩნდა – ირლანდიასთან შარშანდელ მატჩში იგი შეცვლაზე შევიდა, რამდენიმე დღეში კი საქართველოს ნაკრები იტალიას ეწვია. ასათიანმა კუპერს სთხოვა, თუ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მომცემ, კლუბში დვბრუნდებიო. კუპერმა გაუშვა და მას შემდეგ აღარ შეხმიანებია...

*„ამ შესარჩევ ციკლში მოკრძალებული მიზანი-ლა დაგვრჩა – თუნდაც ერთი გამარჯვება. მომდევნო საკვალიფიკაციო ტურნირში კი საქართველოს ნაკრებს მეტის მიღწევა შეუძლია“,* - ეს ისევ კუპერის სიტყვებია. ვნახოთ, მომავალი ციკლის დროს იგი ისევ საქართველოში იქნება თუ იტალიას დაუბრუნდება...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვარსკვლავების მატჩი

# ჯანაშიას დუბლი რუსეთის კარში

## რით დაამახსოვრდა ერიქსონს ქართველი ფორვარდი

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე „ვარსკვლავების მატჩი გაიმართა. 90-იანი წლების „ლოკომოტივის“ გამორჩეული ფეხბურთელები რუსეთის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავებს დაუპირისპირდნენ. შეხვედრა რკინიგზელებმა 4:3 მოიგეს. ცხადია, „ლოკომოტივის“ ვარსკვლავთა შორის ზაზა ჯანაშიამაც ითამაშა. ის სასტარტო შემადგენლობაში იყო და სახელგანთქმულ რინატ დასაევს ორი გოლიც გაუტანა. მოდი, შემადგენლობებსაც გადავხედოთ:



ლოკომოტივი - ოვჩინიკოვი, გორლუკოვიჩი, დროზდოვი, ჩუგაინოვი, კოსოლაპოვი, მამინოვი, ჯანაშია, ლოსკოვი, პაშინინი, ჩერევჩენკო, ელიშევი. შეცვლაზე შევიდნენ - ხაპოვი, ლავრიკი, ბატურენკო, ხარლაჩოვი, გარინი, სარქისიანი, ოგანესიანი, ვესელიოვი, ელიშევი, არიფულინი, ფუზაილოვი.

რუსეთის ნაკრები - დასაევი, ტიტოვი, კარპინი, კოვტუნი, ალეინიჩევი, ტიხონოვი, რადიმოვი, ანანკო, ბესჩასტნიხი, ცვეიბა, პანოვი. შეცვლაზე შევიდნენ - გრუშინი, სიმუტენკოვი, კორნიუხინი, კუზნეცოვი, ვერეტენნიკოვი, ესიპოვი.



ზაზა ჯანაშიას საფირმო მალაყი ვარსკვლავთა მატჩში

მატჩის შემდეგ ჯანაშიამ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა.

- მოსკოვის „ლოკომოტივი“ ჩემი ცხოვრების ნაწილია და უზომოდ ბედნიერი ვარ, კიდევ ერთხელ რომ ვითამაშე ამ გუნდისთვის. გახარებული ვარ იმითიც, რომ „ვარსკვლავების მატჩში“ უამრავი ნაცნობ-მეგობარი მოვინახულე, ისინიც, ვინც დიდხანს არ მყავდნენ ნანახი.

**- თქვენს თამაშში აშკარად იგრძნობოდა, რომ ამ მატჩისთვის საგანგებოდ მოემზადეთ... მით უმეტეს გოლებიც ლამაზი შეაგდეთ. მართლა ვვარჯიშობდით ამ შეხვედრამდე?**

- კი, ასეა. რამდენიმე დღის განმავლობაში დავრბოდი, ვვარჯიშობდი, ბურთიც გავაგორე... თავის დროზე, ფეხბურთელობისას, გულშემატკივარს კარგად დავამახსოვრე თავი და მინდოდა, ამჯერადაც კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა ქომაგებზე. ეს ყველანაირად ვცადე და ალბათ გამომივიდა კიდეც, ორი გოლი გავიტანე და ორივე - ეფექტური... მართალია, საუკეთესო წლებს მთელი 10 წელი გვაშორებს, მაგრამ ჩვენ, ვეტერანებმა, ამ მატჩში კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ, რომ დღემდე შეგვრჩა ძალ-ღონე.

**- სასტარტო შემადგენლობაში კი იყავით, მაგრამ მწვრთნელმა მეორე ტაიმის დაწყებიდან მალევე შეგცვალათ...**

- მართალი გითხრათ კიდევ შემეძლო თამაში და მინდოდა კიდეც, მაგრამ იური პავლოვიჩმა (სიომინმა - ავტ.) შემცვალა. „ლოკომოტივის“ განაცხადში ბევრნი ვიყავით და ამ შეხვედრაში ყველას უნდა ეთამაშა. ამიტომაც მომიწია მოედნის დატოვებამ, თორემ ერთი გოლის გატანა კიდევ მინდოდა. თუმცა ეს არაფერია, ორი გოლი მაინც მოვასწარი და საფირმო მალაყიც შევასრულე... გულშემატკივარს მატჩის წინადღეს სწორედ გოლსა და მალაყს დავპირდი და სიტყვაც შევასრულე.

**- მალაყის გაკეთებაშიც წაივარჯიშეთ?**

- მალაყი უკვე წლებია ჩვევად მექცა, მაგრამ კარგა ხანი არ მქონდა გაკეთებული და წავივარჯიშე. მალაყს ჯერ კიდევ ბავშვობაში ვასრულებდი გოლის შემდეგ... ამჯერად, ასაკის მიუხედავად მალაყის შესრულება არ გამჭირვებია. მართალი გითხრათ, ამჟამად ჩემთვის რამდენიმე მალაყის გაკეთება უფრო იოლია, ვიდრე გოლის გატანა.

**- ფეხბურთელის კარიერისას ბევრი გოლი გაგიტანიათ, ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

- 1999 წელს, თასების თასის ნახევარფინალში რომის „ლაციოს“ კარში გატანილი ბურთი და გოლით გამოწვეული უზომო სიხარული, ზღვა ემოცია, ახლაც თვალწინ მიდგას. ისიც კარგად მახსოვს, რომ ჩემი ის გოლი „ლაციოს“ მაშინდელმა თავკაცმა სვენ გორან ერიქსონმა ჟურნალისტებთან საუბარშიც კი გამოყო.

**დავით ცაბაძე**

ბავშვთა ფეხბურთი

# რომელ გუნდს დაუკრეს რუსებმა ტაში...

## ნორჩ დინამოელთა ბულგარული ტრიუმფი

სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ქართული საფეხბურთო ტრიუმფები გაიშვიათდა. ამ შემთხვევაში ჭაბუკთა ასაკში წარმატებაზე უნდა გამცნოთ, მაგრამ ესეც სასიხარულოა, რადგან ეს ჭაბუკები ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღეა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბულგარეთის ქალაქ პრიმორსკში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირი „ნორჩმა დინამოელმა“ ორი გუნდით მოიგო... ცნობისათვის: გათამაშება ორ ასაკში 1994 და 1995 წელში დაბადებულთა შორის ჩატარდა. უფროსი ასაკის გუნდები A დივიზიონში გამოვიდნენ, წლით უმცროსები კი B-ში. ორივე ამ ასაკში 5-5 გუნდი ასპარეზობდა.

ჩვენი გუნდის ამ წარმატებებზე „ნორჩი დინამოელის“ მთავარი მწვრთნელი (ყველა ასაკში) **რევაზ ბარამიძე** მოგვითხრობს, რომელიც **ვაჟა ჩიტაურთან** და **ირაკლი კენჭაძესთან** ერთად ამ გუნდებს წვრთნის.

*„ტურნირი „პრიმორსკის“ თასი რამდენიმე წელია სტაბილურად ტარდება. მიწვევა ივნისში მივიღეთ. ფინანსების გამო ჩვენი გამგზავრება ერთხანს საეჭვოც კი იყო, მაგრამ „ბილაინი“ მხარში ამოგვიდგა და ამ კომპანიის დახმარებით მივიღეთ მონაწილეობა გათამაშებაში. დიდი მადლობა „ბილაინს“. ეს კომპანია რომ არა, ამ ტრიუმფით ვერ გავახარებდით საქართველოსა და ჩვენს გულშემატკივარს. 1994 წელში დაბადებულთა შორის პირველი მატჩში მოსკოვის ცსკა-ს ჭაბუკთა გუნდი მინიმალური ანგარიშით 1:0 დავამარცხეთ. მეორე შეხვედრა პლოვდივის „ლოკომოტივთან“, ჩვენდა გასაოცრად დიდი ანგარიშით - 7:0 მოვიგეთ. დანარჩენ ორ მატჩში სლოვენიისა და კიდევ ერთ ადგილობრივ გუნდებს, ერთნაირი ანგარიშით - 4:0 ვძლიეთ. საბოლოო ჯამში, ბურთების უკეთესი მაჩვენებლით პირველ ადგილზე გავედით. რაც შეეხება 1995 წელში დაბადებულებს. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ამ გუნდმა სამიოდე თვის წინ ელიტლიგა მოიგო. ბულგარეთში, პირველ შეხვედრაში „სატურნის“ ჭაბუკები 3:0 დავამარცხეთ, სლოვენიელებს 4:1 ვძლიეთ, ბულგარელებს 2:0 მოვუგეთ, ბოლოს კი მთავარი მატჩი რინატ დასაევის აკადემიის გუნდთან გვქონდა. ამ მატჩამდე თანაბარი ქულები გვქონდა და პირველობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტები ვიყავით. მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოვიგეთ და დამსახურებულად ავიღეთ პირველი ადგილი“,* - გვითხრა რევაზ ბარამიძემ.



რევაზ ბარამიძე

„ნორჩმა დინამოელმა“ რუსებისგან ტაშიც კი დაიმსახურა: *„ბულგარეთში ჩასვლისას თავიდანვე ჩანდა, რომ მეტოქეები ფავორიტებად არ გვთვლიდნენ. ალბათ იფიქრეს, ქართული გუნდია, ფიზიკურად დავჯაბნითო. თუმცა, ამ ბიჭების სასახელოდ მინდა აღვნიშნო, რომ მათ ყველაფერი გაიღეს გამარჯვებისთვის. ერთია მონდომება და ბრძოლისუნარიანობა და მეორე - სათამაშო დისციპლინა და მწვრთნელის დავალების შესრულება. ამ ბიჭებს დითირამბებს ნამდვილად არ ვუძღვნი, მაგრამ ფაქტია, ისინი ყველა ამ კომპონენტში გამორჩეულები იყვნენ. საერთოდ კი მინდა აღვნიშნო, რომ ამ ასაკებში კარგი თაობა მოდის, 1-2 წელიწადში ისინი 17-წლამდელთა ნაკრებშიც გამოჩნდებიან... შარშანდელმა ომმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას დიდი დაღი დაასვა. თუმცა ეს ბულგარეთში, არ იგრძნობოდა. რუსების ორივე გუნდი, დასაევის აკადემია და ცსკა-ს ჭაბუკები დავამარცხეთ, მაგრამ მათგან ბოღმა კი არ გვიგრძნია, ორივე მოგების შემდეგ ტაში დაგვიკრეს“,* - აღნიშნა „ლელოსთან“ საუბარში „ნორჩი დინამოელის“ თავკაცმა.

**დავით ცაბაძე**

სამხ. აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო მატჩების წინ. ევროპა

# ინგლისი, ესპანეთი და...



ანრიმ საფრანგეთს შანსი დაუტოვა

სამწუხაროდ, ვერ გეტყვით ზუსტად რამდენმა ნაკრებმა მოიპოვა ნუხელ სამხრეთ აფრიკის საგზური, რადგან ამერიკაში საკვალიფიკაციო მატჩები გვიან ღამით დასრულდა. ევროპაში კი ორი საგზური გათამაშდა: ჰოლანდიელებს კვალში ინგლისელები და ესპანელები ჩაუდგნენ.

ინგლისის ნაკრებმა „უემბლიზე" **სლავენ ბილიჩის** ხორვატია გააცამტვერა - 5:1 და VI შესარჩევი ჯგუფი მოიგო. **ფრენკ ლემპარდისა** და **სტივენ ჯერარდის** დუბლებს **უეინ რუნიმ** ერთიც დაუმატა, ხორვატთაგან კი ერთადერთი გოლი არსენალელმა **ედუარდომ** გაიტანა. **ფაბიო კაპელოს** გუნდმა ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო, ისევე, როგორც **ვისენტე დელ ბოსკეს** ესპანეთმა, რომელმაც ესტონეთს 3:0 სძლია, მაგრამ საგზურს ვერ დაიბევებდა, ბოსნიელებს თურქებისთვის რომ მოეგოთ. ეს შეხვედრა 1:1 დასრულდა და ესპანეთი მეტოქეთათვის მიუღწეველი აღმოჩნდა. ესტონელთა კარში გოლები **სესკ ფაბრეგასმა, სანტი კასორლამ** და **ხუან მატამ** გაიტანეს.

სანახევრო საგზური მოიპოვა ბაჰრეინის ნაკრებმა, რომელმაც საუდის არაბეთთან სტუმრად 2:2 ითამაშა (პირველი თამაში 0:0). ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამსვლელს ოქტომბერ-ნოემბერში ბაჰრეინი და ახალი ზელანდია ორმატჩიან პლეი ოფში გაარკვევენ.

### I ჯგუფი

**მალტა-შვედეთი 0:1**

გოლი: 0:1 აზოპარდი (81-საკ. კარში)

**ალბანეთი-დანია 1:1**

გოლები: 0:1 ბენდტნერი (40), 1:1 ბოგდანი (51)

**უნგრეთი-პორტუგალია 0:1**

გოლი: 0:1 პეპე (10)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 8 | 5 | 3 | 0 | 15-4 | 18 |
| 2. შვედეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-3 | 15 |
| 3. პორტუგალია | 8 | 3 | 4 | 1 | 10-5 | 13 |
| 4. უნგრეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-5 | 13 |
| 5. ალბანეთი | 9 | 1 | 4 | 4 | 5-9 | 7 |
| 6. მალტა | 9 | 0 | 1 | 8 | 0-22 | 1 |

### II ჯგუფი

**ისრაელი-ლუქსემბურგი 7:0**

გოლები: 1:0 ბარდა (9), 2:0 ბარუჩიანი (15), 3:0 ბარდა (21), 4:0 ბარდა (44), 5:0 გოლანი (58), 6:0 საჰარი (63), 7:0 საჰარი (84)

**მოლდოვა-საბერძნეთი 1:1**

გოლები: 0:1 გეკასი (33), 1:1 ანდრონიკი (90)

**ლატვია-შვეიცარია 2:2**

გოლები: 0:1 ფრაი (43), 1:1 კაუნა (61), 2:1 ასტაფიევსი (75), 2:2 დერდიოკი (80)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-8 | 17 |
| 2. საბერძნეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 14 |
| 3. ლატვია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-8 | 14 |
| 4. ისრაელი | 8 | 3 | 3 | 2 | 17-9 | 12 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-20 | 5 |
| 6. მოლდოვა | 8 | 0 | 3 | 5 | 3-12 | 3 |

### III ჯგუფი

**ჩეხეთი-სან მარინო 7:0**

გოლები: 1:0 ბაროში (28), 2:0 ბაროში (44), 3:0 ბაროში (45-პენ), 4:0 სვერკოში (47), 5:0 ბაროში (66), 6:0 ნესიდი (86), 7:0 სვერკოში (90)

გაძევება: ბაჩოკი (54. სან მარინო)

**ჩრ. ირლანდია-სლოვაკეთი 0:2**

გოლები: 0:1 შემტაკი (15), 0:2 ჰოლოშკო (67)

**სლოვენია-პოლონეთი 3:0**

გოლები: 1:0 დედიჩი (12), 2:0 ნოვაკოვიჩი (45), 3:0 ბირსა (62)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-8 | 19 |
| 2. სლოვენია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-4 | 14 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 13-9 | 14 |
| 4. ჩეხეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-6 | 12 |
| 5. პოლონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 19-10 | 11 |
| 6. სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1-44 | 0 |

### IV ჯგუფი

**ლიხტენშტაინი-ფინეთი 1:1**

გოლები: 0:1 ლიტმანენი (74-პენ), 1:1 პოლვერინო (75)

გაძევება: მ. ბიუხელი (76. ლიხტენშტაინი)

**უელსი-რუსეთი 1:3**

გოლები: 0:1 სემშოვი (36), 1:1 კოლინზი (54), 1:2 იგნაშევიჩი (71), 1:3 პავლიუჩენკო (90)

**გერმანია-აზერბაიჯანი 4:0**

გოლები: 1:0 ბალაკი (14-პენ), 2:0 კლოზე (55), 3:0 კლოზე (65), 4:0 პოდოლსკი (70)

გაძევება: აბასოვი (50. აზერბაიჯანი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 24-4 | 22 |
| 2. რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-4 | 21 |
| 3. ფინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-12 | 14 |
| 4. უელსი | 8 | 3 | 0 | 5 | 6-10 | 9 |
| 5. ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 2 | 6 | 2-19 | 2 |
| 6. აზერბაიჯანი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-13 | 1 |

### V ჯგუფი

**სომხეთი-ბელგია 2:1**

გოლები: 1:0 გოჰარიანი (23), 2:0 ჰოვსეპიანი (52), 2:1 კამარგო (90)

**ბოსნია-თურქეთი 1:1**

გოლები: 0:1 ემრე (4), 1:1 სალიჰოვიჩი (25)

**ესპანეთი-ესტონეთი 3:0**

გოლები: 1:0 ფაბრეგასი (33), 2:0 კასორლა (81), 3:0 მატა (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21-2 | 24 |
| 2. ბოსნია | 8 | 5 | 1 | 2 | 21-8 | 16 |
| 3. თურქეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-8 | 12 |
| 4. ბელგია | 8 | 2 | 1 | 5 | 11-18 | 7 |
| 5. ესტონეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-22 | 5 |
| 6. სომხეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-18 | 4 |

### VI ჯგუფი

**ინგლისი-ხორვატია 5:1**

გოლები: 1:0 ლემპარდი (7-პენ), 2:0 ჯერარდი (17), 3:0 ლემპარდი (59), 4:0 ჯერარდი (67), 4:1 ედუარდო (72), 5:1 რუნი (78)

**ანდორა-ყაზახეთი 1:3**

გოლები: 0:1 ხიჟიჩენკო (15), 0:2 ბალტიევი (28), 0:3 ხიჟიჩენკო (34), 1:3 სონეხე (69)

**ბელარუსი-უკრაინა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 8 | 0 | 0 | 31-5 | 24 |
| 2. ხორვატია | 9 | 5 | 2 | 2 | 17-12 | 17 |
| 3. უკრაინა | 8 | 4 | 3 | 1 | 14-6 | 15 |
| 4. ბელარუსი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-11 | 10 |
| 5. ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 10-23 | 6 |
| 6. ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 3-33 | 0 |

### VII ჯგუფი

**ფარერები-ლიტვა 2:1**

გოლები: 1:0 ოლსენი (15), 1:1 დანილევიჩიუსი (23), 2:1 ჰანსენი (35)

**რუმინეთი-ავსტრია 1:1**

გოლები: 1:0 ბუკური (54), 1:1 შრაიმერი (82)

**სერბეთი-საფრანგეთი 1:1**

გოლები: 1:0 მილიაში (13-პენ), 1:1 ანრი (31)

გაძევება: ლორისი (10. სერბეთი, მეკარე), ლაზოვიჩი (90. საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-6 | 19 |
| 2. საფრანგეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 10-8 | 15 |
| 3. ავსტრია | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| 4. ლიტვა | 8 | 3 | 0 | 5 | 7-8 | 9 |
| 5. რუმინეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-12 | 9 |
| 6. ფარერები | 8 | 1 | 1 | 6 | 4-12 | 4 |

### VIII ჯგუფი

**იტალია-ბულგარეთი 2:0**

გოლები: 1:0 გროსო (11), 2:0 იაკვინტა (40)

**ჩერნოგორია-კვიპროსი 1:1**

გოლები: 1:0 ვუჩინიჩი (57-პენ), 1:1 ოკასი (64)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 13-3 | 20 |
| 2. ირლანდია | 8 | 4 | 4 | 0 | 10-6 | 16 |
| 3. ბულგარეთი | 8 | 2 | 5 | 1 | 10-7 | 11 |
| 4. კვიპროსი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-12 | 6 |
| 5. ჩერნოგორია | 8 | 0 | 5 | 3 | 7-13 | 5 |
| 6. საქართველო | 8 | 0 | 3 | 5 | 4-11 | 3 |

### IX ჯგუფი

**ნორვეგია-მაკედონია 2:1**

გოლები: 1:0 ჰელსტადი (2), 2:0 ი. რიისე (25), 2:1 გრნჩაროვი (79)

**შოტლანდია-ჰოლანდია 0:1**

გოლი: 0:1 ელია (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 8 | 0 | 0 | 17-2 | 24 |
| 2. ნორვეგია | 8 | 2 | 4 | 2 | 9-7 | 10 |
| 3. შოტლანდია | 8 | 3 | 1 | 4 | 6-11 | 10 |
| 4. მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 5-11 | 7 |
| 5. ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 7-13 | 5 |

## სამხ. ამერიკა

### XVI ტური

**ბოლივია-ეკვადორი 1:3**

გოლები: 0:1 მენდესი (3), 0:2 ვალენსია (46), 0:3 ბენიტესი (56), 1:3 იესეროტი (86)

**ურუგვაი-კოლუმბია 3:1**

გოლები: 1:0 სუარესი (6), 1:1 მარტინესი (64), 2:1 სკოტი (77), 3:1 ეგურენი (88)

გაძევება: ვალდესი (30. ურუგვაი), გუტიერესი (46. კოლუმბია)

**პარაგვაი-არგენტინა** გვ. დასრულდა
**ვენესუელა-პერუ** გვ. დასრულდა
**ბრაზილია-ჩილე** გვ. დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 15 | 8 | 6 | 1 | 28-7 | 30 |
| 2. ჩილე | 15 | 8 | 3 | 4 | 25-16 | 27 |
| 3. პარაგვაი | 15 | 8 | 3 | 4 | 21-13 | 27 |
| 4. ეკვადორი | 16 | 6 | 5 | 5 | 21-23 | 23 |
| 5. არგენტინა | 15 | 6 | 4 | 5 | 20-18 | 22 |
| 6. ურუგვაი | 16 | 5 | 6 | 5 | 26-18 | 21 |
| 7. კოლუმბია | 16 | 5 | 5 | 6 | 10-14 | 20 |
| 8. ვენესუელა | 15 | 5 | 3 | 7 | 19-26 | 18 |
| 9. ბოლივია | 16 | 3 | 3 | 10 | 20-34 | 12 |
| 10. პერუ | 15 | 2 | 4 | 9 | 8-29 | 10 |

ნიკოლოზ ნეფარიძე



ესპანეთმა საგზური ოფიციალურად გაიფორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსალოდნელი გადაადგილება

# ხუანდე რამოსი მილანში?

„კორიერე დელო სპორტმა“ გუშინ მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ვერ გეტყვით რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ თუ ავტორიტეტულ სპორტულ გამოცემას ვენდობით, შესაძლოა „მილანის“ მთავარ მწვრთნელად უახლოეს მომავალში **ხუანდე რამოსი** დაინიშნოს. როგორც ჩანს, მილანურ დერბიში განადგურებამ **ლეონარდოს** სკამი ძალიან შეურყია და თუ მდგომარეობა მალე არ გამოსწორდა, მას ალბათ კარისკენ მიუთითებენ.

„კორიერე“ იუწყება, რომ ორი დღის წინ, ხუანდე რამოსს „მილანის“ სპორტული დირექტორი **არიედო ბრაიდა** დაუკავშირდა და დაახლოებით ათ წუთს ესაუბრა. ჟურნალისტის მტკიცებით, ბრაიდამ რამოსს ჰკითხა, - არის თუ არა იგი მზად განიხილოს „როსონერის“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შესაძლებლობა. ესპანელს უთქვამს, რომ ისეთი ძლიერი კლუბის ინტერესი, როგორიც „მილანია“, მასში მხოლოდ სიამაყის გრძნობას და სიხარულს იწვევს. შეგახსენებთ, რომ ხუანდემ სახელი „სევილიაში“ მუშაობისას გაითქვა, გუნდს უეფას თასი ორჯერ მოაგებინა და შემდეგ ინგლისში გადაბარგდა. „ტოტენჰემში“ მუშაობა არ დასცალდა, მალევე მიიღო „რეალის“ წინადადება და სამეფო კლუბს ჩაუდგა სათავეში. ამ ზაფხულს კი „რეალიდანაც“ მოუწია წამოსვლამ და დღემდე უმუშევარია.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „მილანს“ უკავშირდება, **სტევან იოვეტიჩს** ეხება. როგორც ამბობენ, „როსონერის“ მესვეურები დიდად არიან დაინტერესებულნი ჩერნოგორიელის გადაბირებით. იოვეტიჩი შემტევი ფეხბურთელია, ხან თავდასხმაში თამაშობს, ხანაც ოდნავ უკან არის დაწეული და ფორვარდებს გადაცემებით ამარაგებს. სავარაუდოდ, იოვეტიჩი „მილანში“ სწორედ პლეიმეიკერად სურთ, რადგან **კაკას** წასვლის შემდეგ, გუნდს ამ პოზიციაზე ძალიან უჭირს. **რონალდინიო** ვერ იხსნება, იმდენად უფერულად ასპარეზობს, რომ უკვე იმაზე მსჯელობენ, ხომ არ აჯობებდა მის ნაცვლად გამთამაშებლის პოზიცია **კლარენს ზეედორფმა** დაიკავოს. მოკლედ, რონის აღარ ენდობიან და შესაძლოა, ზამთრის სატრანსფერო ბაზრისას სრულფასოვანი შემცვლელიც მოუძებნონ.



აქვე აღვნიშნოთ, რომ იოვეტიჩმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო, გოლს გოლზე იტანს და უკვე დიდი სარგებელი მოუტანა ფლორენციის „ფიორენტინას“. სტევანი ეროვნულ ნაკრებშიც წარმატებით ირჯება, თუმცა ხშირად პარტნიორები მხარს ვერ უბამენ. ასე მოხდა ბულგარეთის ნაკრებთან დაპირისპირებისას, მატჩი ჩერნოგორიამ 4:1-ზე წააგო, კინკილა გოლი კი სწორედ იოვეტიჩმა გაიტანა. შეხვედრის შემდეგ, ბულგარელთა ფორვარდმა **ვალერი ბოჟინოვმა** სტევანზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა:

*„მოხიბლული ვარ მისი თამაშით და ვფიქრობ, რომ უდიდესი მომავალი აქვს. თავისუფლად შეუძლია უკვე წელს „ფიორენტინას“ ლიდერად ჩამოყალიბდეს. ძალიან კარგია, რომ კარიერის საწყის წლებში ისეთ სპეციალისტთან მუშაობს, როგორიც ჩეზარე პრანდელია. იტალიელ სპეციალისტს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ახალგაზრდა ფორვარდს ყოველმხრივ გვერდში ამოუდგება. მე თვითონ მიმუშავია პრანდელისთან და ბევრი რამ ვისწავლე მისგან. სტევანს ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული ვარსკვლავი გახდეს“.*

ინტერი

# მორატი სკუდეტოს დათმობას არ აპირებს

## ახალი სტადიონი ფაკეტის სახელობის იქნება

ორიოდე დღის წინ გაცნობეთ, რომ მილანის „ინტერის“ მესვეურები უახლოეს მომავალში ახალი არენის მშენებლობის დაწყებას აპირებენ. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებთან საუბარში **მასიმო მორატიმაც** დაადასტურა და გარკვეული დეტალები გაცხადა. ამასთან, მან სხვა საინტერესო საკითხებზეც ისაუბრა:

*„ჩვენ მართლაც ვგეგმავთ ახალი სტადიონის აშენებას, ეს პროექტი უკვე დამტკიცებულია და მალე სამუშაოების დაწყების ზუსტ თარიღს გაგაცნობთ. გეგმის მიხედვით, არენის მშენებლობა 2014 წლის შემოდგომაზე უნდა დასრულდეს. სტადიონის ზუსტი მაკეტი ჯერ არ არის შედგენილი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ არენაზე 60-65 ათასი მაყურებელი დაეტევა. სტადიონი მილანის ჩრდილოეთ მხარეში აშენდება და ულტრათანამედროვე აპარატურით აღიჭურვება. გადაწყვეტილია, რომ სტადიონი ჯაჩინტო ფაკეტის სახელობის იქნება. თუმცა, ამას ჯერ დაკანონება სჭირდება და უახლოეს მომავალში ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ახალი არენა გუნდს ჰაერივით სჭირდება, რადგან ქალაქის მუნიციპალიტეტს სან სიროს არენდისთვის ძალიან დიდ თანხებს ვუხდით“.*

„სქაი სპორტის“ ინფორმაციით, „ინტერს“ **ჯაჩინტო ფაკეტის** სახელობის სტადიონის აშენება 400 მილიონი ევრო დაუჯდება. თანხა კოლოსალურია და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დონის სტადიონის წამოჭიმვას აპირებენ მილანელები. მორატიმ კლუბში არსებულ ვითარებაზე და სერია A-ს სტარტზეც ილაპარაკა:

*„ჟოზე მოურინიოს გაწეულ სამუშაოს დადებითად ვაფასებ, დღეს „ინტერი“ არნახულად ძლიერია, რაც ძალიან მახარებს. ეს ჩემპიონატის სტარტმაც დაადასტურა. „ბარისთან“ ქულები დავკარგეთ, მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, დერბიში კი მეტოქე აშკარად დავჯაბნეთ. გამარჯვების მჯეროდა, მაგრამ ასე თუ გავაცამტვერებდით მეტოქეს, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ეს კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ იტალიაში ბადალი არ გვყავს. დღევანდელი გადასახედიდან, ჩვენი მთავარი კონკურენტი ტურინის „იუვენტუსი“ იქნება, თუმცა ჯერ მთელი ჩემპიონატი წინ არის და ვითარება შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს. რაც უნდა მოხდეს, „ინტერის“ მიზანი მხოლოდ ჩემპიონობა იქნება, სკუდეტოს დათმობას ნამდვილად არ ვაპირებთ“.*



ტალანტი



# კაზირაგი: მაკედამ უნდა მოუმატოს

იტალიელი ჟურნალისტები ვერაფრით ხსნიან იმას, თუ რატომ არ იძახებენ **ფედერიკო მაკედას** იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში. როგორც იცით, თინეიჯერი შემტევი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში გასულ სეზონში გამოჩნდა და თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. მაკედაზე მთელი ევროპა ალაპარაკდა, თუმცა მისი ნაკრებში მიწვევისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ საკითხზე პრესასთან იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა, **პიერლუიჯი კაზირაგიმ** ილაპარაკა:

*„მაკედას შესახებ ძალიან ბევრი მესმის და არ მგონია, ეს კარგი იყოს. ასე შეიძლება კარიერა დაუნგრიოთ ძალიან ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს. მის ტალანტს მეც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ სანახევროდაც არ არის გახსნილი. მისი მიზანი კიდევ უფრო გაზრდა უნდა იყოს და ამისთვის კლუბში დაუღალავი ვარჯიშია საჭირო. მოსამატებელი აქვს როგორც ფიზიკურ, ისე ტექნიკურ ასპექტში. მისი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება ჯერ კიდევ ადრეა და ამ საკითხზე აღარ ვაპირებ ლაპარაკს. მისთვისვე იქნება უკეთესი თუ ამ ეტაპზე კლუბში ასპარეზობაზე გააკეთებს აქცენტს - თუ საკუთარ თავზე იმუშავებს, მოვა დრო და არათუ ახალგაზრდულში, ეროვნულ ნაკრებში დაუძახებენ“.*

ქველმოქმედება



# ტიტანები ბორგონოვოსთვის ითამაშებენ

26 ოქტომბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ტიტანების ორთაბრძოლა გაიმართება. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ეგიდით, ერთმანეთს მადრიდის „რეალი“ და „მილანი“ დაუპირისპირდებიან. მათი განმეორებითი ჯახი კი უკვე სან სიროზე 3 ნოემბერს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ „რეალს“ და „მილანს“ სხვებზე მეტჯერ აქვთ მოგებული ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი - ესპანელებმა ცხრაჯერ იჩემპიონეს, იტალიელებმა კი შვიდჯერ. ბუნებრივია, ამ შეხვედრებისადმი ინტერესი კოლოსალურია. თუმცა, განმეორებითი პაექრობის წინ სან სიროზე კიდევ ერთი მატჩი შედგება, რომელიც აპენინებზე აქედანვე დიდ ყურადღებას იპყრობს. ერთმანეთს „მილანის“ და „რეალის“ ვეტერანი ფეხბურთელები დაუპირისპირდებიან.

აღნიშნულ შეხვედრას ფედერკალჩო უკეთებს ორგანიზებას და როგორც გვპირდებიან, ეს იქნება ულამაზესი სანახაობა. მატჩი საქველმოქმედოა და მთელი შემოსავალი **სტეფანო ბორგონოვოს** ფონდში გადაირიცხება. ალბათ იცით წარსულში „როსონერის“ ფეხბურთელის ტრაგედიის ამბავი - 1989/90 წლების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული იშვიათი სენით დაავადდა და სავარძელს მიეჯაჭვა. მატჩის სახე და ერთ-ერთი ორგანიზატორი იქნება ბორგონოვოს ახლო მეგობარი **რობერტო ბაჯო**.

აქვე, იმ ვეტერანი ფეხბურთელების გვარებს გაგაცნობთ, რომლებიც აღნიშნულ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას: **რობერტო ბაჯო, კარლო ანჩელოტი, რობერტო დონადონი, ჟორჟ ვეა, მარკო ვან ბასტენი, ფრანკო ბარეზი, ალესანდრო კოსტაკურტა, მაურო ტასოტი, ფილიპო გალი, ზვონიმირ ბობანი, სებასტიანო როსი** (მილანი) - **ემილიო ბუტრაგენიო, პაკო ბუიო, ხულიო ლორენტე, მანოლო სანჩისი, აიტორ კარანკა, ვიქტორ სანჩესი, რიკარდო გალიეგო, ხოსე ემილიო ამავისკა, ალფონსო პერესი, ხუან ესნაიდერი** (რეალი).

„მილანს“ **არგი საკი** უთავკაცებს, „რეალს“ კი მწვრთნელთა ტანდემი: **რუბიანიანი** და **ისიდრო**. ამ მართლაც საინტერესო პაექრობას ერთდაერთი და განუმეორებელი **პიერლუიჯი კოლინა** განსჯის.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები



# ბაიერნი: აკინფეევი ზამთარში?

რუსული და გერმანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მიუნხენის „ბაიერნი“ მოსკოვის ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების კარის დარაჯით, **იგორ აკინფეევითაა** დაინტერესებული. მეტიც, „სპორტ-ექსპრესი“ იტყობინება, რომ ბავარიელთა დაინტერესება იმდენად სერიოზულია, ტრანსფერი ზამთარში აუცილებლად განხორციელდება. 23 წლის აკინფეევი მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს მეკარედ მიიჩნევა, „ბაიერნს“ კი, მოგეხსენებათ, ყველაზე მეტად სწორედ ამ პოზიციაზე უჭირს - რეკორდმაისტერის თავკაცი **ლუის ვან გაალი** რეგულარულად ცვლის მეკარეს და თუკი სეზონის სტარტზე პირველობა **მიხაელ რენზინგს** უბოძა, ახლა ახალგაზრდა კიპერი ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვა და გამოცდილ **ჰანს-იორგ ბუტს** ათამაშებს.

მაგრამ „ბაიერნი“ ერთადერთი გუნდი არ არის, რომელსაც რუსი გოლკიპერის გადაბირება სურს. როგორც იცით, იგორის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურს.

**გოტფრიდ ლენცი**

# გაცვლიან მოტას ტიაგოში?

„კორიერეს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „იუვენტუსმა“ და „რომამ“ შეიძლება ფეხბურთელები გაცვალონ. როგორც იცით, „ჯალოროსის“ **კლაუდიო რანიერის** სახით ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელმაც უკვე დაადგა რამდენიმე ფეხბურთელს თვალი. მათ შორის ერთ-ერთი „ვეკია სენიორას“ შუახაზელი **ტიაგო** გახლავთ, ვისი გადაბირებაც რანიერის განსაკუთრებით სდომებია.

„რომას“ მესვეურები სენიორ კლაუდიოს დაჰპირდნენ, რომ ტიაგოს გადასაბირებლად ყველაფერს იღონებდნენ. უკვე დაუკავშირდნენ კიდეც ტურინელებს და იქიდან კონტრწინადადება მოისმინეს. **ჩირო ფერარას** თურმე ძალიან მოსწონს „რომას“ უკანახაზელი **მარკო მოტა** და კარგი იქნება, თუ პორტუგალიელის სანაცვლოდ სწორედ ახალგაზრდა იტალიელ მცველს დაგვითმობთო. „ჯალოროსის“ საბოლოო პოზიცია ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, გარიგება შედგება და იანვარში აღნიშნული ფეხბურთელები კლუბებს გაცვლიან.

**ლაშა ნიკლაური**

პორტრეტი

# ინგლისელი პატიენტი

**თავის დროზე არსენ ვენგერმა მასზე თქვა, ინგლისის უდიდესი ტალანტიაო, რაც ნამდვილად არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ნისლიან ალბიონზე მის გამო აჟიოტაჟი იყო ატეხილი, პატივს სცემდნენ და მის გადაბირებას ცდილობდნენ. ახლა კი, 26 წლის ჯერმენ პენანტი ყველასათვის მოულოდნელად „ლივერპულიდან“ ესპანურ „სარაგოსაში“ გადავიდა, კლუბში, რომელიც წელს ალზევდა პრიმერადივიზიონში. ნუთუ მას აღარ აქვს დიდი მომავალი? მოდით, ერთად განვიხილოთ აღვირახსნილი ინგლისელი ფეხბურთელის წარსული და აწმყო, რათა მის მომავალზე მიახლოებით სწორი ვარაუდი გვქონდეს...**

მისი ცხოვრება ძალიან ქაოტურია და ამ ფონზე, მისი ექსშეყვარებული გაოგნებული დარჩა იმ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჯერმენმა დაამტკიცა, რომ შეუძლია, ყველაფერი წესრიგში ჰქონდეს და თავისი ყოველდღიურობა იდეალურად აკონტროლოს. ეს იყო საღამო, როცა პენანტს **ჯენიფერ მითკელფისთან** შერიგება მოუნდა, მიზნის მისაღწევად ძალ-ღონე არ დაიშურა და ყოფილ გოგოს შესანიშნავი, უაღრესად რომანტიკული საღამო მოუწყო. გავა დრო და ჯერმენისგან უკვე მეორედ წასული ჯენიფერი იტყვის, პენანტმა იმ საღამოს ისევ გამაბრიყვა, თუმცა არ ვნანობ, რადგან ძალიან ბედნიერი ვიყავიო. წყვილის იდილია მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდა და მერე ისევ დასრულდა, რადგან პენანტს ვილაც მოდელი მოეწონა, რომელთანაც რამდენიმე თვე გაატარა და ის - ის იყო, უკვე ამ მოდელზე აპირებდა დაქორწინებას, რომ ისევ მითკელფი მოენატრა და ბოლო ორ წელიწადში მესამედ სცადა ამ გოგოს დაბრუნება, მაგრამ ჯენიფერი აღარ გაბრიყვდა...

თუმცა ჩვენ აქ ჯერმენ პენანტის პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ, რადგან ეს ისტორიები არავის აინტერესებს. პირველი აბზაცი მხოლოდ იმიტომ გამოვიყენეთ, რომ ზედმეტი საუბრის გარეშე დაგანახოთ, რაოდენ ქაოტურია 26 წლის ინგლისელი ფეხბურთელი და რომ მას კვირაში ცხრა პარასკევი აქვს.

პენანტის „ლივერპულიდან“ „სარაგოსაში“ გადასვლა ყველასათვის მოულოდნელი და გასაკვირი ნაბიჯი იყო. ფაქტია ისიც, რომ ამ ტრანსფერის შემდეგ, ჯერმენის ცხოვრებაში ახალი ერა უნდა დაიწყოს, ერა მითკელფის გარეშე. ჯერმენის ერთ-ერთმა მეგობარმა ამას წინათ ჩვენს ინგლისელ კოლეგებს უთხრა, მას უნდა, რომ ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ფეხბურთზე იყოს კონცენტრირებულიო. ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

მოკლედ, პენანტი ესპანეთში ახალ კარიერას, ახალ ცხოვრებას იწყებს. შესაძლოა, მან ეს ნაბიჯი განგებაც გადადგა, რადგან ინგლისში ცნობილი სკანდალისტისა და აღვირახსნილი ადამიანის სახელი აქვს, რის გამოც ბევრმა ჯერმენის შეძენაზე უარი თქვა. „სარაგოსას“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა **გერჰარდ პოშნერმა** კი დრო იხელთა, ინგლისში გაფრინდა, როცა დირექტორად ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული და უფასო პენანტს („ლივერპულთან“ კონტრაქტი უმთავრდებოდა) კვირაში 45 000 ევრო შესთავაზა და თანაც, ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მისცა. მართალია, ნახევარმცველისთვის მადრიდის „ატლეტიკო“, „ესპანიოლი“ და (ჭორებს თუ ვენდობით) „მილანიც“ იბრძოდნენ, მაგრამ ჯერმენმა „სარაგოსა“ არჩია და თავისი გადაწყვეტილება ასე გაამართლა:

*„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „სარაგოსა“ დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე გუნდია. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, პრიმერადივიზიონში ადგილი შევინარჩუნოთ, პირადად მე კი ვიმედოვნებ, რომ მომეცემა შანსი, ინგლისის ნაკრებში ვიასპარეზო. მერე რა, რომ პრემიერლიგიდან წამოვედი. არა მგონია, ფაბიო კაპელომ თვალყური არ მადევნოს“.*

26 წლის ნახევარმცველი ინგლისში დღესაც აღიარებული ფეხბურთელია, მაგრამ რამდენადაც დიდი იყო იმის მოლოდინი, რომ ჯერმენი დიდ ფეხბურთს ითამაშებდა, იმდენად ცუდად აეწყო მისი კარიერა. პენანტი ნოტინგემის ერთ-ერთ ულარიბეს უბანში გაიზარდა და სამი წლის იყო, როცა დედამისმა ოჯახი მიატოვა. ცოტა ხნის შემდეგ, დედამისი სიმსივნით გარდაიცვალა.

*„მძიმე ბავშვობა მქონდა. ვცხოვრობდი ისეთ ხალხთან ერთად, ვისაც დღენიადაგ კრიმინალთან, იარაღებთან და ნარკოტიკებთან აქვს შეხება“*, - იხსენებს პენანტი.

იმ დროს, როცა მამამისი, ექსფეხბურთელი **გარი პენანტი** ჰეროინის აქტიური მომხმარებელი იყო და იპოვა მეორე ცოლი, რომელიც ინგლისურმა პრესამ მოგვიანებით მეძავად შერაცხა, ჯერმენი თავის უმცროს და-ძმებზე ზრუნავდა. ცხადია, გასაკვირი არ არის ის, რომ სკოლას ხშირად აცდენდა - სწავლისთვის აღარ სცხელოდა და სიმართლე ითქვას, წარჩინებული მოსწავლე არც არასდროს ყოფილა.

15 წლის იყო, როცა „არსენალის“ სკაუტებმა აღმოაჩინეს და იმ დროისთვის თინეიჯერისთვის სარეკორდო ფასად, 3 მილიონ ევროდ შეიძინეს. თუმცა ლონდონურ კლუბშიც მალევე მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ისეთ ბიჭთან, რომელსაც მშვიდი ცხოვრება ვერასდროს ექნებოდა. თუმცა „არსენალის“ თავკაც **არსენ ვენგერს** მისი სჯეროდა და თანაც იმდენად, რომ 16 წლის პენანტი ძირითად გუნდში ათამაშა, რითაც ჯერმენი ლონდონური კლუბის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც პირველ გუნდში იასპარეზა. მოგვიანებით, პრემიერლიგის სადებიუტო შეხვედრაში ჯერმენმა „საუთჰემპტონთან“ ჰეთ-თრიკი შეასრულა და საფეხბურთო ინგლისმა ის სწორედ იმ დღეს აღმოაჩინა.

*„მეორე დღეს გაზეთი ავიღე და პირველ გვერდზე ჩემი დიდი ფოტო იყო გამოქვეყნებული. იმ დღეს ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობდა“*, - ამბობს პენანტი. წარმატებამ პოპულარობა მოუტანა, პოპულარულობამ კი ფული. ფულმა კი იმდენი ქნა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს რეალობის შეგრძნება დააკარგვინა - აცდენდა ვარჯიშებს და ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა ექსცესში. ერთხელაც ვენგერს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა და ჯერმენი ჯერ „უოტფორდში“ გაანათხოვრა, მერე „ლიდსსა“ და „ბირმინგემში“. „არსენალის“ დამრიგებელი იმედოვნებდა, რომ პენანტი ლონდონურ კლუბს დაჭკვიანებული დაუბრუნდებოდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა.

ნაცვლად ამისა, ინფანტილური თინეიჯერი აგრესიულ სრულწლოვნად გადაიქცა, ალკოჰოლისკენ მისწრაფებით. 2003 წლის აპრილში ის ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებიდან გამოაგდეს, რადგან შიდა განაწესი დაარღვია და ღამით სადღაც დაბოდიალობდა. ოთხი თვის შემდეგ კი ახალგაზრდული ნაკრების თამაშის დროს, ხორვატ **ნიკო კრანჩარს** სახეში გაარტყა, რადგან მოეჩვენა, რომ ამ უკანასკნელმა რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა.

*„მას მერე, რაც პენანტი ფეხბურთში გამოჩნდა, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, ამბობენ, რომ ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, რაშიც მე ყველას ასი პროცენტით ვეთანხმები, მაგრამ მის ქცევებს რომ ვაკვირდები, აღარ მაქვს იმის იმედი, რომ პენანტი ოდესმე დიდ ფეხბურთს ითამაშებს“*, - ამბობს ვენგერი.

2005 წლის დასაწყისში მთვრალი პენანტი თავისი „მერსედესით“ განათების ბოძს შეეჯახა და როცა პოლიციელები ადგილზე მივიდნენ, უთხრა, **ეშლი კოული** ვარო?! მოგეხსენებათ, იმხანად ეს უკანასკნელიც „არსენალში“ თამაშობდა. არადა, ამ შემთხვევამდე ზუსტად 16 თვით ადრე მას მართვის მოწმობა ერთი წლით ჩამოართვეს. პენანტს 90 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს!

მაგრამ 31 დღის შემდეგ, ნაადრევად გამოუშვეს, თუმცა ფეხზე ელექტრონული სენსორი დაუმაგრეს, რომ ყოველთვის სცოდნოდათ, სად იმყოფებოდა. ამრიგად, პენანტი გახდა პირველი ფეხბურთელი პრემიერლიგის ისტორიაში, რომელმაც ამ სენსორით ითამაშა. ციხიდან გამოსული ჯერმენი ამბობდა, ციხეში ყოფნისას ყველაფერზე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ცუდად ვიქცეოდი, ამიერიდან აუცილებლად დავჭკვიანდებიო.

„ბირმინგემის“ ხელმძღვანელებმა მას დაუჯერეს და 2005 წლის ზაფხულში მისი კონტრაქტი 750 000 ევროდ გამოისყიდეს. პენანტმაც კლუბის ბოსებს მადლობა იმით გადაუხადა, რომ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა, რითაც „ლივერპული“ დააინტერესა - მერსისაიდელებმა ჯერმენი 9.1 მილიონად შეიძინეს.

„ლივერპულში“ მან კარიერის საუკეთესო პერიოდი გაატარა და **რაფა ბენიტესის** გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, რომელიც „წითლებმა“ „მილანთან“ 1:2 დათმეს. პენანტი „ლივერპულის“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, მაგრამ წარმატებასთან ერთად მას კვლავ დაუბრუნდა თვითკმაყოფილების მავნე გრძნობა.

*„იმის გამო, რომ ცნობილი ფეხბურთელი ვარ, ქალები ჩემზე გიჟდებიან!“* - ამბობდა პენანტი. 2006 წელს მან ბავშვობის სიყვარული **ლაურა ვალისი** მიატოვა და ის მოდელ **კენდი მაკალოხზე** გაცვალა, მოგვიანებით ვალისს დაუბრუნდა, მერე კი ზემოთ ხსენებული ჯენიფერ მითკელფი ნახა ტელევიზორში და... ამ ისტორიის გაგრძელებაზე სტატიის დასაწყისში ვისაუბრეთ.

არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც ახერხებენ იმას, რომ კარგად გაერთონ, არაფერი დაიკლონ, მაგრამ უქმეებზე ფეხბურთს მაინც ძალიან კარგად თამაშობენ. პენანტს კი ეს, უბრალოდ, არ შეუძლია...

**გოტფრიდ ლენცი**




ჯერმენ პენანტი და ჯენიფერ მითკელფი

პრემიერლიგური ამბიციები



## მანჩესტერი პატარა ქალაქია

„მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა, **რიო ფერდინანდმა**, „მანჩესტერ სიტის" შეუთვალა, ჩვენი ქალაქი ორი გუნდისთვის ძალიან პატარაა, ერთ-ერთი გზიდან უნდა გადავიდესო. ვგონებთ, ყველაფერი გასაგებია: მას მერე, რაც „სიტი" არაბმა ბიზნესმენებმა შეიძინეს და ფულიც უხვად მიაყარეს, მანჩესტერში, თუმცა რაღა მანჩესტერში, მთლიანად პრემიერლიგაში ბევრი რაღაც შეიცვალა. ისტლენდერებმა გასულ ზაფხულს დიდძალი თანხა დახარჯეს და „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" ისეთი ვარსკვლავები მიიყვანეს, როგორებიც არიან **კარლოს ტევესი, ემანუელ ადებაიორი, კოლო ტურე, ჟოლიონ ლესკოტი** თუ **გარეთ ბერი**. მიზანი ტიტულების მოპოვებაა. დიდი სტატისტიკოსობა არ უნდა იმის გამოქექვას, რომ „სიტის" ბოლო წარმატება 1976 წელს იყო, როდესაც გუნდმა ინგლისურ ჯილდოებს შორის ყველაზე დაბალი ხარისხის, ლიგის თასი მოიპოვა. 33 წლის წინანდელ ფინალში ისტლენდერებმა „ნიუკასლ იუნაიტედი" დაამარცხეს.

თუმცა, დავუბრუნდეთ „იუნაიტედის" კაპიტანს, რომელმაც განაცხადა, რომ ზაფხულობით ფულის ხარჯვა შემოდგომიდან გაზაფხულამდე მოედანზე წარმატების საწინდარი სულაც არ არის. სამაგიეროდ, ფერდინანდს სწამს, რომ მის გუნდს ამ სეზონში ზედიზედ მეოთხე ტიტულის მოპოვება ხელეწიფება. ფერდინანდმა ასე თქვა:

*„ჩვენს ქალაქში ორი გუნდი ვერ დაეტევა. ვიცი, „სიტის" ბევრი ერთგული ქომაგი ჰყავს, რომელთაც დიდი ხნის მონატრებული წარმატება სწყურიათ, მაგრამ თუ ისინი ფიქრობენ, რომ დიდძალი ინვესტიციის გამო ტიტულებს მოიგებენ, ძალიან ცდებიან. ფული წარმატების გარანტია არ არის. მართალია, კარგმა დაფინანსებამ „ჩელსის" მართლაც მოუტანა დიდი ჯილდოები, მაგრამ თუ გაიხსენებთ, მანამდე ლონდონელები ჩემპიონატში მესამე, მეოთხე თუ მეხუთე ადგილებზე უკვე გადიოდნენ. „მანჩესტერ სიტის" სასტარტო პოზიცია კი სხვაა... თუმცა ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. თუ ისტლენდერთა გუნდი ამ სეზონში რამეს მოიგებს, ალალი იყოს, თუმცა რაღა დაგიმალოთ და, იმედი მაქვს, რომ დიდი ჯილდოები წლეულსაც ჩვენ დაგვრჩება".*

ამასობაში კი ახლოვდება შაბათი, დღე როდესაც სანაკრებო შეხვედრებით შეწყვეტილი პრემიერლიგა უნდა განახლდეს. ამ დღეს „მანჩესტერ სიტიმ" „არსენალთან" უნდა გაარკვიოს ურთიერთობა და ამ საინტერესო მატჩში ისტლენდერებს კოლო ტურესი ეიმედებათ. საქმე ის გახლავთ, რომ კაპიტანი **რიჩარდ დანი** მათ „ასტონ ვილაში" გაყიდეს და სამკლავური ტურეს ჩააბარეს. ამგვარად, კოტ დივუარელ მცველს თავისი ლიდერობის გამომჟღავნება ამჯერად სწორედ იმ გუნდის წინააღმდეგ მოუწევს, რომლიდანაც გასულ ზაფხულს შვიდწლიანი თანამშრომლობის შემდეგ წამოვიდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** ამბობს:

*„კოლომ რამდენიმე მატჩია, რაც ჩვენი კაპიტნობა დააჭაშნიკა და მინდა გითხრათ, რომ ძალიან კმაყოფილი გახლავართ. მას კარგი კაპიტნისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს - ენთუზიასტია, თავგამოდებით თამაშობს, გასახდელში სიტყვა ეთქმის, ავტორიტეტულია როგორც მატჩების დროს, ასევე მატჩების წინ და შემდეგ. ტურეს გუნდის წარმატებებისკენ გაძღოლა სურს. საერთოდაც, ბედნიერი ვარ, გუნდში ამდენ ლიდერს რომ ვხედავ".*

კიდევ, ჰიუზი ამბობს, რომ 28 წლის ფეხბურთელს მისი ნდობის მოპოვება არ გასჭირვებია: *„სანამ პირადად არ ვნახე, როგორი ფეხბურთელი და ადამიანია კოლო ტურე, მანამდე სრულყოფილი წარმოდგენა მაინც არ მქონდა. დღეს, როდესაც მასთან უკვე რამდენიმე თვეა ვმუშაობ, მის თვისებებს კარგად ვხედავ და ვაფასებ. ეს ის კაცია, რომელსაც როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმა შეუძლია სარგებლის მოტანა".*

სადაო საკითხი

# ტეილორმა ვენგერს უპასუხა

უეფას გენერალურმა მდივანმა, შოტლანდიელმა **დევიდ ტეილორმა** „არსენალის" მწვრთნელ **არსენ ვენგერს** კატეგორიული პასუხი გასცა. შეგახსენებთ დავის თემას: ჩემპიონთა ლიგის წინასწარ ეტაპზე „არსენალისა" და „სელტიკის" ლონდონურ შეხვედრაში, არსენალელმა **ედუარდომ** მსაჯს პენალტი გამოსტყუა, რაც ტელეკამერებმა დააფიქსირა და რის გამოც, სწორედ ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით, უეფამ ფეხბურთელს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ასეთ გადაწყვეტილებას ვენგერმა „ალქაჯებზე ნადირობა" უწოდა - მისი აზრით, ვიდეოჩანაწერით იმის მტკიცება, წაქცევის მომენტში ფეხბურთელს გულში ტყუილი ედო თუ უბრალოდ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, შეუძლებელია. ხაზს ვუსვამთ, ვენგერი სულაც არ ამტკიცებს, რომ ყბადაღებულ ეპიზოდში პენალტი აუცილებლად უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მსაჯი შესაძლოა წინასწარ განზრახული ტყუილის გარეშეც შეცდეს. კიდევ, ჩრდილოლონდონელთა ფრანგმა მწვრთნელმა გამოთქვა ეჭვი, რომ ევროპული ფეხბურთის შეფთა ვერდიქტზე სწორედ ტეილორმა და შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფის თანამდებობაზე მისმა მემკვიდრემ, **გორდონ სმიტმა** იქონიეს გავლენა - ერთი სიტყვით, „სელტიკის" დამარცხების გამო შოტლანდიელმა ჩინოსნებმა შური იძიეს. თუმცა, გასულ კვირას გამართულ მწვრთნელთა ფორუმზე ტეილორმა ვენგერს ხურდა დაუბრუნა:

*„ჩვენ ფეხბურთს ვემსახურებით, ამ სფეროში კი ხშირად ერთმანეთს არ ეთანხმებიან. აქ სამეგობრო და ამქარი არაფერს ნიშნავს. ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობაა. უეფაში მიგვაჩნია, რომ ვიდეოჩანაწერებზე ედუარდოს განზრახვა ძალიან კარგად ჩანს. მან განზრახ ისიმულანტა, მსაჯი მოატყუა, რათა მას პენალტი დაენიშნა".*

და კიდევ, ტეილორმა არ გაიზიარა ვენგერის ნათქვამი, თითქოს ედუარდოსთან დაკავშირებული განაჩენი საშიშია, რადგან ის არის ადამიანის უსაფუძვლოდ დასჯის პრეცედენტი.

*„ეს შემთხვევა ზოგადი პრეცედენტი ვერაფრით გახდება, რადგან ჩვენ ვლაპარაკობთ არა კუთხურებსა თუ აუტებზე, არამედ ისეთ შემთხვევებზე, რომელიც მოწინააღმდეგე გუნდს აზარალებს. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ შემთხვევებზე, როდესაც ინიშნება პენალტი ან ფეხბურთელს მოედნიდან აძევებენ".*

ფანები



მარკო პერკოვიჩი და ფაშისტური ჟესტები მის კონცერტზე

# უსტაშე ფეხბურთში გაცოცხლდა?

გაზეთმა „სანმა" ინგლისისა და ხორვატიის წუხანდელი დაპირისპირების წინ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ყოფილი იუგოსლავიის ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას ფანებს შორის ფაშისტური ვნებების გაღვივება დააბრალა. გაზეთი წერს, რომ რადიკალი ხორვატი ფანების და მათი „ზიგ ჰაილის" უკან სწორედ ეს პატივცემული საფეხბურთო ორგანიზაცია დგას და არა რაიმე პოლიტიკური ძალა.

თურმე ნუ იტყვით და, ხორვატებს ჰყოლიათ მავანი როკერი, სახელად **მარკო პერკოვიჩი**, ჯგუფ „თომპსონის" ვოკალისტი, სიმღერების ავტორი და სული და გული, რომელიც, „სანის" თქმით, ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებსა და ყველა ჯურის გენოციდს ეთაყვანება. ჰოდა, თურმე სწორედ ეს კაცი აგულიანებს ხორვატიის ნაკრების საშინაო მატჩების წინ გულშემატკივარს - მღერის და პუბლიკას „ახურებს". მერე კი, მის სნეულ ლოზუნგებს ათასობით ფანი იმეორებსო, წერს ინგლისური ტაბლოიდი.

და რატომ ჰქვია პერკოვიჩის ჯგუფს (და არა მხოლოდ ჯგუფს, პერკოვიჩი ცდილობს თავად მასაც ასე დაუძახონ) „თომპსონი", არ გაინტერესებთ? იმიტომ, რომ როკერი ბალკანეთის ომში ამ მოდელის ავტომატით იბრძოდა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხორვატიის ნაკრების ფანებს ეს კაცი უყვართ!

ხსენებულ სტატიაში „სანი" შეგვახსენებს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ხორვატიაში გერმანელი ნაცისტების მორჩილი რეჟიმი „უსტაშე" ბოგინობდა და ხაზს უსვამს, რომ „თომპსონის" მოყვარული ფანები სწორედ ამ ორგანიზაციის ფორმაში გამოწყობილები დადიან სტადიონებზე. და პერკოვიჩის სიმღერებით აღგზნებული ქომაგები ზაგრების „მაქსიმირზე" საკმაოდ დამუხტულ და შემაძრწუნებელ გარემოს ქმნიან. ჟურნალისტი იხსენებს, რომ ერთხელ ფაშისტური ჟინით ალტაცებული ფანები ტრიბუნაზე ისე განლაგდნენ, რომ სვასტიკა გამოიხატა.

ხორვატ ფანებს საყვარელი შეძახილიც „უსტაშესგან" ჰქონიათ წამოღებული: „ზა დომ - სპრემნი" ანუ „სამშობლოსთვის - მზად ვართ"! ისე, ერთი შეხედვით, „სანის" ჟურნალისტისგან განსხვავებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ლოზუნგში ცუდი არაფერია, მაგრამ ვაგლახ, მისი წარსულია ნაცისტებთან დაკავშირებული. საერთოდაც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ხორვატიაში პატრიოტიზმი და ფაშიზმი ერთმანეთთან სახიფათო სიახლოვეში არიან, თუმცა, ჯობს ამაზე მსჯელობა სხვა დარგის ხალხს დავუთმოთ, ჩვენ კი ფეხბურთს დავუბრუნდეთ: გუშინდლამდე ხორვატიისა და ინგლისის ეროვნული გუნდები ერთმანეთს ზაგრებში, 2008 წლის შემოდგომაზე შეხვდნენ და იმ დღეს ტრიბუნებს სტუმრების ფორვარდი, **ემილ ჰესკი** ყჰავდათ მიზანში ამოღებული. მათ „ასტონ ვილას" ფორვარდს მთელი საათ-ნახევრის განმავლობაში არ მოაკლეს შეურაცხმყოფელი შეძახილები და მაიმუნის იმიტაცია (დავარქვათ „მაიმუნობა") - ასე ზანგებს აჯავრებენ ხოლმე. არანაკლებ დღეში ჩაცვივდნენ **ჯერმაინ დეფო** და **ეშლი კოული**, მოკლედ, ფერადკანიანები.

აღსანიშნავია, რომ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფამ გულშემატკივართა რასისტული გამოხდომების გამო ბევრჯერ გააფრთხილა და ერთი-ორჯერ დასაჯა კიდეც, მაგრამ „მაქსიმირის" სტადიონის უსაფრთხოების სამსახური თითს თითზეც არ ადებს, როდესაც, მაგალითად, მეტოქე გუნდის ავტობუსი გასახდელებისკენ მიდის, ადგილობრივი რადიკალები კი ფეხბურთელებს შეურაცხყოფას აყენებენ. ის კი არა, ერთხელ, თვით ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა, **სლავენ ბილიჩმა** აღნიშნა, რომ „თომპსონის" სიმღერების ჩართვა გასახდელშიც ძალიან სასარგებლოა, ის ფეხბურთელებს ბრძოლისუნარიანობას უმაღლებს და თამაშის წინ მუხტავს.

„სანი" წერს, რომ რედაქციის მიერ ზაგრებში მივლინებულმა ჟურნალისტმა ეს ყველაფერი გასულ შაბათს, ხორვატიისა და ბელარუსის ნაკრებების შეხვედრაში საკუთარი თვალით ნახა. იმ შეხვედრას 30 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა. ინგლისელი ჟურნალისტი ამდენი „ზიგ ჰაილის" მოსმენას შეუძრწუნებია.

დაბოლოს: ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი, 42 წლის მარკო პერკოვიჩი სუპრემაცისტურ (ინგლისური სიტყვიდან supremacy, რაც უპირატესობას ნიშნავს) ინტერნეტსაიტ Stormfront-ზე (ეს საიტი თეთრი რასის უზენაესობას ამტკიცებს, თუმცა, ზოგადად სხვა სუპრემაცისტური მოძრაობებიც არსებობს) ნამდვილი კერპია. მეორე მხრივ კი მას, მაგალითად ჰოლანდიასა და ავსტრიაში კონცერტების გამართვა აკრძალული აქვს, თუმცა ამ აკრძალვის ოფიციალური მიზეზი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებია და არა სხვა რამ.

პრობლემა



ლუკ გერბატი

## დაუქვითეთ გამტაცებლებს!

„ლიდს იუნაიტედი" ყმაწვილი ფეხბურთელების „გამტაცებელ" კლუბთა სპეციფიკურ დასჯას ითხოვს. მის ხელმძღვანელთა აზრით, ბობოლებს, რომლებიც ჭაბუკ, ხშირ შემთხვევაში კი ბავშვ მოთამაშეებს მშობლიური კლუბის დაუკითხავად თავიანთთან იტყუებენ, ცხრილში ქულები უნდა ჩამოაკლონ.

პირველი ლიგის ლიდერს „ბავშვთა დაკარგვის" საქმეში სამწუხარო გამოცდილება აქვს, თუმცა მჩაგვრელს თავი არ წაუხარა და დაუფასდა: ლიდსელებმა პრემიერლიგის ერთ-ერთ გრანდს, „ჩელსის", სამი ფეხბურთელის თაობაზე უჩივლეს და კომპენსაციის სახით რამდენიმე მილიონი ფუნტი დაიბრუნეს კიდეც. ახლა, ამბობენ, რომ იგივე „ლიდსი", 16 წლის **ლუკ გერბატის** საქმეზე „ევერტონს" 1,55 მილიონ ფუნტს აართმევს, თუმცა, კლუბის აღმასრულებელი შეფი **შონ ჰერვი** მიიჩნევს, რომ ფულადი კომპენსაცია სრულყოფილი სასჯელი მაინც არ არის და ქვეყნის ფეხბურთის შეფებს უფრო სწორი და მკაცრი დასჯის სისტემის მოფიქრება მართებთ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „ევერტონმა" ლიდსს 1,55 მილიონი უნდა გადაუხადოს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ლივერპულის გუნდი ამ ფულს ერთბაშად არ გაიღებს. ერთბაშად ლიდსელები 600 ათასს მიიღებენ, დანარჩენი კი მერე იქნება, იმის მიხედვით, მართლა გაამართლებს გერბატი თუ ვერა.

ჰერვი ამბობს: *„აშკარად ვგრძნობთ, რომ ფულადი კომპენსაცია ჭაბუკი ფეხბურთელების გატაცებისგან ვერ გვიცავს. ვინიცობაა, დროა ქულების ჩამოჭრის ვარიანტი მოვსინჯოთ. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფეხბურთელის ტრანსფერი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხორციელდებოდეს: როდესაც ის ხელს აძლევს მყიდველს, როდესაც ის ხელს აძლევს გამყიდველს და როდესაც ის ხელს აძლევს თავად ფეხბურთელს".*

ამ საკითხზე, ლონდონში, პრემიერლიგის კლუბების აღმასრულებელი შეფები სავარაუდოდ ხვალ იმსჯელებენ. მოგეხსენებათ, ბოლო დროს ჭაბუკთა „გატაცებაში" ბრალი ინგლისური ფეხბურთის გრანდებს, „ჩელსის", „მანჩესტერ იუნაიტედს", „მანჩესტერ სიტისა" და „ლივერპულს" დასდეს. მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედს" საფრანგეთიდან ჰავრელები უჩივიან. ისინი ამბობენ, რომ ინგლისის ჩემპიონმა მათ 16 წლის **პოლ პოგბა** მოსტაცა, თუმცა „იუნაიტედის" აღმასრულებელმა შეფმა, **დევიდ გილმა** ფრანგებს ბრაზიანად შეუღრინა, ჩვენი ღირსების შელახვას ნუ ბედავთო.

საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბი კი ჯიუტად ამტკიცებს, რომ მანჩესტერელთა წარმომადგენლებმა პოგბას მშობლებს 170 ათასი ფუნტი მისცეს, რათა მათ შვილი მანჩესტერში გადასვლისკენ წაექეზებინათ.

*„ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედის" კეთილი სახელის შეურაცხყოფას არ დავუშვებთ - კატეგორიულად განაცხადა გილმა - დღეს ჩვენს შესახებ ათასგვარ ვებსაიტსა და გაზეთში წაიკითხავთ. ისეთ რამეს გვაბრალებენ, რაც სინამდვილეში არ გაგვიკეთებია და ყველაზე შეურაცხმყოფელიც სწორედ ესაა. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ პოგბას საქმეში ყველა ნაბიჯი კანონის სრული დაცვით გადავდგით. ჰავრელების მხრიდან კი ჩვენზე იმის თქმა, რომ ფეხბურთელის მშობლებს ფული მივეცით, საშინელი საქციელია. ჩვენ მათ არ ვემუქრებით, მაგრამ ვეუბნებით, რომ ასე მოქცევა არ შეიძლებოდა".*

„ჩელსის" კი, მოგეხსენებათ, „ლანსიდან" **გაელ კაკუტას** „გატაცების" გამო ფიფამ 2011 წლამდე ახალი ფეხბურთელების ყიდვა აუკრძალა. ამასთან დაკავშირებით ხმა აღიმაღლა ლონდონელთა აღმასრულებელმა შეფმა **პიტერ კინიონმაც**:

*„რაც მოხდა ყველასთვის და თავად გაელისთვისაც მოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ის პატიოსანი ახალგაზრდა და ჩინებული ფეხბურთელია. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, ვფიქრობ, ის, რომ ჩვენ ფიფას გადაწყვეტილებას ვასაჩივრებთ, უკვე ყველაფერზე მეტყველებს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრიზისი ვოლფსბურგში


გრაფიტემ ნინა სეზონში 28 გოლი გაიტანა, ახლა კი კრიზისი აქვს

# გაზარმაცებული მგლები

## ასე იცის ფულმა და წარმატებამ

ფული და წარმატება ადამიანს აზარმაცებს - სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები. წარმატების მიღწევის შედეგად მიღებული გასამრჯელო ადამიანს მოტივაციას უკარგავს და თვითკმაყოფილს ხდისო, - დაასკვნეს ჰარვარდში. შესაბამისად, ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ რაკი „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელებმა გუნდის ლიდერებს კონტრაქტები გაუგრძელეს და ხელფასები გაუსამმაგეს, ჩავარდნა გარდაუვალი იყო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა წარმატებული სტარტის შემდეგ (2 თამაშში 6 ქულა), ზედიზედ ორი შეხვედრა დათმო.

შესაძლოა, ეს უბრალოდ თეორია იყოს, მაგრამ ფაქტი ერთია: **არმინ ფეეს** შეგირდებმა ბოლო ორ შეხვედრაში ისეთი მონდომებითა და მოტივაციით არ ითამაშეს, როგორც ეს გუნდი გასულ სეზონში თამაშობდა, რომელშიც გახდა კიდეც ბუნდესლიგის სენსაციური გამარჯვებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს „ვოლფსბურგს“ თითქმის ყველა პოზიციაზე პრობლემა აქვს.

დაცვით დავიწყოთ. ბოლო ორ თამაშში „მგლებმა“ 7(!) გოლი გაუშვეს, დამარცხდნენ რა ჯერ „ჰამბურგთან“ ანგარიშით 2:4, მერე კი მიუნხენში, 0:3. შესაბამისად, ფაქტია ისიც, რომ გუნდის დაცვა აიჭრა. მთავარი პრობლემა დაცვის ცენტრშია. დაცვის ბურჯი **ანდრეა ბარძალი** არ არის კარგ ფორმაში, რის გამოც მთელი უკანა ხაზი მოიშალა. „კიოლნთან“ ბარძალის მეწყვილე **ალექსანდერ მადლუნგი** გახლდათ, რომელმაც იმ თამაშში სერიოზული შეცდომა დაუშვა, რის გამოც ფეემ ის „ჰამბურგთან“ აღარ ათამაშა. სამაგიეროდ, ჩრდილოგერმანულ კლუბთან ბარძალის მხარდამხარ **იან შიმუნეკმა** ითამაშა და თავის გამოჩენის შანსი მიეცა. მაგრამ ამ უკანასკნელმა იმდენად კატასტროფული შთაბეჭდილება დატოვა, რომ ფეემ ის 38 წუთის შემდეგ შეცვალა. გამოდის, რომ ამ ორ შეხვედრაში ფეემ ერთბაშად ორ ფეხბურთელს ვერ ასიამოვნა: მადლუნგსა და შიმუნეკს. ამ ეტაპზე ბარძალის პირველ მეწყვილედ ისევ მადლუნგი მოიაზრება, მაგრამ დღევანდელი ფორმით თუ ვიმსჯელებთ, ის არ არის ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსი - უბრალოდ, ფეეს სხვა გზა არ აქვს, რადგან მეოთხე ცენტრალური მცველი **რიკარდო კოშტა** ყველაზე უარეს ფორმაშია.

რაც შეეხება ნახევარდაცვას. ფეეს ყველაზე მეტად მარჯვენა ფლანგი ადარდებს, სადაც ახალწვეულმა **ქარიმ ზიანიმ** იმედები აშკარად ვერ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 27 წლის ალჟირელმა სამჯერ ითამაშა და სამჯერვე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მიუნხენში, „ბაიერნთან“ მატჩში ფეემ მის ნაცვლად **აშკან დეჟაგა** ათამაშა, მაგრამ ვერც ეს უკანასკნელი გამოდგა ზიანიზე უკეთესი. წინა, საჩემპიონო სეზონში, „ვოლფების“ ყოფილი დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** ამ პოზიციაზე **საშა რიტერს** ათამაშებდა ხოლმე, ფეე კი ამ უკანასკნელის დაცვის მარჯვენა ფლანგზე გამწესებას ამჯობინებს. რიტერის შემცვლელი, მარჯვენა მცველის რანგში **პეტერ პეკარიკია**, რომელსაც მაგათი ხშირად ენდობოდა, ფეე კი საერთოდ არ ენდობა. საყრდენი ან ნახევრად საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ფეეს ალტერნატივად **მაკოტო ჰასებე** ჰყავს, რომელზეც ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესო ფეხბურთელია.

მიუნხენში ისიც გამოჩნდა, რომ როცა გუნდს კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი **ჟოსუე** აკლდება, მისი სრულფასოვანი შეცვლა ვერ ხერხდება. მის პოზიციაზე (ცენტრალური ჩამშლელი ნახევარმცველი) **კრისტიან გენტნერს** და იმავე რიტერსაც შეუძლიათ თამაში, მაგრამ ფეეს ეს ფეხბურთელები სხვა პოზიციებზე სჭირდება - გენტნერი მემარცხენე ჩამშლელად, რიტერი კი მარჯვენა მცველად. შესაბამისად, ჟოსუეს პოზიციაზე „ბაიერნთან“ **ჯონათან სანტანამ** ითამაშა, რომელიც მანამდე საერთოდ ვერ ხვდებოდა გუნდის განაცხადში.

პრობლემებია თავდასხმაშიც. წინა სეზონის გოლეადორები **ედინ ჯეკო** და **გრაფიტე** ჯერჯერობით ფორმაში არ არიან. მათ ჯერ მხოლოდ თითო გოლი აქვთ გატანილი და „ჰამბურგთან“ და „ბაიერნთან“ კი საერთოდ ვერ იხეირეს. აშკარად ჩანს, რომ ეს ფორვარდები ჯერ კიდევ ვერ შეეწყვნენ ახალი მწვრთნელის მიერ ფავორიზებულ ტაქტიკას სწრაფი მოკლე პასებით. მაგათის დროს, დაცვიდან მათკენ გრძელი, მაღალი ბურთები მიდიოდა, ახლა კი ასე აღარ ხდება. ფეეს შეუძლია, მომავალ ტურში ძირითად შემადგენლობაში ახალწვეული **ობაფემი მარტინსი** ათამაშოს. ნიგერიელი სწრაფი და მოკლე პასებით თამაშს ინგლისში შეეჩვია და წესით, ფეეს ტაქტიკასაც იოლად უნდა მოერგოს. მართალია, ჯეკო და გრაფიტე შეუცვლელები ჩანან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მარტინსმა უკვე ორი გოლი გაიტანა, თანაც, ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია და წარმატებას ორივეჯერ ჯოკერის რანგში მიაღწია. თუმცა ფეეს ჯეკოს ან გრაფიტეს სათადარიგოთა სკამზე დასმა ძალიან გაუჭირდება. თუ ის რომელიმე მათგანს სასტარტოდან ამოაგდებს, გუნდში უკვე გაბრაზებული ჯეკო ან გაბრაზებული გრაფიტე ეყოლება, რითაც „ვოლფსბურგის“ მწვრთნელის პრობლემებს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა დაემატება.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელზეც ცუდს ვერაფერს ვიტყვით, **ზვიეზდან მისიმოვიჩია**. ბოსნიელი ფლეიმეიკერი თავის საქმეს დღესაც ძველებურად აკეთებს და ყველა შეხვედრაში გამორჩეული ლიდერია. მაგრამ მხოლოდ მისიმოვიჩი არ კმარა. არადა, „ვოლფსბურგს“ ჩემპიონთა ლიგა ელის, სადაც ამ გუნდმა გერმანიის ჩემპიონის სახელით უნდა იასპარეზოს, რაც, დაგვეთანხმებით, დიდი ტვირთია...

ინტერვიუ

ანდრეა ბარძალი

# ჩემპიონი ჩემპიონს უნდა ჰგავდეს!

## იტალიელი კონცენტრაციას და მეტ აგრესიას ითხოვს

**გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა „ვოლფსბურგმა“ ბუნდესლიგის ახალ სეზონში პირველი ორი თამაში მოიგო, მაგრამ მომდევნო ორი წააგო და ახლა მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული. გუნდის დაცვის ბურჯი ანდრეა ბარძალი საკმაოდ თვითკრიტიკულია და ამბობს, რომ თავის გუნდს ველარ ცნობს. მისი თქმით, „ვოლფსბურგს“ აგრესიულობა და კონცენტრაცია დააკლდა. იტალიელს იმედი აქვს, რომ კრიზისი მალე ჩაჰბარდება წარსულს. ბარძალის „კიკერის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ანდრეა ბარძალი, იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს თქვენ გარეშე ატარებს და თქვენ ამ დღეებში „ვოლფსბურგში“ ვარჯიშობთ. რამდენად მტკივნეულია ეს თქვენთვის?**

- ცხადია, ეს ამბავი არ მახარებს, მაგრამ რას ვიზამ, ფაქტს უნდა შევეგუო. იტალიის ნაკრებს ძალიან ბევრი კარგი მცველი ჰყავს და კარგად მესმის, რომ ყველას ერთადროულად გამოძახება არ შეიძლება. არა მგონია, რომ „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი მჩაგრავდეს. მან კარგად იცის, რაც შემიძლია.

**- „ვოლფსბურგთან“ ერთად შესანიშნავი სეზონი ჩაატარეთ, გერმანიის ჩემპიონის დაცვის ბურჯი ხართ და ალბათ იმედი გქონდათ, რომ თუნდაც ამის გამო ლიპი ნაკრებში დაგაბრუნებდათ...**

- იტალიის ნაკრებში თამაში ძალიან მინდა, მაგრამ მწვრთნელმა სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღო. იმედი მქონდა, რომ დავბრუნდებოდი და ამ იმედს არ ვკარგავ. ძალიან მინდა, რომ ლიპიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამიყვანოს და ამ მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

**- პოზიტიური მხოლოდ ის არის, რომ შეგიძლიათ, მხოლოდ „ვოლფსბურგზე“ იყოთ კონცენტრირებული. როგორ შეაფასებდით „ვოლფსბურგის“ ბოლო ორ მატჩს?**

- მას მერე, რაც „ვოლფსბურგში“ ვთამაშობ, პირველად მოხდა, რომ ზედიზედ ორი მატჩი წავაგეთ. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული და გაბრაზებული ვარ. სამწუხაროდ, ბოლო ორ მატჩში ჩვენ ისე არ ვიბრძოლეთ, როგორც გერმანიის ჩემპიონს შეეფერება.

**- ამას როგორ ახსნით?**

- არ ვიცი, რა დაგვემართა. რატომღაც, კონცენტრაციაც დაგვაკლდა და აგრესიულობაც. ფაქტია, რომ ჩემპიონ გუნდს ასეთი რამ არ უნდა ემართებოდეს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ გერმანიის ჩემპიონის ტიტულმა „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელები დაანაყრა და გააზარმაცა?**

- არა მგონია, მაგრამ თუ ასეა, ეს ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა. არაფრით არ შეიძლება, რომ ახლა მშვიდად ვიყოთ. მაგრამ არა მგონია, ასე იყოს, რადგან პირველი ორი თამაში მოვიგეთ და სხვათა შორის, არც იმ შეხვედრებში გვყოლია იოლი მეტოქეები: პირველ ტურში „შტუტგარტი“ დავამარცხეთ, მეორეში კი „კიოლნი“.

**- ბოლო ორ თამაშში „ვოლფსბურგმა“ შვიდი გოლი გაუშვა, რის გამოც თქვენი გუნდის დაცვის ხაზს თავს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა. რას იტყვის გუნდის დაცვის ბურჯი ამის შესახებ?**

- კრიტიკა საჭიროა და არ მიკვირს, რომ გვაკრიტიკებენ. გერმანიის ჩემპიონები ვართ და ორ თამაშში შვიდი გოლი გავუშვით - შესაბამისად, კრიტიკის გარდა არაფერს უნდა ველოდოთ. სწორედ ამიტომაც ვფიქრობ ბევრს, რა უნდა გავაკეთოთ და რა მხრივ უნდა გამოვსწორდეთ. მეც არ ვარ საკუთარი თავით კმაყოფილი და ამის აღიარება არ მიჭირს.

**- მიგაჩნიათ, რომ ასეთ დროს თვითკრიტიკა საუკეთესო გამოსავალია?**

- პირადად მე პირველ რიგში მხოლოდ საკუთარ თავს ვასამართლებ ხოლმე და პირველ ყოვლისა საკუთარ თავში ვეძებ მინუსებს. გულახდილად გეტყვით: მიმაჩნია, რომ „ჰამბურგთან“ და „ბაიერნთან“ მეც ძალიან ცუდად ვითამაშე.

**- მომდევნო ტურში „ვოლფსბურგი“ ლიდერ „ლევერკუზენს“ მასპინძლობს. გრძნობთ უმძიმეს ზეწოლას?**

- ზეწოლას აქამდეც ვგრძნობდი, რადგან ჩვენ მოქმედი ჩემპიონები ვართ, ასეთი გუნდი კი ყოველთვის წნეხის ქვეშაა მოქცეული. ჩვენს წინააღმდეგ ყველა მეტოქე ძალიან მოტივირებულია. „ლევერკუზენს“ უკვე ათი ქულა აქვს და გათამაშების ცხრილს სათავეში უდგას. ფაქტია, რომ იუპ ჰაინკესს ძლიერი გუნდი ჰყავს და ფაქტია ისიც, რომ არ უნდა მოვეშვათ.

**- რა შეიცვალა ფელიქს მაგათის წასვლისა და არმინ ფეეს მოსვლის შემდეგ?**

- მაგათის დროს ფიზიკურ ვარჯიშებს მეტ დროს ვუთმობდით. არმინ ფეე კი უფრო ბურთთან ერთად და ტაქტიკაზე გვავარჯიშებს ხოლმე.

**- ანუ, ფეე უფრო ახლოსაა იტალიელ მწვრთნელებთან, ვიდრე მაგათი?**

- ჰო, შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ იტალიელი მწვრთნელები ტაქტიკას ათჯერ უფრო მეტ დროს უთმობენ ხოლმე.

**- არის თუ არა დღეს „ვოლფსბურგი“ ისეთივე კარგ ფიზიკურ ფორმაში, როგორშიც მაგათის დროს იყო?**

- დიახ, ნამდვილად. მოსამზადებელ პერიოდში ფიზმომზადებას ძალიან დიდი დრო დავუთმეთ


ვოლფსბურგის დაცვის ბურჯი ანდრეა ბარძალი

**- კრისტიან ძაკარდომ „ვოლფსბურგში“ ვერაფერი გააწყო და „პარმაში“ გადავიდა. გწყინთ, მეგობარმა რომ დაგტოვათ?**

- ჰო, ცოტათი ნამდვილად მწყინს. მე და ძაკარდო ახლო მეგობრები ვართ. მაგრამ მესმის მისი. მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდებოდა, აქ კი არ ათამაშებდნენ.

**- სამშობლოში თქვენც დაბრუნდებით?**

- ჯერ არ ვიცი. ფაქტია, რომ „ვოლფსბურგში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ამ გუნდთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს.

**- დღეს რომ კონტრაქტის გაგრძელება შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

- რატომაც არა? მაგრამ სიმართლე ვთქვა, ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატი

# ახალგაზრდობა გაიხსენეს

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველმა ვეტერანებმა - ქუთაისელმა **ესტატე გოგლიჩიძემ** და თბილისელმა **ავთანდილ თოდრიამ** ჯეელობა გაიხსენეს და კვლავაც გავიდნენ საჭიდაო ხალიჩაზე, როცა ამ დღეებში ფინურ კოუვოლაში ვეტერანთა მსოფლიოს პირველობაში იასპარეზეს. ჩვენები ერთი და იმავე წონით კატეგორიაში - მძიმეში და ერთსა და იმავე ასაკობრივ ჯგუფში - უხუცესებში გამოდიოდნენ და მედლებითაც ასევე წყვილად გაგვახარეს - გოგლიჩიძემ ვერცხლით, თოდრიამ - ბრინჯაოთი.

მსოფლიოს პირველობა საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი გამოდგა - 84 ქვეყნის 260 ფალავანი გამოდიოდა, თუმცა საქართველოდან მხოლოდ ეს ორი ფალავანი ჭიდაობდა. ვეტერანთა პირველობა 5 ასაკობრივ ჯგუფში ტარდება, რომლებიც ასევე 5 დივიზიონად იყოფიან - A-ში 35-40 წლის მოჭიდავეები გამოდიან, B-ში - 41-45 წლისები, C-ში - 46-დან 50 წლის ფალავნები, D ჯგუფი 51-56 წლისებს ეთმობათ, E-ში კი 56 წლის ზევით გამოდიან. ჩვენებიც სწორედ უხუცესებში ანუ E ჯგუფში ჭიდაობდნენ.

ჩვენებურებს მედლამდე 4-4 შეხვედრის გამართვა დასჭირდათ. ამათგან გოგლიჩიძემ სამი მოიგო, თოდუამ - ორი. გოგლიჩიძისთვის ჩეხ **ოლდრიჩ დვორაკთან** შეხვედრა ფინალის ტოლფასი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ორივე პერიოდი მცირე სხვაობით დათმო, რაც ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდა. დვორაკს ვერც თოდრიამ მოუხერხა რამე და ჩეხი ჩემპიონიც გახდა, თუმცა საყვედური არც ჩვენებს ეთქმით.


ესტატე გოგლიჩიძე (მარცხნივ) და ავთანდილ თოდრია (დროშით)

**ირაკლი თავაძე**

● ძალოსნობა

# ლომთაძე ევროპის ჩემპიონია



ისრაელში გრძელდება კადეტ ძალოსანთა ევროპის პირველობა. 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში 16 წლის **გიორგი ლომთაძემ** ორჭიდის ჯამში უახლოეს მდევარს 10 კილოთი აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

● რაგბი

ლეგიონერები

# პლეი ოფი ორი ტურით ადრე გაირკვა

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგაში მე-8 ტურის ბოლო, მესამე შეხვედრა გაიმართა. **ბექა ყურაშვილის, გრიგოლ და ვალერი ცნობილაძეების** ნოვოკუზნეცკის „სმენამ" სტუმრად ითამაშა „სლავასთან" და 10:12 დამარცხდა.

ჩვენებურთა გუნდმა პირველი ტაიმი 10:3 მოიგო, მეორე ნახევარში კი, როგორც „სმენას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, მატჩის არბიტრი მხოლოდ მასპინძლების სასარგებლოდ სტვენდა.

ამრიგად, ნოვოკუზნეცკელებმა პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაკარგეს. მოწინავე ოთხეულის ვინაობა კი, ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლებს, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაირკვა.

ცნობილია წყვილების ვინაობაც. „სლავა" რეგულარულის გამარჯვებულ ვვა-ს დაუპირისპირდება. **რატი ურუშაძისა და დიმა პავლოვის** კრასნოიარსკის „ენისეის" მეტოქე მეორე კრასნოიარსკული გუნდი, **თემურ სოხაძის** „კრასნი იარი" იქნება.

**რუსეთი. სუპერლიგა. VIII ტური**

სლავა-სმენა 12:10

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვვა – 14 ქულა, 2. ენისეი – 14, 3. კრასნი იარი – 10, 4. სლავა – 6, 5. სმენა – 2, 6. პენზა - 2.

**ბესიკ ჯანგავაძე**



● ჭადრაკი

# ზედიზედ სამი მარცხი

## ამას ვერავინ იფიქრებდა

ნინბოში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი. გუშინ გათამაშდა მეშვიდე ტურის პარტიები. საქართველოს ნაკრები ზედიზედ მესამედ დამარცხდა, ამჯერად ჩინეთის პირველ ნაკრებთან.

გაცნობებთ გუშინდელი შეხვედრების ანგარიშებს:

უკრაინა-აშშ 2:2 (**ანა უშენინა-ირინა კრუში 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა-ანა ზატონსკიხი 1:0, ინა გაპონენკო-რუსუდან გოლეთიანი 0:1, მარია მუზიჩუკი-ალისა მელიოხინა 0,5:0,5**).

ინდოეთი-ჩინეთი(2) 2,5:1,5 (**ჰარიკა დრონავალი-თან ჟონგი 0,5:0,5, იეშა კარავადეჟან სიაოვენი 0,5:0,5, მერი გომესი-დინ იისინი 1:0, ნადიგ კრუტიკა-ვან სიაოჰუ 0,5:0,5**).

სომხეთი-ვიეტნამი 3,5:0,5 (**ელინა დანიელიანი-თრამ ჰოანგი 1:0, ლილით მკრტიჩიანი-ნგუენ ჰამი 0,5:0,5, ლილით გალოიანი-ჰუ ჰოანგი 1:0, ნელი აგინიანი-ჰუნგ ვო 1:0**).

რუსეთი-პოლონეთი 2:2 (**ტატიანა კოსინცევა-ივეტა რაილიჩი 0,5:0,5, ნადეჟდა კოსინცევა-იოლანტა ზავადსკა 0,5:0,5, ეკატერინა კოვალევსკაია-იოანა მაიდანი 0:1, ვალენტინა გუნინა-კარინა ჰოროვსკა 1:0**).

ჩინეთი (1)-საქართველო 3,5:0,5 (**ჟაო სიუ-მაია ჩიბურდანიძე 0,5:,5, შენ იანი-ნანა ძაგნიძე 1:0, იუ ვენიუნი-ლელა ჯავახიშვილი 1:0, ჰუან ქიანი-მაია ლომინეიშვილი 1:0**).

შვიდი ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: **პოლონეთი — 10 (15), ჩინეთი (1) — 9 (17), უკრაინა — 8 (15), რუსეთი — 8 (15), სომხეთი — 8 (14,5), საქართველო — 7 (14), ინდოეთი — 7 (13), აშშ — 6 (14,5), ჩინეთი (2) — 6 (13,5), ვიეტნამი — 1 (8).**

დღეს მერვე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **აშშ-საქართველო, პოლონეთი-ჩინეთი (1), ვიეტნამი-რუსეთი, ჩინეთი(2)-სომხეთი, უკრაინა-ინდოეთი.**

**ვაჟა დანელია**

# ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო

იტალიურ ფერმოში გუშინ დამთავრდა 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს 18 წარმომადგენელი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ჩემპიონობა ვერავინ მოიპოვა. ჩვენი დელეგაციის სპორტულ ყულაბაში მხოლოდ სამი მედალი აღმოჩნდა - ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი.

18-წლიანებში **ქეთი წაწალაშვილმა** რუს **ოლგა გირიასთან** ერთად 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ხვდა (**ნაზი პაიკიძე** 6 ქულით მეხუთე იყო). ამ ასაკის ვაჟებში **დავით ბენიძემ** იყოჩაღა - 7 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (**ლუკა პაიჭაძე** 6 ქულით მე-12 ადგილზე გავიდა).

16-წლიანებში ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი ვერ გამოიყენა **მერი არაბიძემ** - თეთრი ფიგურებით იგი აზერბაიჯანელ **ნარმინა კაზიმოვას** დაუზავდა, მოაგროვა 7 ქულა და მხოლოდ ვერცხლს შესწვდა. ამ ასაკში **მარიამ დანელია** 5,5 ქულით მე-16 იყო; 14. **ზურაბ ჯავახაძე** (6 ქულა), 39. **ნოდარ ლორთქიფანიძე** (5), 79. **გიორგი ცირეკიძე** (3,5).

14-წლიანებში **ლიკა კობეშავიძემ** პოლონელ **ალექსანდრა ლაჩს** მოუგო ბოლო ტურში და 7 ქულა მოაგროვა, ისევე, როგორც გერმანელმა **ფილიზ ოსმანოჯამ** და პოლონელმა **მარია ლეკსმა**. უარესი კოეფიციენტით ჩვენებური კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა - მეოთხე ადგილი. 17. **ნატო იმნაძე** (5,5 ქულა). ასევე უარესი კოეფიციენტის გამო დარჩა უმედლოდ **ირაკლი ბერაძე** (მე-5 ადგილი, 7 ქულა).

12-წლიანები: 5. **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** (6,5), 9. **ნინო ხომერიკი** (6), 33. **გიორგი სიბაშვილი** (5), 41. **ადა ქაქუთია** (4,5).

10-წლიანები: 13. **ნინო დახუნდარიძე** (5,5), 51. **ალექსანდრე ურდულაშვილი** (4).

**ვაჟა დანელია**

ლეგიონერები

# ვასილ კაკოვინი ბრივში გადადის

უკვე ვიუწყებოდით, რომ „ლელოს" მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** და „უნივერსიტეტის" შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „შამბერიში" გადაბარგდნენ.

მაისურაძე, ისევე, როგორც კიდევ ერთი ქართველი, ბორჯღალოსანთა შუამარბი **ირაკლი გიორგაძე**, კლუბთან ხელშეკრულებას უახლოეს დღეებში გააფორმებენ.

რაც შეეხება კაკოვინს, ის, შესაძლოა ელიტური, პირველი დივიზიონის „ბრივში" ჩაირიცხოს. ამ გუნდში უკვე მესამე სეზონია, ასპარეზობს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ხინჩაგიშვილი**. „ბრივში" ორდღიან სინჯებზე ყოფნისას კაკოვინი სწორედ მასთან სტუმრობდა.

„ბრივის" ხელმძღვანელობამ ვასოს გუნდში ჩარიცხვაზე სიტყვიერი თანხმობა მისცა. ახლა ჯერი მენეჯერებზეა. თუ ტრანსფერი განხორციელდა, ქართველი მორაგბე თავდაპირველად სათადარიგო გუნდში, ეგრეთ წოდებულ ესპუარებში იასპარეზებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● წყალბურთი

# მალტისთვის რომ მოგვეგო

ლუგანოში გუშინ დამთავრდა წყალბურთელთა ევროპის B ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირი. საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩში მასპინძლებს დიდი ანგარიშით - 19:10 მოუგო, მაგრამ საუკეთესო სამეულში მოსახვედრად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ჰოლანდიელებმა და მალტელებმა შეხვედრა ფრედ დაამთავრეს - 10:10. ამ შედეგით ევროპელებმა ჩვენებს B ჩემპიონატის მედლებისკენ მიმავალი გზა გადაუღობეს. ახია ჩვენზე - მოგვეგო მალტელებისთვის და პირველ ექვსეულში ადგილი გარანტირებული გვექნებოდა. B ჯგუფში ბრიტანელებმა პოლონელები 13:5 დაამარცხეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. არადა, კუნძულელებს მეორე ტურში ვძლიეთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტან. | 5 | 4 | 0 | 1 | 60:38 | 12 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 58:36 | 10 |
| მალტა | 5 | 3 | 1 | 1 | 42:42 | 10 |
| საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | 61:44 | 9 |
| შვეიცარია | 5 | 1 | 0 | 4 | 38:71 | 3 |
| პოლონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 27:55 | 0 |

A ჯგუფში კვლავ შეუდარებელი იყო საფრანგეთის ნაკრები, რომელმაც უკრაინის ეროვნულ გუნდს დააყრევინა ფარ-ხმალი - 18:7. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: თურქეთი-დანია 11:6, სლოვენია-ბელარუსი 9:8.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 72:37 | 15 |
| თურქეთი | 5 | 4 | 1 | 54:35 | 12 |
| სლოვენია | 5 | 3 | 2 | 59:45 | 9 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 3 | 49:47 | 6 |
| უკრაინა | 5 | 1 | 4 | 38:56 | 3 |
| დანია | 5 | 0 | 5 | 26:78 | 0 |

პირველ-მესამე ადგილებზე გასული გუნდები მედლებისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, საქართველო კი მეშვიდე-მეათე ადგილებისთვის იბრძოლებს.

დღეს ითამაშებენ **პოლონეთი-უკრაინა, დანია-შვეიცარია, თურქეთი-მალტა, სლოვენია-ჰოლანდია**. საქართველო ხვალ უკრაინა-პოლონეთს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# კოსტა მაისურაძის ხსოვნისა

ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის (პრეზიდენტი **დიმიტრი დუნდუა**) ინიციატივით ონში მეორედ გაიმართა სახელოვანი ქართველი ფალავნის **კოსტა მაისურაძის** ხსოვნის ტურნირი (მთავარი მსაჯი **შურა მაისურაძე**), რომელშიც მასპინძლებთან ერთად გორელი, თელაველი, გურჯაანელი, ლაგოდეხელი, ამბროლაურელი და ტყიბულელი ფალავნებიც ცდიდნენ ძალებს.,

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ:

60კგ. 1. **ოთარ კაიდარაშვილი** (გორი), 2. **დავით გოგრიჭიანი** (ონი), 3. **ზვიად მაისურაძე** (ონი). 65კგ. 1. **იოსებ ქოქაშვილი** (გორი), 2. **ნოდარ მაისურაძე** (ონი), 3. **დავით კაპანაძე** (ტყიბული). 72 კგ. 1. **ანრი ბიბილაშვილი** (გორი), 2. **ზვიად ბაზანდარაშვილი** (გორი), 3. **ილია მეტრეველი** (ამბროლაური). 80 კგ. 1. **ნოდარ კუდუხაშვილი** (გორი), 2. **სოსო ჩილინდრიშვილი** (გორი), 3. **შალვა ბიბილაშვილი** (ამბროლაური). 90 კგ. 1. **გიორგი მოდებაძე** (ლაგოდეხი), 2. **თორნიკე კობახიძე** (გორი), 3. **გოჩა აბუთიძე** (ამბროლაური). აბსოლუტური: 1. **გიორგი ბოლაშვილი** (გორი), 2. **ვალერი იმერლიშვილი** (თელავი), 3. **ნოდარ კუდუხაშვილი** (გორი).

**ვაჟა დანელია**

# მილოცვები



საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია და გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალი დაბადებიდან საიუბილეო 75 წელს ულოცავს მაღალი კლასის ტანმოვარჯიშეთა თაობების და ახალგაზრდა მწვრთნელთა კადრების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს **ოთარ მიქელაძეს**.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 75 წელს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს **ოთარ მიქელაძეს**.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონს და ხუთგზის მეორე პრიზიორს, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, ვარჯიშთა სირთულეში მსოფლიოს რეკორდსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატსა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ღირსების ორდენის კავალერს **რუსუდან ხოფერიას**.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია დაბადებიდან 65 წელს ულოცავს ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **ემზარ ზენაიშვილს**, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს პირად ცხოვრებაში.

„ლელოს" რედაქცია დაბადებიდან 65 წელს ულოცავს საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ გამორჩეულ ორგანიზატორს, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრს, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს, ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **ემზარ ზენაიშვილს**.



## ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები



ლალი დოლიძე



ირინე გაბაშვილი

# ქართული სპორტის მატიანე
## მხატვრული ტანვარჯიში

მხატვრული ტანვარჯიში ქალთა სპორტის სახეობაა, რომელიც სპორტული ტანვარჯიშის, აკრობატიკისა და ქორეოგრაფიის ელემენტებს შეიცავს.

ეს სპორტის სახეობა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. მისი ფორმირების მნიშვნელოვანი პერიოდი XIX საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის და ცნობილი ფრანგი პედაგოგის, სცენური ჟესტის თეორეტიკოსის **ფრანსუა დელსარტის** სახელს უკავშირდება.

მხატვრული ტანვარჯიშის საერთაშორისო ისტორია 1960 წლიდან იწყება, როცა სოფიაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის და ბულგარეთის ტანმოვარჯიშეთა ტურნირი. 1963 წლის 7-8 დეკემბერს ბუდაპეშტში მოეწყო პირველი ოფიციალური საერთაშორისო პირადი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, ესპანეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ფინეთის და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეები.

მხატვრულ ტანვარჯიშში, მსოფლიოს ჩემპიონატი 1963 წლიდან იმართება (ბუდაპეშტის ტურნირს, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატის სტატუსი მიანიჭა). ევროპის ჩემპიონატები ტარდება 1978 წლიდან. 1984 წლიდან კი ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია.

ჩვენს ქვეყანაში მხატვრული ტანვარჯიში სპორტული მიმართულებით 1940-იანი წლების მიწურულიდან ვითარდება. 1948 წელს თბილისში მოეწყო მეორე საკავშირო დათვალიერება-კონკურსი. საქართველოს ტანმოვარჯიშეები საკავშირო შეჯიბრებებში 1950 წლიდან ჩაებნენ, მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვებები 1970-იან წლებში მოიპოვეს, როცა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა მხატვრული ტანვარჯიშის ქართული სკოლის შემქმნელი **ნელი სალაძე.**

1979 წელს **ირინე გაბაშვილი** და **ლალი დოლიძე** საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონები ხდებიან. გაბაშვილმა ბურთით ვარჯიშშიც ოქროს მედალი მოიპოვა, მრავალჭიდში კი ბრინჯაოს მედალი ხვდა. მომდევნო წლებში საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებით გამოდიოდნენ **ინგა ყიფშიძე, ელისო ბედოშვილი, ირინა ჟემჩუჟინა, მაია ნადიბაიძე, მარინა ხალილოვა, მაია მორბედაძე** და სხვები. საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ **ეკა აბრამია** (1996 წელს ატლანტაში XXV ადგილი) და **ინგა თავდიშვილი** (2000 წელს სიდნეიში, XXI ადგილი).

დამოუკიდებელი საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1-ელ ივნისს. 1992 წლის 18 ივლისიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის და ევროპის ტანვარჯიშის ფედერაციის წევრია.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტია **კობა სვინტრაძე.**

**საქართველოს მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა მედლები მოიპოვეს:**

**მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

1. ირინე გაბაშვილმა - 1979-2
2. ლალი დოლიძემ - 1979

**ბრინჯაოს მედალი**

1. ირინე გაბაშვილმა - 1979

მსოფლიოს ჩემპიონი - 2,
ოქროს მედალი – 3.
ბრინჯაოს მედალოსანი - 1,
მედალი -1.
სულ - 4 მედალი
(3 ოქრო, 1 ბრინჯაო).

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

1. ელისო ბედოშვილმა-1990

**ვერცხლის მედალი**

1. ელისო ბედოშვილმა - 1990
2. ირინა ჟემჩუჟინამ - 1980
3. ირმა ყიფშიძემ - 1986

**ბრინჯაოს მედალი**

1. ელისო ბედოშვილმა - 1990

ევროპის ჩემპიონი - 1,
ოქროს მედალი – 1.
ვერცხლის მედალოსანი - 3, მედალი — 3.
ბრინჯაოს მედალოსანი - 1,
ბრინჯაოს მედალი —1.

სულ: 5 მედალი
(1 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო).

„ტანვარჯიში, ფიზიკური ვარჯიში, ფეხით სიარული მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ყოველი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში, თუ მას სურს შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა, ჯანმრთელობა, სრულფასოვანი და მჩქეფარე სიცოცხლის უნარი".

ჰიპოკრატე

### იყო ასეთი შემთხვევა...

# შენ რა ბალავაძესავით მექიმები...

ეს მოხდა 1957 წელს. კახეთის ერთ რაიონულ ცენტრში შეხვედრა მოუწყვეს ჩვენს სახელოვან ფალავანს **ვახტანგ ბალავაძეს.** იმ წელს ვახტანგი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და ეს შეხვედრაც ამ წარმატების აღსანიშნავად ჩატარდა. გვიან ღამით მობრუნდა უკან. თელავში შესულები არ იყვნენ, რომ მანქანა მოიშალა. შეწუხდა მძღოლი, ვაითუ მთელი ღამე აქ მოგვიწიოს დარჩენამო. ვახტანგმა დაამშვიდა, თელავში შევალ, იქნებ ვინმე ნაცნობს წავაწყდე და ხელოსანი მომაძებნინოსო.

შუაღამე გადასული იყო. თელავის ცენტრალურ ქუჩას გაუყვა, ჩაუარა ერეკლეს წყაროს. ნაცნობს ვერ გადაეყარა. უკან გაბრუნდა, დაფიქრებული უცებ ვილაც დაგვიანებულ მგზავრს მხრით შეეხო. ორივე შეჩერდა.

— ბოდიში, ჩემო ძმაო, — უთხრა ვახტანგმა, — მაგრამ შენც ცოტა ფრთხილად იარე.

უცნობი აიქოჩრა. „მე ჩემს გზაზე მივდიოდი, შენ თავად იარე ფრთხილად," — გაიფიქრა და ბნელში მხარგამართულ ვაჟკაცს რომ ახედა, რიხით უთხრა:

— შენ რა ვახტანგ ბალავაძესავით მეჭიმები, ერთბაშად ბეჭებზე არ დამდო.

ვახტანგი ჯერ შეცბა, მერე კი სახეზე მარცხენა ხელი აიფარა და გულიანად გადაიხარხარა.

უცნობი ახლოს მივიდა, ვინმე ხომ არ მექილიკებაო. მაგრამ მის წინ უცნობი კაცი იდგა. მერე კარგად დააკვირდა და სახე გაებადრა.

— ბიჭო, შენ მართლა ვახტანგ ბალავაძე ხომ არა ხარ?

ვახტანგმა უცნობს მისთვის ჩვეული ალალი ღიმილი შეაგება და თავი დაუქნია.

მერე რაც მოხდა, მკითხველი ადვილად მიხვდება. კახელი კაცი ეგრე იოლად აღარ მოეშვებოდა სახელოვან სტუმარს. იმ ღამეს მეგობრებს მანქანაც შეაკეთებინა და მეფური სუფრაც გაუშალა...

### ციტატები...

„წყალბურთი ერთ-ერთი ურთულესი სპორტული თამაშია. იმისათვის, რომ კარგად ითამაშო წყალბურთი, საფუძვლიანად უნდა ფლობდე ცურვის ყველაზე უფრო სწრაფ სტილს — ნებისმიერს"

**ნოდარ გვახარია.**

ძველ დროს ქართველს ნადირობა მარტო სახეირო და სასარგებლო საქმედ არ მიაჩნდა. ნადირობა უფრო სავაჟკაცო დროს გატარება და ვარჯიშობა იყო... განთქმული მონადირე სახელოვანი ვაჟკაციც იყო.

**გაზ. „ივერია", 1879.**

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** შეჯიბრება წყალბურთში საქართველოში გაიმართა 1927 წელს ბათუმში. ამ დროს ევროპაში (1926 წლიდან) კაცთა შორის უკვე ევროპის ჩემპიონატი იმართებოდა.

**პირველმა** ქართველი წყალბურთელებიდან ოლიმპიური მედალი მოიპოვა **ლერი გოგოლაძემ.** 1960 წელს, რომში იგი ოლიმპიადის მეორე პრიზიორი გახდა საბჭოთა ნაკრებ გუნდში.

**პირველად** ქართველმა წყალბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 1982 წელს. ეს სპორტსმენია **მიხეილ გიორგაძე,** რომელიც შემდეგ სამჯერ — 1983, 1985 და 1987 წელს ევროპის ჩემპიონიც გახდა, 1988 წელს სეულში კი ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

**1. 50 წლის წინათ პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა თბილისის ერთ-ერთმა საფეხბურთო კლუბმა. რომელმა?**

ა - თბილისის „დინამომ"
ბ - თბილისის „ლოკომოტივმა"
გ - თბილისის „სპარტაკმა".

**2. „33 საუკეთესო" ფეხბურთელთა სიაში 8-ჯერ მოხვდა ქართველი სპორსტმენი. ვინ იყო იგი?**

ა - მურთაზ ხურცილავა
ბ - ვლადიმერ ბარქაია
გ - ალექსანდრე ჩივაძე

**3. რომელ წელს დაწესდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება?**

ა – 1934 წელს
ბ – 1936 წელს
გ – 1937 წელს

**4. ძველი თაობის ფეხბურთელებიდან პირველი ვინ გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე?**

ა - შოთა შავგულიძე
ბ - ბორის პაიჭაძე
გ - ავთანდილ ღოღობერიძე

**5. ვინ იყო ქართველებიდან სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი 1978 და 1981 წლებში?**

ა - კახი ასათიანი
ბ - გივი ნოდია
გ - რამაზ შენგელია

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.



ტოკიო. 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის 8-კაციან ნაკრებში 7 ქართველი ფალავანი გამოდიოდა. მარცხნიდან: მირიან ცალქალამანიძე, ვარლამ გიგიაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ესტონელი აუგუსტ ენგლასი და არსენ მეკოკიშვილი.

## 9-15 სექტემბერი

**9 სექტემბერი. 1977 წ.** დაფუძნდა საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაცია — „სპორტი ყველასათვის".

**10 სექტემბერი. 1948 წ.** დაიბადა **მიხეილ ქორქია.** კალათბურთი. გარდაიცვალა 2004 წელს.

**10 სექტემბერი. 1939 წ.** დაიბადა **ზარბეგ ბერიაშვილი.** თავისუფალი ჭიდაობა.

**10 სექტემბერი. 1973 წ.** დაიბადა **ბაკურ გოგიტიძე.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**10 სექტემბერი. 1943 წ.** დაიბადა **ალექსანდრე ტუტკაევი.** ცურვა.

**10 სექტემბერი. 1966 წ.** დაიბადა **ახრიკ ცვეიბა.** ფეხბურთი.

**13 სექტემბერი. 1960 წ. ავთანდილ ღოღობერიძემ** საკავშირო ჩემპიონატში გაიტანა 127-ე გოლი, რაც თბილისის „დინამოს" კლუბის რეკორდი იყო.

**13 სექტემბერი. 1972 წ.** თბილისის „დინამომ" პირველი მატჩი ჩაატარა ევროპის საფეხბურთო კლუბების ტურნირში.

**15 სექტემბერი. 1944 წ.** დაიბადა **გიორგი სიჭინავა.** ფეხბურთი.




**10 სექტემბერი. ქართული ჭიდაობა.** რეგიონებს შორის გუნდური პირველობის დასკვნითი დღე. თბილისი. ახალგაზრდები, ჭაბუკები.

**10-12 სექტემბერი. ბილიარდი.** ჰოლანდიის ღია პირველობა „პულში" (ევროტურნირი). ჰოლანდია. კაცები, ქალები.

**10-13 სექტემბერი. წყალბურთი.** ევროპის B ჩემპიონატის მატჩები. ლუგანო. დიდები.

**10-13 სექტემბერი. კრივი.** გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია. დიდები.

**10 სექტემბერი. ჭადრაკი.** ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი დღე. ნინბო.

**10-16 სექტემბერი. პლაჟბურთი.** გრძელდება მსოფლიო ტურის მატჩები. დანიშნვით. ქალები, კაცები.

**11-13 სექტემბერი. ავტორალი.** ალმოსავლეთ ევროპის თასის გათამაშება. ქ. იალტა.

**11-13 სექტემბერი. ძიუდო.** ევროპის ჩემპიონატი. ერევანი. ახალგაზრდები.

**11-13 სექტემბერი. ველოსპორტი.** საქართველოს თასის გათამაშება. თბილისი. დიდები.

**11-14 სექტემბერი. ქამრიანი ჭიდაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ლიტვა. დიდები.

**12-13 სექტემბერი. მეკლდეურობა.** ევროპის თასის გათამაშება. გერმანია. ახალგაზრდები.

**14 სექტემბრიდან. ბილიარდი.** შვეიცარიის ღია პირველობა „პულში" (ევროტურნირი). შვეიცარია. კაცები ქალები.

**14-16 სექტემბერი. სპორტული ნარდი.** ღია საერთაშორისო ტურნირი. ბათუმი. დიდები.

**16 სექტემბრიდან. ტრეკი.** საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. დიდები.

ევრობასკეტი 2009. I ჯგუფური ეტაპი. III ტური

# ორი ფავორიტი გამოიკვეთა




**პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველი ჯგუფური ეტაპი დასრულდა. თითო ჯგუფიდან სამი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის. დღეს კალათბურთელებს დასვენების დღე აქვთ, ხვალიდან კი მეორე ჯგუფური ეტაპი დაიწყება, რომლის კალენდარსაც აქვე გთავაზობთ.**

## A ჯგუფი

**მაკედონია-ხორვატია 71:81**

26:20, 22:14, 13:22, 10:25

მ: ვ. სტეფანოვი (12+5 პასი), დ. სოკოლოვი (12), მასეი (12+10 მოხსნა), რ. სტეფანოვი (11), გეჩევსკი (8), ვ. სტოიანოვსკი (7), ანტიჩი (7+10 მოხსნა), ტასოვსკი (2).

ხ: ვუიჩიჩი (12), ბანიჩი (11), პრკაჩინი (9+5 მოხსნა), პლანიჩიჩი (9+7 პასი), ნიჩევიჩი (8), კუსი (8), როუიჩი (7+6 მოხსნა), უკიჩი (7+6 პასი), პოპოვიჩი (7), სტოიჩი (2), ლონჩარი (1).

მეორე ტურში ისრაელის დამარცხების შემდეგ, მაკედონიას კიდევ ერთი მოულოდნელი გამარჯვების მოპოვების კარგი შანსი ჰქონდა. პირველი ტაიმის შემდეგ ეს გუნდი 14 ქულას უგებდა ხორვატიას, რაც ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების გარანტიას იძლეოდა.

პირველ ნახევარში მაკედონია 17 ქულითაც იყო წინ, თუმცა შემდეგ მონინაალმდეგეს 13:2 გაქცევის საშუალება მისცა. ბოლოს მაკედონიელებმა მაინც იძალეს და ტაიმი კომფორტული უპირატესობით მოიგეს - 48:34.

მესამე მეოთხედის პირველი ოთხი წუთი ისე გავიდა, რომ მაკედონიამ ქულა ვერ დააგროვა, ხორვატიამ ამ დროში რვა ქულა მოიპოვა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

მაკედონია იოლად არ აპირებდა უპირატესობის დათმობას და ცოტა ხანში 9 ქულით დაწინაურდა. ეს ამ გუნდის ბოლო წარმატება იყო. ამის შემდეგ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. მესამე მეოთხედიდან მოყოლებული მეოთხე მეოთხედის შუამდე ხორვატებმა დაახლოებით 12-წუთიანი მონაკვეთი 27:2 მოიგეს და მატჩში გამარჯვებულის საკითხი გარკვეული იყო. ამ გამარჯვებით ხორვატიამ მეორე ადგილი დაიკავა, მაკედონია კი მესამე ადგილიდან გადადის შემდეგ ეტაპზე.

**ისრაელი-საბერძნეთი 80:106**

25:31, 17:25, 23:23, 15:27

ი: ელიაჰუ (21+8 მოხსნა+4 პასი), ლიმონადი (15), კოუიკარო (8), გრინი (8+8 მოხსნა), ბურშტეინი (8), ჰალპერინი (7), ნაიმი (5), პნინი (4), მეკელი (4).

ს: სპანულისი (18+5 პასი), შორცანიდისი (16), ფოცისი (16), კალამპოკისი (12), კაიმაკოგლუ (10), პრინტეცისი (8), პერპეროგლუ (6), ცისისი (6), კალათესი (5+4 პასი), გლინიადაკისი (5), კუფოსი (4+8 მოხსნა).

საბერძნეთმა მორიგი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ეს გუნდი ევრობასკეტის მოგების მთავარ ფავორიტად ითვლება. ბერძნებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და ისრაელმა მოგების გარეშე დაასრულა ჯგუფური ეტაპი.

**იონას კაზლაუსკასის** შეგირდებს მხოლოდ მეორე მეოთხედის ბოლოს გაუჭირდათ, როცა ისრაელი სამი ქულით დაწინაურდა, მაგრამ ლიტველი სპეციალისტის ტაიმაუტის შემდეგ საბერძნეთი 13:2 გაიქცა და დარჩენილ დროში ახლოს არ მიიკარა მოწინააღმდეგე.

ბერძნები ბრწყინვალედ ისროდნენ თამაშიდან. მათი სიზუსტის პროცენტი 62-ს უდრიდა, რაც შეეხება სამქულიანებს, 22-დან 11 შორეული ტყორცნა გამოიყენეს, რაც ასევე შესანიშნავი მაჩვენებელია.

სხვათა შორის, პირველ ჯგუფში გამართული 24 მატჩიდან ეს იყო ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც ერთმა გუნდმა 100-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 3/0 | 268-202 | 6 |
| 2. ხორვატია | 2/1 | 235-226 | 5 |
| 3. მაკედონია | 1/2 | 207-246 | 4 |
| 4. ისრაელი | 0/3 | 238-274 | 3 |

## B ჯგუფი

**რუსეთი-საფრანგეთი 64:69**

17:15, 18:19, 16:18, 13:17

რ: მაკარტი (13), კუბანოვი (12), ფრიძონი (11), მოზგოვი (8+5 მოხსნა+5 დაფარება), პონკრაშოვი (7+8 პასი), ზოზულინი (6), ვორონცევიჩი (5), ბიკოვი (2).

ს: დიავი (19+7 მოხსნა+7 პასი), ტურიაფი (18+14 მოხსნა), პარკერი (17+4 პასი+4 ჩაჭრა), დე კოლო (7), ჟანო (3), ტრაორე (2), კოფი (2), ფ. პიეტრუსი (1).

საფრანგეთის ნაკრებმა რევანში აუღო რუსეთს ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში წაგების გამო.

ფრანგების ლიდერს **ტონი პარკერს** მორიგი გმირობის ჩადენა აღარ დასჭირვებია. „სან ანტონიოს" გამთამაშებელს პარტნიორებმაც აუბეს მხარი და ერთობლივი ძალისხმევით ურთულეს ბრძოლაში მოუგეს რუსეთს. საფრანგეთმა ასპროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა პირველი ჯგუფური ეტაპი და ორი მოგებით გადავიდა შემდეგ წრეში.

ფრანგების რიგებში შეუჩერებელი აღმოჩნდა **რონი ტურიაფის**, პარკერისა და **ბორის დიავის** ტრიო, რომელმაც ერთად 54 ქულას მოუყარა თავი. გადამწყვეტი სიტყვა დიავმა თქვა, რომელმაც 55:55-ზე ზედიზედ სამი შეტევა ზუსტად დაასრულა და თავისი გუნდი წინ გაიყვანა - 61:57.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო საბოლოო გამარჯვება. საფრანგეთს საქმე იმან გაუიოლა, რომ რუსეთმა ბოლო სამწუთ-ნახევარში ქულა ვერ აიღო, გარდა ამისა, ფრანგებმა ორივე ფარზე მოუგეს ბრძოლა მეტოქეს - მოხსნებში ანგარიში 39:23 იყო „მამლების" სასარგებლოდ, ამასთან, 15 მოხსნა საფრანგეთმა შეტევაში გააკეთა.

**გერმანია-ლატვია 62:68**

13:14, 16:23, 13:14, 20:17

გ: გრინი (16), იაგლა (13+7 მოხსნა), შაფარტციკი (7+5 პასი), ფემერლინგი (5+6 მოხსნა), ჰარისი (5+5 მოხსნა), ჰამანი (5), შულტცე (4), ოლბრეხტი (3), ვისოცკი (2), ბენცინგი (2).

ლ: იანიჩენოკსი (14), კამბალა (11), ბიდრინსი (10+9 მოხსნა), შკელე (10+4 პასი), ვალტერსი (10+5 მოხსნა+4 პასი), ჰელმანისი (6+5 პასი), ბლუმსი (5), კალვე (2).

ამ ჯგუფში საფრანგეთი სხვების ფონზე გამოირჩეოდა, დანარჩენმა სამმა გუნდმა კი ერთნაირი ქულებით დაასრულა ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტურში ლატვიამ იყოჩაღა და მოულოდნელად გერმანია დაამარცხა, მაგრამ ქულათა უარესი შეფარდების გამო ბოლო ადგილი დაიკავა.

ლატვიას უფრო დიდი ანგარიშით შეეძლო გაემარჯვა და თავად მოეპოვებინა მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური, მაგრამ ბალტიისპირელებმა 38-დან მხოლოდ 19 საჯარიმო ჩააგდეს.

| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 3/0 | 199-180 | 6 |
| 2. რუსეთი | 1/2 | 218-213 | 4 |
| 3. გერმანია | 1/2 | 203-211 | 4 |
| 4. ლატვია | 1/2 | 187-203 | 4 |

## C ჯგუფი

**ესპანეთი-სლოვენია 90:84 (ო)**

18:20, 25:15, 19:14, 16:29, 12:6

ე: ნავარო (21), ფერნანდესი (19+5 მოხსნა), რეიესი (17+8 მოხსნა), პ.გასოლი (13+9 მოხსნა), რუბიო (9+3 ჩაჭრა), ლული (6), მ. გასოლი (5+7 მოხსნა).

ს: დრაგიჩი (19+6 ჩაჭრა), ლაკოვიჩი (15), ნახბარი (14), ბრეჟეცი (12), ე. ლორბეკი (8+10 მოხსნა), იაგოდნიკი (8+5 მოხსნა), დ. ლორბეკი (4), გოლემაკი (4).

მსოფლიოს ჩემპიონმა მორიგი სუსტი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ოვერტაიმში დაამარცხა სლოვენია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წინა ტურში სლოვენიელებმა სერბეთი დაამარცხეს, ცხადი იყო, რომ პირენეელებს იოლი გასეირნება არ ელოდათ.

ესპანეთი ვალდებული იყო, ძირითად დროში თავის სასარგებლოდ დაესრულებინა შეხვედრა, მაგრამ სამი მეოთხედის განმავლობაში გამოცდილების ხარჯზე რის ვაი-ვაგლახით შეგროვებული უპირატესობა ერთი ხელის მოსმით გაანიავა. მეოთხე 10-წუთეულის დასაწყისში ესპანეთი 13 ქულით იყო წინ (64:51), მაგრამ სლოვენიამ დროის დარჩენილი მონაკვეთი 27:14 მოიგო. ბოლო წამებზე **ერაზემ ლორბეკის** ზუსტმა ორქულიანმა შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.




დამატებით დროში ესპანეთმა მაინც იძალა. **პაუ გასოლმა, რუდი ფერნანდესმა** და **ფელიპე რეისმა** (ესპანელებში მხოლოდ ეს კალათბურთელები აგროვებდნენ ქულებს) უშეცდომო თამაშით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანეს თავის გუნდს, თუმცა ცხრილში სლოვენია მაინც ესპანეთზე წინ დარჩა.

**ბრიტანეთი-სერბეთი 59:77**

12:21, 17:18, 15:19, 15:19

ბ: რეინკინგი (21), მენსა-ბონსუ (16), არჩიბალდი (9+7 მოხსნა), სალივანი (4), ლენზლი (3), ბოიდი (2), ჰარტი (2+5 მოხსნა), ბეტსი (1), აჩარა (1).

ს: ტეპიჩი (17), კრსტიჩი (17), ტეოდოშიჩი (11+4 პასი), ველიჩკოვიჩი (7+5 მოხსნა), პეროვიჩი (7), ტრიპკოვიჩი (7), ბიელიცა (5+8 მოხსნა), პოპოვიჩი (3), მარკოვიჩი (2), მაჩვანი (1).

| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. სლოვენია | 2/1 | 236-215 | 5 |
| 2. სერბეთი | 2/1 | 212-196 | 5 |
| 3. ესპანეთი | 2/1 | 231-226 | 5 |
| 4. ბრიტანეთი | 0/3 | 204-233 | 3 |

## D ჯგუფი

**პოლონეთი-თურქეთი 69:87**

17:24, 17:21, 21:21, 14:21

პ: გორტატი (21+7 მოხსნა), ლამპე (14+7 მოხსნა), შუბარგა (6), იგნერსკი (6), ლოგანი (6+4 პასი), შევჩიკი (5), კოშარეკი (5), ჩილინსკი (3), ვიტკა (3).

თ: აშიქი (22+8 მოხსნა), ილიასოვა (18+8 მოხსნა), თურქოგლუ (13+8 მოხსნა), თუნჩერი (11), არსლანი (10), შავასი (6), ერდენი (5), ონანი (2).

საბერძნეთის შემდეგ პირველ ჯგუფურ ეტაპზე საუკეთესო შთაბეჭდილება თურქეთის ნაკრებმა დატოვა. ამ გუნდმა შეძლო მასპინძელთა „დიდი სამეულის" **(გორტატი, ლოგანი, ლამპე)** განეიტრალება და ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოიპოვა მესამე გამარჯვება.

პოლონეთმა მესამე მეოთხედის შუაში მოახერხა მეტოქესთან მიახლოება (50:56), მაგრამ შემდეგი 10-წუთიანი მონაკვეთი თურქეთმა 24:7 მოიგო და დროის დარჩენილი ნაწილი ფორმალობად იქცა. ამ გაქცევაში ყველაზე დიდი წვლილი (10 ქულა) **ომერ აშიქმა** შეიტანა. თურქების ცენტრმა ჯამში 22 ქულა დააგროვა და 91 (!) პროცენტის სიზუსტით ისროლა.

**ლიტვა-ბულგარეთი 84:69**

25:22, 16:19, 16:15, 27:13

ლ: კ. ლავრინოვიჩი (16+6 მოხსნა+4 პასი), პეტრავიჩუსი (13+8 მოხსნა), იასაიტისი (11), კლეიზა (10+7 მოხსნა), დელინინკაიტისი (9), ლუკაუსკისი (9+5 მოხსნა), მაჟუტისი (5), დ. ლავრინოვიჩი (4), იომანტასი (4+4 პასი), იავტოკასი (3).

ბ: როულენდი (18), სტოიკოვი (16), დ. ივანოვი (11), კ. ივანოვი (10+7 მოხსნა), ვიდენოვი (8), გეორგიევი (4), ევტიმოვი (2+13 მოხსნა).

ლიტვის ნაკრებმა კინაღამ საბოლოოდ შეირცხვინა თავი. ბულგარეთთან შეხვედრაში ჯგუფის მესამეადგილოსანის ბედი ირკვეოდა. ანგარიშმა არ მოგატყუოთ - ბალტიისპირელებმა მხოლოდ შეხვედრის ბოლოს იძალეს, მანამდე კი იყო ნერვების თამაში, სადაც ლიტველთა გამოცდილებამ საბოლოო სიტყვა თქვა.

„მწვანეებმა" პირველ მეოთხედში ოდნავი უპირატესობა მოიპოვეს და ამის ხარჯზე თითქმის სულ წინ იყვნენ, მაგრამ შეხვედრის სურათი მესამე მეოთხედში შეიცვალა, სადაც ბულგარეთმა ინიციატივა მოიპოვა და ერთ მომენტში ექვსი ქულითაც გავიდა წინ. ლიტვა მხოლოდ ძალების უდიდესი დაძაბვით დაეწია მეტოქეს და ბოლო მეოთხედისთვის ერთი ქულით დაწინაურდა.

საფინალო სირენამდე ხუთწუთნახევრით ადრე ანგარიში იყო - 66:64 ლიტვის სასარგებლოდ. სწორედ აქ მოაწყო ამ გუნდმა საბოლოო გაქცევა, რამაც ტურნირზე პირველი გამარჯვება და მეორე ეტაპის საგზური მოაპოვებინა. ორწუთიანი მონაკვეთი ლიტველებმა 8:0 მოიგეს და მხოლოდ ამის შემდეგ შევებით ამოისუნთქეს.

| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. თურქეთი | 3/0 | 265-211 | 6 |
| 2. პოლონეთი | 2/1 | 245-240 | 5 |
| 3. ლიტვა | 1/2 | 235-239 | 4 |
| 4. ბულგარეთი | 0/3 | 213-268 | 3 |

## II ჯგუფური ეტაპი

### E ჯგუფი

**11 სექტემბერი**

რუსეთი -ხორვატია 17:45
გერმანია-საბერძნეთი 20:15
საფრანგეთი-მაკედონია 23:00

**13 სექტემბერი**

მაკედონია-გერმანია 17:45
საბერძნეთი-რუსეთი 20:15
ხორვატია-საფრანგეთი 23:00

**15 სექტემბერი**

რუსეთი-მაკედონია 17:45
გერმანია-ხორვატია 20:15
საფრანგეთი-საბერძნეთი 23:00

| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 2/0 | 162-122 | 4 |
| 2. საფრანგეთი | 2/0 | 139-129 | 4 |
| 3. ხორვატია | 1/1 | 149-147 | 3 |
| 4. გერმანია | 1/1 | 141-143 | 3 |
| 5. რუსეთი | 0/2 | 137-145 | 2 |
| 6. მაკედონია | 0/2 | 125-167 | 2 |

### F ჯგუფი

**12 სექტემბერი**

პოლონეთი-სერბეთი 17:45
ლიტვა-სლოვენია 20:15
თურქეთი-ესპანეთი 23:00

**14 სექტემბერი**

ესპანეთი-ლიტვა 17:45
სლოვენია-პოლონეთი 20:15
სერბეთი-თურქეთი 23:00

**16 სექტემბერი**

პოლონეთი-ესპანეთი 17:45
ლიტვა-სერბეთი 20:15
თურქეთი-სლოვენია 23:00

| | მ/წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. თურქეთი | 2/0 | 171-145 | 4 |
| 2. სლოვენია | 1/1 | 164-159 | 3 |
| 3. სერბეთი | 1/1 | 135-137 | 3 |
| 4. ესპანეთი | 1/1 | 147-150 | 3 |
| 2. პოლონეთი | 1/1 | 155-162 | 3 |
| 3. ლიტვა | 0/2 | 151-170 | 2 |

### 1/4 ფინალი

**17 სექტემბერი**

E1 - F4 20:15
E2 - F3 23:00

**18 სექტემბერი**

F2 - E3 20:15
F1 - E4 23:00

### 1/2 ფინალი

**19 სექტემბერი**

E1/F4 - F2/E3 20:30
E2/F3 - F1 - E4 23:00

**20 სექტემბერი**

მე-3 ადგილისთვის 20:30
ფინალი 23:15

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ვინ არის იანინა ვიკმაიერი?

ამერიკის ღია პირველობის ქალთა ტურნირზე ნახევარფინალში ორი ბელგიელი ჩოგბურთელია გასული. წინა წლებში ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, მაგრამ მაშინ WTA-ის ტურში **კიმ კლაისტერსი** და **ჟუსტინ ანენი** ბრწყინავდნენ და მათი წარმატება არავის უკვირდა. კლაისტერსმა ამჯერადაც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი და ფინალში გასასვლელად იბრძოლებს, რაც შეეხება მეორე ბელგიელ **იანინა ვიკმაიერს**, მისი ნახევარფინალში გასვლა ამ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაციაა.

ვინ არის იანინა ვიკმაიერი? ის 19 წლისაა და მსოფლიოს რეიტინგში 50-ე ადგილს იკავებს. ჩოგბურთის მოყვარულებმა ის წელს გაიცნეს, როცა მაისში თიხნარზე ეშტორილის ტურნირი მოიგო, ივნისში უიმბლდონის წინ Ordina Open-ზე (ბალახის კორტები) ფინალში გააღწია, ახლა კი ჰარდზე ამერიკის ღიას ნახევარფინალს მიაღწია. ასე რომ, საქმე გვაქვს უნივერსალთან, რომელსაც ყველანაირ საფარზე შეუძლია თამაში.

გუშინ ბელგიელი უკრაინელ **კატერინა ბონდარენკოს** ხვდებოდა. ამ უკანასკნელს მეოთხედფინალამდე უფრო რთული მეტოქეების გავლამ მოუწია და ამიტომაც მისი შანსები უფრო მაღალი ჩანდა, მაგრამ ვიკმაიერმა ყველანაირი პროგნოზი თავდაყირა დააყენა და დამაჯერებლად მოუგო მეტოქეს.

პირველ სეტში ბელგიელი დიდი ხანი ლიდერობდა ბრეიკით, მაგრამ ბონდარენკომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება - 5:5. თუმცა ზედიზედ ორი გეიმის მოგებით იანინამ პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე პარტია წესით ბონდარენკოს უნდა მოეგო. უკრაინელი ბრწყინვალე სტილში თამაშობდა და 4:1 დაწინაურდა, მაგრამ მეტოქეს არც ვიკმაიერი ჩამორჩა. მან ისევ იგდო ხელთ ინიციატივა და თითქმის შეუძლებელი მოახერხა - ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო, რამაც სეტში და მთლიანად მატჩში გამარჯვება მოუტანა.

ნახევარფინალში ვიკმაიერის მეტოქე გუშინ გვიან დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკისა** და ამერიკელი **მელანი ოუდინის** მატჩში ირკვეოდა.

აქვე მოკლედ იმ მატჩების შესახებ, რომლებიც გუშინწინ გვიან დასრულდა. **რაფაელ ნადალმა** ოთხ სეტში მოუგო ფრანგ **გაელ მონფილსს**, რომელმაც მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა ესპანელს და ის ტაი-ბრეიკზე დაამარცხა. შემდეგ სამ სეტში რაფამ მხოლოდ შვიდი გეიმი დათმო და მეოთხედფინალში გავიდა.

ნადალმა ამ მატჩში რვა ბრეიკი გააკეთა, თუმცა სამჯერ თავისი მოწოდებაც წააგო. მეოთხედფინალში ესპანელს ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** დაუპირისპირდება, რომელმაც მეორე ფრანგი - **ჟო-ვილფრიდ ცონგა** გამოთიშა ტურნირს. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ფრანგი მატჩის გადამწყვეტ მომენტებში უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, შეიძლება შეხვედრას სულ სხვა ხასიათი ჰქონოდა - ცონგას 17 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენა.

**კაცები**

**1/8 ფინალი**

**ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7) 3:6, 6:3, 7:6(7), 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-გაელ მონფილსი (საფ, 13) 6:7(3), 6:3, 6:1, 6:3.

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ფლავია პენეტა (იტა, 10) 6:4, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-ეკატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 6:4.

კალათბურთი

# ნადალი მეორე ადგილს დაიბრუნებს

ამერიკის ღიას მერვედფინალში დამარცხების შემდეგ ბრიტანელი **ენდი მიურეი** ორშაბათიდან მეორე პოზიციას დაკარგავს ATP-ის კლასიფიკაციაში. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც **რაფაელ ნადალმა** ამავე ეტაპზე **გაელ მონფილსს** მოუგო. ასე რომ, ესპანელი დაიბრუნებს რეიტინგში მეორე ადგილს, მიურეი კი კვლავ მესამე გახდება.

ენდი შარშანდელი ტურნირის ფინალისტი იყო და წელს რვა საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა, რაც მას სარეიტინგო ქულების სოლიდურ რაოდენობას წაართმევს. ორშაბათს ნადალი მიურეის 95 ქულით გაუსწრებს.

# კლაისტერსის რეკორდები

აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევის ავტორი გახდა: კიმი ზედიზედ მეხუთედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში (2006 წელს მან საფრანგეთის ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა, შემდეგ აშშ-ის ღია გამოტოვა, 2007 წელს კი ავსტრალიის ღია პირველობის საუკეთესო ოთხეულში მოხვდა და ბოლოს ტურიდან წავიდა); ბელგიელი მესამე ჩოგბურთელია, ვინც უაილდ-ქარდის მიღების შემდეგ გააღწია „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში (მანამდე იგივე მიღწევა ჰქონდათ ამერიკელ **მონიკა სელეშს** (1995 წლის ამერიკის ღია პირველობა) და ჩინელ **ჟიე ჟენგს**, რომელმაც შარშანდელ უიმბლდონზე ითამაშა ნახევარფინალში).

# ჩეხეთმა და ხორვატიამ უძლიერესები შეკრიბეს

დევისის თასის ნახევარფინალში მონაწილე კიდევ ორმა გუნდმა დაასახელა შემადგენლობა. ხორვატიის ქალაქ პორეჩში ადგილობრივი ნაკრები ჩეხეთს დაუპირისპირდება.

მასპინძლების კაპიტანმა **გორან პრპიჩმა** ამ მატჩისთვის ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბა. ნაკრების ლიდერი **მარინ ჩილიჩი** იქნება, რომელმაც ორი დღის წინ ამერიკის ღია პირველობაზე ბრიტანელი **ენდი მიურეი** დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა. ჩილიჩის პარტნიორები იქნებიან - **ივო კარლოვიჩი, როკო კარანუშიჩი** და **ლოვრო ზოვკო.**

ჩეხებიც უძლიერესი შემადგენლობით აპირებენ პორეჩში თამაშს. ამ გუნდის დამრიგებლის არჩევანი ასე გამოიყურება: **ტომაშ ბერდიხი, რადეკ შტეპანეკი, ლუკაშ დლუჰი, იან ჰერნიხი** და **იან ჰაიეკი.**

დევისის თასის ნახევარფინალები 18-20 სექტემბერს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

კალათბურთი

## მარბერიმ წასვლა გადაწყვიტა

ერთვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი გამთამაშებელი **სტეფონ მარბერი** განაწყენებულია იმით, რომ NBA-ის კლუბებისგან შემოთავაზება არ აქვს. ამიტომაც კალათბურთელმა თავის ინტერნეტ-ჟურნალში რამდენიმე კომენტარი გააკეთა, რომლის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მარბერი კარიერის დასრულებას აპირებს.

*„კალათბურთი - მხოლოდ თამაშია. 14 წელი და 250 მილიონი. ჩემთვის ეს საკმარისია. მადლობა ღმერთსა და მადლობა NBA-ს"*, - დაწერა კალათბურთელმა Twitter.com-ზე.

ჰოკეი

## რუას ვაჟს სასამართლო ელის

ჰოკეის ეროვნული ლიგის ლეგენდარული მეკარის **პატრიკ რუას** ვაჟი **ჯონათანი** 7 ოქტომბერს სასამართლოს წინაშე წარდგება. ახალგაზრდა ჰოკეისტს მატჩის დროს ძალადობა ედება ბრალად.

2008 წლის მარტში, ახალგაზრდული ლიგის ერთ-ერთი მატჩის დროს ჯონათან რუამ მეტოქის მეკარე **ბობი ნადო** გალახა. ეს ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც ჩრდილოეთ ამერიკაში თამაშების დროს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წესები გაამკაცრეს. თუმცა რუას ადვოკატს მიაჩნია, რომ ლეგენდარული მეკარის შვილს თავისი ხმაურიანი გვარის გამო სჯიან სამაგალითოდ.

## ნეშვილის მფლობელი რვა წლით ჩასვეს

NHL-ის კლუბ „ნეშვილ პრედატორზის" თანამფლობელი **უილიამ დელ ბიაჯო** დამნაშავედ ცნეს ფინანსურ მაქინაციებში და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

როგორც ირკვევა, რამდენიმე წლის წინ დელ ბიაჯომ სხვადასხვა მაქინაციებით მიიღო 110 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ „ნეშვილის" აქციათა პაკეტი შეეძინა. ბიზნესმენის ბრალეულობის დამტკიცება მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2011**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ფარერები-ლატვია | 1:3 |
| ესტონეთი-ირლანდია | 1:1 |
| ყაზახეთი-ისრაელი | 1:2 |
| შვედეთი-ბულგარეთი | 2:1 |
| სლოვაკეთი-კვიპროსი | 1:0 |
| ნორვეგია-სერბეთი | 0:1 |
| მაკედონია-ლიტვა | 1:1 |
| აზერბაიჯანი-ბელარუსი | 2:3 |
| ავსტრია-ალბანეთი | 3:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იაპონია-განა | 4:3 |
| ჩინეთი-სენეგალი | 0:0 |
| იორდანია-ახ. ზელანდია | 1:3 |
| კატარი-ომანი | 1:1 |
| ანგოლა-კაბო ვერდე | 1:1 |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| სეუტა-ალიკანტე | 2:2 პენ. 4:5 |

**დანიის თასი**

| | |
|---|---|
| ოტერუპი-რანდერსი | 0:5 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტპვ-ატლანტისი | 1:1 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| როსარიო-რივერ პლეიტი | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2009**

| | |
|---|---|
| მაკედონია-ხორვატია | 71:81 |
| რუსეთი-საფრანგეთი | 64:69 |
| ესპანეთი-სლოვენია | 90:84 (ო) |
| პოლონეთი-თურქეთი | 69:87 |
| გერმანია-ლატვია | 62:68 |
| ისრაელი-საბერძნეთი | 80:106 |
| ბრიტანეთი-სერბეთი | 59:77 |
| ლიტვა-ბულგარეთი | 84:69 |

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-გერმანია | 1:3 |
| რუსეთი-იტალია | 3:0 |
| ბულგარეთი-ჰოლანდია | 3:1 |
| პოლონეთი-სლოვაკეთი | 3:2 |
| სერბეთი-ფინეთი | 3:0 |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 3:1 |

**ჰოკეი**

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სპარტა | 1:1 |
| კლადნო-კარლოვი ვარი | 3:5 |
| ბოლესლავი-ლიბერეცი | 2:1 |
| ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 4:1 |
| ბრნო-პლზენი | 1:2 |
| პარდუბიცე-ზლინი | 1:1 |
| სლავია-ტრშინეცი | 4:5 |

TV პროგრამა

**10 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:55** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**07:25** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. იტალია-ბულგარეთი.
**09:10** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**10:10** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. უელსი-რუსეთი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-ჩილე.
**14:10** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-საფრანგეთი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ლიხტენშტაინი-ფინეთი.
**18:10** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. იტალია-ბულგარეთი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:35** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**21:40** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ხორვატია.
**23:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:50** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-ჩილე.
**01:40** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. უელსი-რუსეთი.
**03:30** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-საფრანგეთი.
**05:20** სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. იტალია-ბულგარეთი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**08:00** სპორტული დღე.
**08:45** მძლეოსნობა.
**10:10** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. პლეი ოფი. იტალია-რუსეთი. თურქეთი.
**12:40** ახალი ამბები.
**13:10** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-საფრანგეთი. პოლონეთი.
**15:00** სპორტული დღე.
**15:45** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ლატვია. პოლონეთი.
**17:30** ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთის თამაშები. რუსეთი-ფინეთი.
**19:30** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-საფრანგეთი.
**21:30** სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
**22:00** სპორტული დღე.
**22:35** მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
**23:50** ახალი ამბები.
**00:00** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. ანაჰაიმი-დეტროიტი. VI მატჩი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:10** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ლიდსი-სტ. ელენსი.
**04:00** აფროსნობა.
**05:30** ახალი ამბები.

**EUROSPORT**

**07:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი (LIVE).
**09:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი.
**10:45** სნუკერი. შანხაი მასტერსი. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
**13:30** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-საფრანგეთი.
**14:30** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-ჰოლანდია.
**15:15** ავტოსპორტი. რალი-რეიდი.
**15:30** სნუკერი. შანხაი მასტერსი. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
**18:30** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-საფრანგეთი.
**19:00** ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-ჰოლანდია.
**19:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**19:40** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. გერმანია-ინგლისი. ფინეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი (LIVE).
**01:30** ავტოსპორტი. რალი-რეიდი.
**01:45** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი.
**05:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი (LIVE).

ამბები

ველოსპორტი

## ეკიმოვის ლენსთან მიდის

ყაზახური ველოსაჯინიბოს „ასტანას" სპორტული დირექტორი **ვიაჩესლავ ეკიმოვი** მომავალ სეზონში ახალი გუნდის RadioShack-ის ადმინისტრაციაში გადავა. როგორც იცით, ამ გუნდის დამაარსებელი **ლენს არმსტრონგი** გახლავთ.

*„ვადასტურებ, რომ „ასტანას" ვტოვებ და RadioShack-ში გადავდივარ, მაგრამ ამ გუნდთან კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული. ჯერჯერობით ზეპირ შეთანხმებას მივაღწიეთ. სავარაუდოდ სპორტული დირექტორის პოსტს დავიკავებ"*, - ამბობს ცნობილი რუსი ველომრბოლი, რომელიც წლების განმავლობაში არმსტრონგის თანაგუნდელი იყო.

## ასტარლოსა დოპინგზე გამოიჭირეს

ესპანური პროფესიული გუნდის Euskaltel Euskadi-ის პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი ველომრბოლის **მიკელ ასტარლოსას** დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. ანალიზი 26 ივნისს გაკეთდა, როცა ესპანელი ტურ დე ფრანსის შემდეგ შვებულებაში იმყოფებოდა. ასტარლოსას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი ერითროპოეტინი აღმოჩნდა.

*„გუნდში არ გაკვირვებიათ ეს ამბავი, რადგან რამდენიმე დღის წინ ესპანურ პრესაში ინფორმაციამ გაჟონა და მზად ვიყავით ამისთვის. საქმე ჩვენს იურისტებს გადაეცემათ, რომლებიც შეეცდებიან სპორტსმენის უდანაშაულობის დამტკიცებას"*, - წერია ესპანური გუნდის ოფიციალურ განცხადებაში.

2009 წლის ტურ დე ფრანსზე ასტარლოსამ ერთი ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა.

**ვუელტა. X ეტაპი**

**ალიკანტე-მურსია. 171 კმ**

1. **საიმონ ჯერანსი** (ავსტრა, Cervelo Test Team) - 3.56,59; 2. **რაიდერ ჰესიედალი** (კან, Garmin-Slipstream) - იგივე დრო; 3. **იაკობ ფუგლსანგი** (დან, Team Saxo Bank) - იგივე დრო; 4. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, ასტანა) - იგივე დრო... 21. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +3,42... 26. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 31. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო... 34. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო... 47. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 52. **დამიანო კუნეგო** (იტა, Lampre-NGC) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - 40.26,41; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +0,07; 3. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლ, Rabobank) - +0,36; 4. **ტომას დანიელსონი** (აშშ, Garmin-Slipstream) - +0,51; 5. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +0,53; 6. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +1,03; 7. **დამიანო კუნეგო** (იტა, Lampre-NGC) - +2,04... 9. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +3,01... 50. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, „ასტანა") - +14,31...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# შუმი მოტოციკლს ვერ ივიწყებს



გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** ფორმულა 1-ში დაბრუნება კისრის ტრავმის გამო გადაიფიქრა, რომელიც მოტოციკლიდან დაცემის შემდეგ მიიღო. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი არ აპირებს თავის საყვარელ გასართობზე უარის თქმას. გაზეთი "ბილდი" წერს, რომ სამშაბათს მიხაელმა საფრანგეთის ტრასაზე (Circuit de Bresse) სუპერბაიკის ტესტებში მიიღო მონაწილეობა.

*"ეს იყო კერძო ტესტები მეგობრებთან ერთად. სხვათა შორის, მიხაელი თებერვლის ავარიის შემდეგაც რამდენჯერმე დაჯდა მოტოციკლზე, მაგრამ ამის შესახებ ჟურნალისტებს არაფერი გაუგიათ"*, - აცხადებს შუმახერის პრესმდივანი **საბინა კემი**.

ჩოგბურთი

# ივანოვიჩი პაუზას იღებს



ამერიკის ღია პირველობაზე განცდილი ფიასკოს შემდეგ სერბმა **ანა ივანოვიჩმა** პროფესიული ჩოგბურთისგან დასვენება გადაწყვიტა.

*"ჩემი წარუმატებლობები საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვით არის გამოწვეული. მრავალი წელია ნორმალურად არ დამისვენია და ახლა მინდა გარკვეული ხნით დავივიწყო ჩოგბურთის არსებობა. დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან დამეხმარება. მწვერვალზე დაბრუნება მინდა და იმედია, ეს კრიზისი სულ მალე წარსულს ჩაჰბარდება"*, - ამბობს ივანოვიჩი.

სერბმა ჟურნალისტებს სეზონის დარჩენილ ნაწილში თავისი გეგმების შესახებ უამბო. კერძოდ, ანა წლის ბოლომდე მხოლოდ ორ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას - ის ტოკიოსა და პეკინს ესტუმრება.






მძლეოსნობა




# სემენია: ვამაყობ საკუთარი თავით

გენდერული ტესტის შედეგების მიუხედავად, 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონს **კასტერ სემენიას** ოქროს მედალს ვერ ჩამოართმევენ. როგორც ტელეკომპანია BBC გვამცნობს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის იურისტები ვერ იპოვიან წესებში პუნქტს, რომლის მიხედვითაც შეძლებენ სამხრეთაფრიკელისთვის პირველობის წართმევას. ადვოკატების აზრით, თუ ფედერაციამ სემენიას მსოფლიოს უმაღლეს ფორუმზე გამოსვლის უფლება მისცა, ეს იმას ნიშნავს, რომ IAAF-ს ტურნირამდე სპორტსმენის მიმართ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. როგორც ცნობილი გახდა, გენდერული ტესტის შედეგებს ოქტომბრის დასაწყისში გამოაცხადებენ.

შეგახსენებთ, რომ ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფედერაციამ სემენიას ტესტის ჩატარება დაავალდებულა, რომელსაც სპორტსმენის სქესი უნდა დაედგინა.

ფედერაციის ეჭვის მიუხედავად, სემენია სამშობლოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. სამხრეთაფრიკული ჟურნალის You magazine-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კასტერი აცხადებს, რომ მის გარშემო ატეხილ სკანდალს იუმორით უყურებს.

*"ღმერთმა ასეთი გამაჩინა და ვამაყობ საკუთარი თავით"*, - განაცხადა სემენიამ.

სამხრეთ აფრიკაში სპორტსმენს დიდი დახვედრა მოუწყვეს და ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. ერთ-ერთი გულშემატკივრის პლაკატზე შემდეგი სიტყვები ეწერა: *"სემენია - ჩვენი პირველი ლედი სპორტში"*. კასტერის მიმართ მხარდაჭერა ჟურნალმა You magazine-მაც გამოხატა, რომელმაც ასეთი სათაურის სტატია გამოაქვეყნა: "ახლა შეხედეთ კასტერს!" სტატიას თან ერთვის სპორტსმენის ფოტოები, რომელშიც ის მოდურ ტანსაცმელშია გამოწყობილი, პროფესიული მაკიაჟი აქვს და ძვირფასეულობებით არის მორთული.

*"ჩვენ ძლიერი გოგონასგან მოდური ქალბატონი გამოვიყვანეთ და ეს მას ძალიან მოსწონს"*, - წერია პუბლიკაციაში.

თავად სემენიამაც აღიარა, რომ სპორტული ფორმის მოდურ ტანსაცმელზე გაცვლამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. *"კაბის ტარება ადრეც მინდოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მქონდა*, - განაცხადა სპორტსმენმა. - *ადრე თავად არასოდეს შემიძენია ტანსაცმელი. ამას ჩემს ნაცვლად დედაჩემი აკეთებდა. მაგრამ ახლა, როცა ვიცი როგორ შეიძლება გამოვიყურებოდე, ხშირად ვისურვებდი ასეთ ტანსაცმელში გამოჩენას"*.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




